ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 თებერვალი პარასკევი 2012
№027 (13633) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველმა ქართველს გადასცა

## მარკოიშვილისა და შერმადინის კანტუმ მაკაბი დასცა




ევროლიგაზე გიორგი შერმადინისა და მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუმ“ ისრაელის „მაქაბის“ უმასპინძლა და 82:74 დაამარცხა. ისევე როგორც „ჟალგირისთან“ წინა ტურის მატჩში, იტალიელებს გამარჯვებისკენ კვლავ ქართველები გაუძღვნენ. ყველაზე სასარგებლო სამი კალათბურთელი იყო: ვლადიმირ მიკოვი (მქკ: 24), შერმადინი (20) და მარკოიშვილი (16).

გიორგის ანგარიშზე 25 წუთში 13 ქულა (9/4 ორქულიანი, 5/5 საჯარიმო), 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 პასი, 2 დაფარება იყო. მანუჩარმა 29 წუთში 11 ქულა (5/3 ორიანი, 4/1 სამიანი, 2/2 საჯარიმო), 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოინაგრა. მიკოვმა 17 ქულას 9 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

ბოლო წუთზე ამ ტრიომ „მაქაბის“ თამაშის გადარჩენაზე ფიქრის შანსიც არ მისცა: შეტევაში ბურთი ჯერ შერმადინმა მოხსნა, შემდეგ მანუჩარმა, ბოლოს სერბმა. მანამდე, მეოთხე პერიოდი შერმადინის 4 ქულით გაიხსნა და „კანტუ“ 70:60 დაწინაურდა. „მაქაბიმ“ იმდენი მოახერხა, რომ ჩამორჩენა 4-მდე დაიყვანა, თუმცა ბაზილეს სამქულიანს მანუჩარმა შორეული ორიანი მიამატა - 77:68 (სირენამდე 3:30 წუთით ადრე)...

მეორე პერიოდში ჯერ გიორგის პასით მანუმ მიითვალა სამქულიანი, შემდეგ პირიქით - მანუჩარის პასით შერმადინმა ჩააგდო ჯარიმიანი ორქულიანი. სწორედ ამ დროს აუწია ხმა ინგლისელმა კომენტატორმა: დიდებული ქართული კომბინაციები ვიხილეთო.

ვაჟა სიმონიშვილი

## კალჩო ღამემ დააშინა

იტალიაში შუა კვირის ტურის ოთხი მატჩი დიდთოვლობის გამო გადაიდო და კალჩოს მესვეურები შიშობენ, რომ აღნიშნული პრობლემა ამ უქმეებზე გასამართ ტურსაც ელის. ჩვენი სამშობლოს დარად, აპენინებზეც უამინდობა და სიცივეა, არც ამინდის პროგნოზია დამაიმედებელი. ამიტომ გადაწყდა, რომ მომავალ ტურში ყველა მატჩი ადგილობრივი დროით 15 (საქართველოს დროით 18) საათზე დაიწყოს. ასე რომ, შაბათს გვიან გასამართავი „ჩეზენა“-“კატანია“ და „რომა“-“ინტერი“, ასევე კვირის „მილანი“-“ნაპოლი“ ადრე გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## თარგამაძის უკრაინულ დებიუტს გელაშვილის გერმანული მოჰყვება



3

დავით თარგამაძემ შახტარის მაისურით პირველი მატჩი ჩაატარა



2

ნიკოლოზ გელაშვილი ბოხუმში ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს, კვირას ალბათ ითამაშებს კიდეც

მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად 16

სპეციალისტის აზრი

# ზაზა ზამთარაძე: რისთვის უნდა იაროს გულშემატკივარმა სტადიონზე?

## იმისთვის, რომ ნაკრების მომზადებას ანუ ვარჯიშს უყუროს?

**ზაზა ზამთარაძეს გამოუცდელი სპეციალისტი ნამდვილად არ ეთქმის, მას გიორგი კიკნაძესთან ერთად უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდი გაუწვრთნია. ბოლოს ეს დუეტი ქუთაისის "ტორპედოს" ედგა სათავეში.**

**ზამთარაძე ყოველთვის გამოირჩეოდა გულრწფელი შეფასებებით. შესაძლოა, მის აზრებს ზოგი არ დაეთანხმოს, მაგრამ რუბრიკა "სპეციალისტის აზრი" სწორედ იმისთვისაა, რომ მკითხველმა განსხვავებული შეხედულებები ხშირად წაიკითხოს.**

**ზამთარაძეს სანაკრებო და საკლუბო საკითხებზე ვესაუბრეთ, ინტერვიუ ეროვნული ნაკრებით დავიწყეთ...**

**- რამდენიმე თვის წინათ დავით მუჯირის წერილი გამოქვეყნდა "ლელოში", რასაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით მუჯირის შეხედულებებს?**

- მუჯირს ყველაფერში ვეთანხმები, თანაც მან საკუთარი პოზიცია ფაქტებით დაასაბუთა. მუჯირის ლოგიკა და მსჯელობა სწორი იყო.



ზაზა ზამთარაძე

**- მუჯირმა ჩვენი ნაკრების შესახებ კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა – თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ გუნდში დადებითი ვერაფერი დაინახეთ?**

- დადებითი იყო ის, რომ საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ციკლის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ჰქონდა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. ნაკრები სწორი გზით მიდის და წინსვლა არის – გულშემატკივარში ეს იმედი გაჩნდა. მაგრამ, როცა თამაშის ხარისხი ძალიან დაბალი იყო, რის ხარჯზე უნდა გავსულიყავით მომდევნო ეტაპზე? საბოლოო შედეგს რომ თავი დავანებოთ, რის ხარჯზე უნდა დაგვემარცხებინა ესა თუ ის მეტოქე? ყოველთვის ვერ გაგვიმართლებდა...

**- აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ფეხბურთელთა კონტინგენტის საკითხი...**

- ქეცბაია საქართველოს ნაკრებში რომ მოდიოდა მწვრთნელად, არ იცოდა რა კონტინგენტთან ექნებოდა სამუშაო? ქეცბაია ბრმად არ დათანხმებულა ნაკრების გაწვრთნას და მერე იმის თქმა, მე რა ვქნა, შემქმნელი ფეხბურთელები არ მყავსო, უკვე არაკორექტულია.

**- ანუ თქვენი პოზიცია კატეგორიულია – არანაირი პოზიტივი ქეცბაიას გაწვრთნილ ნაკრებში.**

- ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ვერაფერი დავინახე. ლატვიასთან შინ წავაგეთ და ითქვა, საქართველოს ნაკრებმა ბოლო პერიოდში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენაო – უკაცრავად, მაგრამ ეს არ არის სწორი ლაპარაკი. შემდეგ ნაკრები მალტაში ჩავიდა და ფრე ითამაშა, ქეცბაიამ კი განაცხადა, მაიკლ მიფსუდი ტოპ-კლასის თავდამსხმელიაო. ყოველივე ამის შემდეგ, რაზეა ლაპარაკი?!

**- მომდევნო შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს გაცილებით ძლიერი მეტოქეები ეყოლება, ვიდრე წინა შესარჩევში. რას ელით ჩვენი ნაკრებისგან?**

- ველოდები, რომ ნაკრებში უფრო მეტი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდება და დაწინაურდება. სხვა შედეგის იმედი კი არ მაქვს.

**- ძალიან ნეგატიურ და პესიმისტურ განცხადებებს ხომ არ აკეთებთ?**

- როცა გვეუბნებიან, ნაკრებმა ეს შესარჩევი ციკლი იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ მომდევნოში შედეგი ჰქონდესო, გულშემატკივარმა რისთვის უნდა იაროს სტადიონზე? იმისთვის, რომ ნაკრების მომზადებას ანუ ვარჯიშს უყუროს?

**- არა მგონია, რომ საფეხბურთო მეურნეობის მხრივ ჩვენ ტოლ და სწორ ქვეყნებში ყველაფერი იდეალურად იყოს, თუმცა ფაქტია – ლატვიამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა, ესტონეთი ახლახან პლეი ოფში მოხვდა. როგორ ფიქრობთ, რა არის ჩვენი მთავარი პრობლემა?**

- მთავარი პრობლემა საქმისადმი მიდგომაა. როცა განვლილ შესარჩევ ციკლს დადებითად აფასებენ, ამ მიდგომით შედეგი ვერ მოვა. დაწყებული მწვრთნელიდან, ნაკრებში მომუშავე ნებისმიერი ადამიანი უფრო მეტად კრიტიკული უნდა იყოს, ვიდრე კმაყოფილი.

**- ნაკრებში აღარ ითამაშებს კახა კალაძე, გუნდის სხვა გამოცდილ ფეხბურთელებს ასაკი ემატებათ...**

- კალაძეს პირადად ვუხდი მადლობას იმისთვის, რაც მან ნაკრებისთვის გააკეთა. პოლიტიკა არ მაინტერესებს, მაგრამ ელემენტარულად უმადურობა იყო ის განცხადება, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გააკეთა კალაძის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, კალაძე ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელია...

**- საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში ალბათ არის დადებითი ტენდენციები....**

- გიორგი დევდარიანის ნაკრები მართლაც სამაგალითოა, მისასალმებელია ამ სპეციალისტის საქმისადმი მიდგომა, დევდარიანის მიმართულება სწორია. იმედი მაქვს, რომ ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრებიც წინ წავა. ახალგაზრდულ ნაკრებში ალექსანდრე ჩივაძის მთავარ მწვრთნელად დანიშვნაზე იმას ვიტყოდი, რომ ამ ასაკში მწვრთნელს უკვე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებთან აქვს საქმე და როცა ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ნაკრებში მიდის, მას კარგი სიტუაცია, ჯანსაღი ატმოსფერო უნდა დაახვედრო, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ჩივაძეს ამის გაკეთება მართლაც კარგად შეუძლია, სელექციაც და გუნდის მომართვაც არ შეეშლება.

**- საკლუბო ფეხბურთზეც ვთქვათ. ფაქტია, რომ ამ მხრივ ბოლო დროს ბევრი სასიამოვნო ამბავი მოხდა.**

- საკლუბო ფეხბურთში უპირველესად ინფრასტრუქტურაა მისახედი. ბოლო დროს "ტორპედოში" ვმუშაობდი და ვიცი, რომ ამ კლუბში სწორად მუშაობენ, ქუთაისი და იმერეთის რეგიონი ნიჭიერი ფეხბურთელების საბადოა და "ტორპედო" იმისთვის მუშაობს, რომ იქაურ მოზარდებს დიდი ფეხბურთისკენ გზა გაუხსნას. კარგი ძვრებია "დინამოში" – მთავარ მწვრთნელად გიორგი დევდარიანის დანიშვნას ვგულისხმობ. "ზესტაფონსაც" მცოდნე და წესიერი მწვრთნელი ჰყავს გიორგი ჭიაბრიშვილის სახით.

**- საჩემპიონოდ უკეთესი შანსი რომელ გუნდს აქვს?**

- თუ გაძლიერებული "დილა" რვა საუკეთესო გუნდში შევა, სატურნირო ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლება. ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის "დინამო" და "ზესტაფონი" იბრძოლებენ, "ტორპედოს" კი ამ ეტაპზე ჩემპიონობა გაუჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# დღეიდან მარბელას თასზე



დღეს "ზესტაფონი" "მარბელას თასის" გათამაშებაში ჩაერთვება. საქართველოს ჩემპიონები მეოთხედფინალში ყაზანის "რუბინს" დაუპირისპირდებიან. ტურნირის ორგანიზატორებმა სატურნირო ბადე არაერთგზის შეცვალეს და "ზესტაფონს" პირველ მეტოქედ ჯერ მოსკოვის ცსკა დაუდგინეს, ხანაც – ჩინეთის ჩემპიონი "გუანჯოუ". საბოლოოდ, ქართველთა პირველ მოწინააღმდეგედ "რუბინი" გაამწესეს.

ამ კლუბს დიდი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. "რუბინის" ყველა წარმატება **ყურბან ბერდიევს** უკავშირდება, რომელმაც გუნდი ჯერ რუსეთის ზედა ლიგაში გადაიყვანა, წლების შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ გახადა ქვეყნის ჩემპიონი. "რუბინში" წლების განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი **ლაშა სალუქვაძე**, ყაზანელებთან ერთად რუსეთის ჩემპიონები გახდნენ **დავით კვირკველია** და **ნუკრი რევიშვილიც**.

დღეისთვის "რუბინის" მთავარ გუნდში ჩვენი ერთადერთი თანამემამულეა – 19 წლის მცველი **საბა კვირკველია**, რომელიც ბოლო პერიოდში ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და გამორიცხული არ არის, სხვაგან გაანათხოვრონ.

გამორჩეული ფეხბურთელი კი "რუბინს" ბევრი ჰყავს – მეკარე **სერგეი რიჟიკოვი**, მცველი **რომან შარონოვი**, ნახევარმცველები – **ალან კასაევი** და **პიოტრ ბისტროვი**. თუმცა ამაზე უფრო შთამბეჭდავი ლეგიონერთა ჩამონათვალია: მცველები – **სესარ ნავასი** (ესპანეთი), **კრისტიან ანსალდი** (არგენტინა), **სალვატორე ბოკეტი** (იტალია), ნახევარმცველები – **ბებრას ნათხო** (ისრაელი), **გიოქდენიზ ქარადენიზი** (თურქეთი) და თავდამსხმელები – **ნელსონ ჰაედო ვალდესი** (პარაგვაი) და **ობაფემი მარტინსი** (ნიგერია).

რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატში "რუბინს" საკუთარი ამბიციების შესაფერისი პოზიცია ნამდვილად არ უკავია – მეხუთე ადგილზეა და ლიდერ "ზენიტს" 10 ქულით ჩამორჩება.

რაც შეეხება "ზესტაფონის" სამზადისს, გუშინდელი დღეც ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმში წარიმართა. ფეროელთა მთავარი მწვრთნელის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** განკარგულებაში შეკრებაზე მყოფი 25-ივე ფეხბურთელი გახლდათ, თუმცა, მეკარე **როინ კვასხვაძე** და **აბაიომი ოვონიკოკო** ისევ ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან.

ვარჯიშის დასაწყისში ფეხბურთელები ფიზიკურად დაიტვირთნენ, რასაც "ორკარა" მოჰყვა. თამაში უხვგოლიანი გამოდგა.

"ზესტაფონი"-"რუბინი" თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მისი ნახვა ინტერნეტის მეშვეობით შეგვეძლება. გამარჯვების შემთხვევაში, "ზესტაფონი" ნახევარფინალში პოლონური „ლეხისა" და რუმინული „ტიმიშოარას" წყვილის გამარჯვებულს შეხვდება, დამარცხების შემთხვევაში კი დამამშვიდებელ წრეში გადაერთვება და ამავე წყვილში წაგებულს დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# გელაშვილის დებიუტს კვირას ელოდებიან

## ანდრეას ბერგმანი: გელაშვილი ძალიან კარგი ფეხბურთელია

კვლავ გერმანული მედიის ყურადღების ცენტრშია „ზესტაფონიდან" გერმანულ „ბოხუმში" გადაბარგებული ქართველი ფორვარდი **ნიკა გელაშვილი**.

პირველი ვარჯიშის შესახებ გამოცემა "კიკერთან" ერთად, ამჯერად "ბილდიც" იუწყება. ვინაიდან, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ანდრეას ბერგმანი** პრეზენტაციაზე საპატიო მიზეზის გამო არ გამოჩენილა, პირველი კომენტარი ახალწვეულზე ვარჯიშის დროს გააკეთა. ბერგმანის შეფასება გელაშვილზე დადებითია და პირველი ვარჯიშიც კარგ დასაწყისად მიიჩნია.

**ანდრეას ბერგმანი:** *„მოხარული ვარ, რომ გელაშვილი ჩვენს გუნდშია, ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. ქართველმა არა მხოლოდ მოედანზე უნდა წაიწიოს წინ, არამედ მის ფარგლებს გარეთაც".*

ქართველ ფორვარდს უკვე აუყვანეს პირადი მასწავლებელი და "ბილდის" ინფორმაციით, გელაშვილი მონდომებით ცდილობს გერმანულის შესწავლას. კლუბში იმედოვნებენ, რომ გელაშვილიც ისევე მალე ისწავლის გერმანულს, როგორც ეს „კიოლნში" გადაბარგებულმა თავდამსხმელმა ჩონგ ტაესემ მოახერხა.

"ბილდი" „კარლსრუეში" მოასპარეზე **ალექსანდრე იაშვილის** კომენტარსაც აქვეყნებს, რომელიც ამბობს, რომ გელაშვილს ეროვნული ნაკრებიდან იცნობს და მან ურჩია სწორედ „ბოხუმში" თამაში ფორვარდს.

ნიკა გელაშვილი კი გამოცემასთან საუბრისას, კიდევ ერთხელ საუბრობს მისი „ბოხუმში" გადასვლის სპორტულ მხარეზე:

„ბოხუმს" კარგად აქვს განსაზღვრული, თუ რა სახის და სტილის ფეხბურთი უნდა ითამაშოს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებიდანაც მქონდა შემოთავაზება, მაინც „ბოხუმი" ვარჩიე, ვფიქრობ, სპორტული თვალსაზრისით, უფრო მეტად განვვითარდები, მინდა ყველამ დაინახოს, თუ რა შემიძლია", - ამბობს ქართველი თავდამსხმელი.

თუ ჩვენ გერმანელ კოლეგებს ვენდობით, დიდი შანსია, რომ გელაშვილის დებიუტი კვირას, როსტოკის " ჰანზას" წინააღმდეგ შედგეს.

**მაგდა კლდიაშვილი**



ნიკოლოზ გელაშვილი (მარცხნივ) ბოხუმის ვარჯიშზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერები




# დავით თარგამაძის დებიუტი შახტარში

სერია A-ში დიდთოვლობის გამო "ატალანტა"-"ჯენოა", ხოლო სერია B-ში – "სამპდორია"-"ემპოლი" გადაიდო, ასე რომ, **კახა კალაძე, ლევან მჭედლიძე** და **ირაკლი შეყილაძე** უქმად დარჩნენ. ამიტომაც ისლა დაგვრჩენია, ქართველი ლეგიონერების მონაგარს ამხანაგურ მატჩებში გადავხედოთ.

მოსკოვის "სპარტაკმა" საერთაშორისო ტურნირ "კოპა დელ სოლზე" ნორვეგიულ "რუსენბორგთან" 1:1 ითამაშა, პენალტების სერიაში კი 8:9 დამარცხდა. **ჯანო ანანიძე** მოსკოველთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით თარგამაძემ** დონეცკის "შახტარის" შემადგენლობაში პირველი შეხვედრა ჩაატარა. ესპანურ შეკრებაზე მყოფმა "შახტარმა" საკონტროლო მატჩი ნორვეგიულ "ოდ გრენლანდთან" გამართა და 1:2 დამარცხდა. ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 65-ე წუთზე შეცვალეს. მედიის გამოხმაურებებში თარგამაძე დადებითად ფასდება. ვებ-გვერდებზე ამოკითხული ინფორმაციის მიხედვით, მას შეტევაში საკმაოდ აქტიურად უთამაშია და რამდენიმე მწვავე გადაცემაც გაუკეთებია.

პოლონურმა "იაგელონიამ" ამხანაგურ შეხვედრაში სლოვაკურ "კოშიცეს" 5:3 სძლია. ამ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი ერთი გოლით შეიტანა "იაგელონიას" ქართველმა ნახევარმცველმა **ნიკა ძალამიძემ.**

"ანორთოსისმა" კვიპროსის თასის პირველი მერვედფინალური მატჩი სტუმრად 3:2 მოუგო ქვედალიგელ აპოპ-ს. **დავით კვირკველიამ** "ანორთოსისის" შემადგენლობაში სრულად ითამაშა.

ლევან ჯანეზაშვილი

# ჭანტურია ქარცეცხლში



არნემის "ვიტესის" შემტევი გიორგი **ჭანტურია** უკვე საკმაოდ ხშირად ჩნდება ჰოლანდიის ელექტრონულ მედიაში. გუშინ ერთ-ერთმა იქაურმა საიტმა მცირე წერილი დაბეჭდა ჩვენებურზე.

ჰოლანდიელები ამბობენ, ჭანტურია მნიშვნელოვან როლს ასრულებს "ვიტესის" ბოლოდროინდელ აღმავლობაში, "ვიტესი" ერედივიზიონში მეშვიდე ადგილზე რომ არის, სულ ცოტა ხნის წინათ ამას ძნელად თუ ვინმე იფიქრებდაო.

"როცა აქ შარშან მოვედი, კლუბში ნანახით შოკში ჩავვარდი. თამაში კარგად არ წაგვივიდა და კლუბში თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობდი. ალბერტ ფერერი არ იყო ცუდი მწვრთნელი, მაგრამ ყველას როდი უნდოდა ყველაფერი გაელო მისი გულისთვის. ახლა კი ჩვენ მართლა გუნდი ვართ. შეიძლება ითქვას, რომ ახლა უფრო ძლიერები ვართ, თუმცა ნებისმიერ მეტოქესთან ისე გვიწევს თამაში, თითქოს ქარცეცხლში გავდივართ", - უთხრა ჭანტურიამ "ვოეტბოლ ინტერნეიშენელს".

**იონ ვან დენ ბრომის** განვრთნილ "ვიტესში" ჭანტურიამ 16 მატჩი ითამაშა და 3 გოლი გაიტანა.

დავით თავართქილაძე

სიტუაცია

# რა დაპირისპირებაა ქართულ ფუტსალში?

ახლახან ქართული ფუტსალის პრობლემებთან დაკავშირებით "ლელოში" საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს საქართველოს ჩემპიონისა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, "იბერია სტარის" პრეზიდენტმა **ვახტანგ წერეთელმა** და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა და "თელასის" ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს პრეტენზია შემოდგომაზე ეროვნული ჩემპიონატის ჩაშლასთან დაკავშირებით აქვთ.

კლუბების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ჩემპიონატის რეგლამენტით, რომელიც ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის ხელმოწერით არის დამტკიცებული, ჩემპიონატი 3 თებერვალს უნდა დაიწყოს, მაგრამ დათქმულ დრომდე 2 დღით ადრე კლუბებს ჩემპიონატის კალენდარი არ გვქონდა მიღებულიო.

ამ და სხვა საკითხებზე პოზიციის დაფიქსირება მოითხოვა ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრმა **ლევან გრიგოლიამ:**

- არჩევნების დღეს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ბიზნესმენია და ფუტსალის ასალორძინებლად დიდი თანხების ინვესტირებას აპირებს. მაგრამ, უკვე დიდი ხანია, საქართველოს ფუტსალის ასოციაციას ოფისიც აღარ აქვს. თვეში 350 ლარი ვერ გადაიხადეს და ოფისიდან გამოყარეს. ფუტსალს ჰქონდა საკუთარი ბაზა – "ქარიშხალა", რომელიც ილიას უნივერსიტეტს ეკუთვნის და ეს ბაზა დაკარგულია. შესაბამისად, გაუქმდა ბავშვთა სკოლაც და ბავშვები და მწვრთნელები ქუჩაში აღმოჩნდნენ. დღეს ფუტსალის ასოციაციაში მხოლოდ ორი კაცი მუშაობს – პრეზიდენტი და ნაკრების მწვრთნელი. მეტი თანამშრომელი არ ჰყავთ. გაუქმდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, ბავშვთა ლიგა (ნიკა სოფრომაძის თასი), უმუშევრად დატოვეს ახალგაზრდული ნაკრების დამსახურებული მწვრთნელი პეტრე თაბუკაშვილი.

საინტერესოა, რომ საქართველოს ფუტსალის ასოციაციას არ აქვს ბიუჯეტი. გიზო ფხოველიშვილის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა გამგეობის არც ერთი სხდომა. უსაფუძვლოდ გაათავისუფლეს ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი კახა დევდარიანი, ქართული ფუტსალის ერთ-ერთი დამაარსებელი; იგნორირებული არიან ვეტერანი ფეხბურთელები; გაუქმდა სამსაჯო კოლეგია. ამ "სიკეთესთან" ერთად, დავკარგეთ რეგიონის გუნდები: ქუთაისის, ბათუმის, თელავის, გორის...

**- ეს რა, ფხოველიშვილის ბრალია?**

- რომ მოვიდა, თქვა, რეგიონებში გუნდების ჩამოყალიბებას ხელს შევუწყობო. უნდა იაროს რაიონებში, შეაწუხოს გამგებლები, გუბერნატორები და შექმნას სტრუქტურა. ადრე ასეც იყო. კახა დევდარიანი და გრიგოლ ცაავა დადიოდნენ და გუნდებს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ, ახლა თავად პრეზიდენტს ვერ დაიჭერ.

ამას გარდა, უეფას მიერ სერტიფიცირებული და კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი, რომელმაც ეროვნული ნაკრები ელიტ-რაუნდში გაიყვანა, ყოველგვარი ახსნაგანმარტების გარეშე მოხსნეს. ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს გაურკვეველი სამწვრთნელო კვალიფიკაციის მქონე პიროვნება ზაალ ჩიტალაძე, თანაც გამგეობის წევრთა აზრი იყო იგნორირებული.

**- რატომ არის ჩიტალაძე გაურკვეველი კვალიფიკაციის პიროვნება? გუნდიც ჰყავდა და ბიზნესლიგის დამფუძნებელიცაა.**

- მისმა განვრთნილმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპიც ვერ გადალახა. ფუტსალის ასოციაციის გამგეობის აზრის სრული იგნორირებით ის მაინც ნაკრების მწვრთნელად დატოვეს.

აღნიშნულ ეტაპზე ეროვნული ნაკრების 14 ფეხბურთელიდან 11 წარმოადგენდა კლუბ "ალგოს", რომლის დამფუძნებლები არიან ასოციაციის პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი. საერთოდ, შეიძლება თუ არა, ასოციაციის პრეზიდენტს ჰყავდეს საკუთარი გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში?

**- და არ შეიძლებოდა 14-დან 11 მოთამაშე "ალგოდან" დაემატებინა?**

- არ იმსახურებენ და ტენდენციურები არიან. ნაკრებში არ გამოიძახეს იმ დროისთვის ყველაზე გამოცდილი ქართველი ლეგიონერი გიორგი თორთლაძე, რომელიც კვიპროსში თამაშობს და არგამოძახების მიზეზად ბილეთის ფულის არქონა დაასახელეს.

თბილისში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრები ვერ გავიდა უსუსტესი




ჯგუფიდან და არც ამის მერე დაყენებულა მწვრთნელის პასუხისმგებლობის საკითხი, კვლავ გამგეობის აზრის სრული იგნორირებით.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტელევიზიით განაცხადა, რომ მისი კონკურენტები მხოლოდ ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია და რუსეთი იყვნენ. მეორე დღეს მან ვერ მოუგო სომხეთს, ორი დღის მერე – მოლდოვას. იმ სატელევიზიო განცხადებით, ნაკრების მწვრთნელმა დაადასტურა, რომ დაკარგული აქვს რეალობის შეგრძნება.

მოლდოვასთან მატჩის მერე მომხდარი ცნობილი ამბების შემდეგ, მწვრთნელმა განაცხადა, რომ შეუტევდა ხუთი ფეხბურთელით. რეალური ვითარება რომ სცოდნოდა, ვერ შეუტევდა! ეროვნულ ნაკრებს იმ მატჩზე საერთოდ არ ჰქონდა მეხუთე მოთამაშის ფორმა. ფუტსალის ასოციაციას არც ბურთები ჰქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ნათხოვარი და ნახმარი ბურთებით ჩაატარეს. ეს იმ დროს, როდესაც ფუტსალის ასოციაციას ყველაზე დიდ ბიუჯეტი ჰქონდა თავისი არსებობის ისტორიაში - 450 ათასი ლარი.

სხვა თემაა, რომ ასოციაციის პრეზიდენტმა გააუქმა საქართველოს თასის გათამაშება და ეროვნული ჩემპიონატი. ეს ფაქტი გაურკვეველს ხდის საკითხს - ვინ და რა პრინციპით უნდა წარადგინოს საქართველო უეფას ჩემპიონთა ლიგაში? ბოლოს, ვსვამ კითხვას: ეს ორი პიროვნება, ასოციაციის პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შეიძლება თუ არა, რომ დარჩნენ ფუტსალში?

>> მე-4 გვერდზე

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# სამი ქართული ოთხასეულში

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მსოფლიოს მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოდან კვლავინდებურად სამი კლუბია წარმოდგენილი. რეიტინგი ამჯერადაც 400 კლუბისგან შედგება.

თბილისის "დინამომ" 120-ე პოზიცია შეინარჩუნა, "ზესტაფონი" 173-ედან 176-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა, რუსთავის "მეტალურგი" კი, რომელიც წინა თვეში 187-ე იყო, ახლა 191-ეა.

საუკეთესო ათეულში მინიმალური ცვლილებებია. იქ მოხვდა გერმანული "შალკე", საიდანაც პორტუგალიური "პორტუ" გამოაძევა. აღსანიშნავია, რომ ზეათეულში ჩილეს ორი წარმომადგენელია. პირველი შვიდი კლუბის თანმიმდევრობა ახალ რეიტინგში უცვლელად დარჩა.

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. რეალი (ესპანეთი)
3. ველეს სარსფილდი (არგენტინა)
4. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
5. მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
6. სანტოსი (ბრაზილია)
7. უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)
8. უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)
9. სპორტინგი (პორტუგალია)
10. შალკე (გერმანია)

...120. დინამო

...176. ზესტაფონი

...191. მეტალურგი

ლევან ჯანეზაშვილი

● საშუალადიდი. ვიტ ჯორჯია

# შეკრება მშვიდობიანად გრძელდება



**ვიტ ჯორჯია–ზენიტი (დუბლ.) 0:0**

ვიტ ჯორჯია პირველ ტაიმში: ძაძამია – დ.ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე - ჩიმაკაძე.

მეორე ტაიმში: ნ. დაუშვილი –დ. ხურცილავა, კალანდია, გოგიაშვილი, ჯავაშვილი - ჯაყელი, დავლაშელიძე - ვაშაკიძე, გიორგი გურეშიძე, ჯულელი - კუხალეიშვილი (71. ლობჯანიძე)

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მეორე ფრე ითამაშა. დაბა ბელეკში მდებარე "ტიტანიკის" სპორტკომპლექსში **ზურაბ ბერიძის** გუნდი სანქტ-პეტერბურგის "ზენიტის" დუბლშემადგენლობას 0:0-ზე გაეყარა. შეგახსენებთ, პირველ ტესტ-მატჩში ვეტერინარებმა გერმანიის ობერლიგის ბინადარ "გერმანია შიონაიხესთან" 1:1 ითამაშეს.

როგორც "ვიტ ჯორჯიას" ვებგვერდი იუწყება, შეხვედრამ ქართველთა უპირატესობით ჩაიარა. პირველ ტაიმში **ბესიკ ჩიმაკაძეს, ბექა ზაქრაძეს** და ორჯერ **გიორგი კორიფაძეს** ჰქონდათ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა. **გურამ ადამაძის** გოლისას კი მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

"ზენიტი" თავს ორგანიზებულად იცავდა და აქცენტს სწრაფ კონტრშეტევებზე აკეთებდა.

შესვენებისას ბერიძემ ათი ფეხბურთელი შეცვალა. **დავით ხურცილავას** შემცვლელ **გიორგი გეთიაშვილს** მიკროტრავმა ჰქონდა და ამიტომ ხურცილავა მოედანზე ბოლომდე დარჩა. მეორე ტაიმში გოლის გატანა **ლევან კუხალეიშვილს** შეეძლო, **გიორგი ვაშაკიძემ** კი ბურთი ძელს გაარტყა.

მატჩის შემდეგ ზურაბ ბერიძემ საკუთარი ფეხბურთელების თამაში დადებითად შეაფასა და შეკრების მიმდინარეობით კმაყოფილება გამოთქვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მეტალურგი

# რუმინელებს ვაჯობეთ

"მეტალურგმა" გუშინ ანთალიაში მესამე საკონტროლო შეხვედრა რუმინულ "სპორტულთან" ჩაატარა და 2:1 დაამარცხა, - გვაცნობა რუსთაველთა კლუბის პრესატაშე **თამარ დაჩიბერიძემ.**

"მეტალურგი": ბათიაშვილი – სეთურიძე, გავაშელიშვილი, ს.თოდუა, ხოხონიშვილი – ჭედია, რაზმაძე, დობროვოლსკი (მიქაბერიძე), ოთარაშვილი (ი.მაისურაძე) - სიხარულიძე, ტატანაშვილი (ექვთიმიშვილი).

როგორც ხედავთ, ყაზახურ "ასტანასთან" წაგებული (0:1) მატჩის შემდეგ რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** შემადგენლობაც მნიშვნელოვნად შეცვალა, ზოგი მოთამაშე დაასვენა და 4-3-3 სათამაშო განლაგების ნაცვლად 4-4-2 გამოიყენა.

**დიმიტრი ტატანაშვილისა** და **ირაკლი სიხარულიძის** გოლებით რუსთაველებმა 2:1 გაიმარჯვეს.

მომჯობინდა **ირაკლი მაისურაძე**, რომელმაც კუნთი ჰქონდა დაჭიმული და ყაზახებთან ვერ ითამაშა. **ირაკლი მოდებაძე** კი ანთალიაშია, მაგრამ ტრავმის გამო ვერ თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

● დილა

# მარცხი უიღბლო დებიუტით

გორის "დილა" თურქეთში მზადებას აგრძელებს. **თემურ მახარაძის** გაწვრთნილები მორიგ საკონტროლო მატჩში რუმინეთის პლოეშტის "პეტროლულს" შეხვდნენ და მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ.

**დილა: სკენდერი – ალადაშვილი, თოთაძე, სალუქვაძე, მეგრელიშვილი - კანდელაკი, კრნჟინაცი, არზიანი – ლექვთაძე, დ. ჩაგელიშვილი, კახელიშვილი**

*შეცვლაზე შევიდნენ: ქარზქუზაშვილი, ბარაბაძე, ხოჯავა, ხუბუა, ჯიქია, შ.კაშია.*

**გააძევება: ხოჯავა**

"დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** პირველად ათამაშა გუნდის ახალწვეული **გოჩა ხოჯავა.** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ყოფილი ნახევარმცველი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, მაგრამ მალე ორი ყვითელი ბარათი მიიღო, გააძევეს და გუნდს ბოლომდე ვერ დაეხმარა.

რუმინელებმა ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს და 1:0 მოიგეს.

"დილა" მორიგ სპარინგს ასევე რუმინულ გუნდ "ვოინტრა სიბიუსთან" დღეს ჩაატარებს, ბოლო საკონტროლო შეხვედრა კი 5 თებერვალს ბელარუსულ "ბატესთან" არის დაგეგმილი.

ჯერ გაურკვეველია, დარჩებიან თუ არა გორელთა გუნდში ხორვატი მეკარე **მარინ სკენდერი** და სერბი ნახევარმცველი **ვლადიმირ კრნჟინაცი**. არ უთამაშია **მათე ვაწაძეს**, რომელსაც კუნთი ჰქონდა დაჭიმული, მაგრამ გუშინ "დილასთან" ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა.

"დილას" სამი დღის წინ შეუერთდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ივანე კანდელაკი**, რომელიც ბოლოს რიგის "სკონტოში" თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● გაგრა

# კობერიძე გაგრას შეუერთდა

## ჭყუასელი: გაგრა დინამოს ვამჯობინე



მიხეილ კობერიძე

"გაგრას" მთავარი მწვრთნელის, **ზვიად ჯელაძის** გადაწყვეტილებით, კლუბს შეკრებაზე შეუერთდა ნახევარმცველი **მიხეილ კობერიძე.** მას ანთალიაში ორი დღის წინ ელოდნენ, მაგრამ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, თბილისის აეროპორტიდან გამოფრენა ვერ მოახერხა.

გუშინ გუნდმა დილის ვარჯიში სრული შემადგენლობით ჩაატარა. სამდღიანი შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდნენ და სრულფასოვანი ვარჯიში გამართეს **გიორგი ტყეშელაშვილმა, გიორგი როსტიაშვილმა, ლევან ყიფიანმა, ლევან სეთურიძემ და გუგა ფალავანდიშვილმა.**

ვარჯიშზე **ნიკა ნარმანია** დაშავდა და საღამოს ვარჯიში გამოტოვა, თუმცა ტრავმა სერიოზული არაა, ტრენაჟორების დარბაზში ფიზიკურად დაიტვირთა და 3 თებერვალს ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშებს.

დღეს კი "გაგრას" მეტოქე ყარაღანდის "შახტიორი" იქნება. გადაწყდა, რომ 3 თებერვალს ორ მატჩს გუნდები ორი შემადგენლობით ჩაატარებენ.

"გაგრამ" ანთალიაში ჩატარებულ ორ საკონტროლო შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. აქედან, ერთი **ნიკა ჭყუასელის** ანგარიშზეა, რომელიც ჯელაძემ ორჯერვე ძირითადში ათამაშა – 18 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა თავი პავლოდარის "ირტიშთან" გამოიჩინა.

ნიკამ კლუბის ვებგვერთან საურისას საინტერესო ისტორია გაიხსენა.

*"2010 წლის იანვარში ჩამოვედი "გაგრაში", მაგრამ ერთ კვირაში ბათუმში წასვლა გადავწყვიტე. რატომ - დღემდე არ ვიცი და ახლაც ვნანობ. ბათუმიდან ოზურგეთის "მერცხალში" დავბრუნდი. შარშან თებერვალში ...თბილისის "დინამოც" დაინტერესდა და "გაგრაშიც" ხელახლა მიმიწვიეს. არჩევანის წინაშე დავდექი და საბოლოოდ, კონტრაქტი მაინც "გაგრასთან" გავაფორმე. ამ ეტაპზე ჩემი მომავლისთვის ასე ვაჯობინე"* - ამბობს ჭყუასელი.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია



ელექტრონული ბიბლიოთეკა

გიზო ფხოველიშვილი



ზაალ ჩიტალაძე

# რა დაპირისპირებაა ქართულ ფუტსალში?

« მე-3 გვერდიდან

■ ■ ■

*კომენტარისთვის საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტ **გიზო ფხოველიშვილს** მივმართეთ.*

**- ეროვნული ჩემპიონატი რატომ არ ტარდება?**

- სექტემბერში ჩემპიონთა ლიგის ეტაპს ვუმასპინძლეთ და "იბერია" იქ მონაწილეობისათვის ემზადებოდა. ოქტომბერში კი ნაკრებებს შორის მსოფლიოს შესარჩევი ციკლის შეხვედრებს ვუმასპინძლეთ, ნაკრები შეკრებაზე იყო და ჩემპიონატიც ამის გამო გადაიდო.

**- თქვენმა ოპონენტებმა, ამის პასუხად და მაგალითად, ეს მოიყვანეს: "კლასიკურ" ფეხბურთში ევროთასებისა და სანაკრებო თამაშების გამო ეროვნული ჩემპიონატი ჩვეულებრივად ტარდებაო...**

- იცით, რა პრობლემაა? ფუტსალის გუნდებში საშუალოდ რვა კაცია და ორის წამოყვანითაც გუნდი აღარ რჩება.

**- შემდეგი პრეტენზია რეგიონებს უკავშირდება. ქუთაისის, ბათუმის, თელავისა და გორის გუნდები დაიკარგა, ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ურთიერთობა არ აქვსო.**

- საიდან მოიტანეს, რომ რეგიონებში არ ჩავდივარ? ბევრ გუნდს ჩვენ მიერ ჩატარებულ პირველ ჩემპიონატში ვეხმარებოდით, მაგრამ გუნდი სპონსორზე უნდა იყოს მიბმული და მინიმალური დაფინანსება ჰქონდეს. სახეობით დაინტერესება არის, მაგრამ სპონსორობაზე რომ მიდგება საქმე, თავს იკავებენ. ეს გლობალური პრობლემაა და არა— ფხოველიშვილის.

**- ჩემპიონატი 3 თებერვალს დაიწყება?**

- 17-ში დაიწყება და ექვსი გუნდი მიიღებს მონაწილეობას: "იბერია", "ალგო", "თელასი", თელავისა და ქუთაისის გუნდები.

**- ასოციაციას ოფისი მართლა აღარ აქვს?**

- ოფისი არის ჩემი კომპანია "ალგორითმის" კუთვნილ შენობაში.

**- ავთო ასათიანი გამგეობის წევრთა იგნორირებით მოხსნესო.**

- კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალი მწვრთნელი კარგა ხნის მერე დაინიშნა.

**- დღეს ფუტსალის ასოციაციაში მხოლოდ ორი კაცი მუშაობს – პრეზიდენტი და ნაკრების მწვრთნელი; მეტი თანამშრომელი არ ჰყავთო.**

- რატომ? ჯამში 12 თანამშრომელი გვყავს.

**- არ გაქვთ სურვილი პირადად მოისმინოთ ამ ადამიანების მოსაზრებები?**

- ჩემი სურვილიც ეს არის. ჩვენ თუ დროს მხოლოდ ერთმანეთთან დაპირისპირებაში გავატარებთ, საქმე არ გამოვა.

■ ■ ■

დავუკავშირდით ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზაალ ჩიტალაძესაც.**

**- თქვენს მიმართ პრეტენზია ეროვნული ნაკრებში "ალგოს" მოთამაშეთა სიმრავლეს უკავშირდება: 14 ფეხბურთელიდან 11 მის კლუბს წარმოადგენდა, რომლის დამფუძნებლები ასოციაციის პრეზიდენტი და თავად ნაკრების მთავარი მწვრთნელი არიანო.**

- მე სტატისტიკით ვუპასუხებ: თბილისში ჩატარებულ შესარჩევ ციკლის მატჩებში ნაკრებში "ალგოდან" მხოლოდ 4 მოთამაშე გამოვიძახე.

**- გრიგოლია ამბობს, რომ ნაკრებში არ გამოიძახეს ყველაზე გამოცდილი ქართველი ლეგიონერი გიორგი თორთლაძე, მიზეზად კი ბილეთის ფულის არქონა დაასახელესო.**

- თორთლაძე ბოლო შესარჩევში მონაწილეობდა და სამივე შეხვედრა ჩაატარა.

**- ესპანეთში თამაშობს ნიკა ოსეფაშვილი, სერბეთში მეკარე დათო კეფაშვილი და არ იწვევენო.**

- კეფაშვილი ნაკრების მეორე მეკარეა და სისტემატურად ვიწვევთ. ოსეფაშვილი აქ თამაშობდა, ვიცით, რომ ესპანეთშია, მაგრამ სად და რომელ ლიგაშია, არ ვიცით და როგორ მოვიწვიოთ? თუმცა მაინტერესებს და მსურს ინფორმაცია მოვიპოვო.

**- რატომ გაუქმდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები?**

- ეს ბიჭები გაიზარდნენ და ეროვნული ნაკრების წევრები გახდნენ. ახალგაზრდულისთვის კი აუცილებელია ჯგუფების ჩამოყალიბება. ამაზე ასოციაცია ზრუნავს. უახლოეს პერიოდში გაკეთდება 21, 19 და 17-წლამდელთა ჯგუფები, რომ გუნდებსაც ჰქონდეთ შევსება და ნაკრებებსაც. ეს პროექტი მზად არის და ველით, სპორტის სამინისტრო რომ დაამტკიცებს.

**- შედეგებს რაც შეეხება...**

- 2010-2011 წლებში საქართველოს ნაკრებმა მოიგო 5 მატჩი, 4 ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთი წავაგეთ, ისიც მაკედონიის ძლიერ ნაკრებთან.

**- მაგრამ ადრე ნაკრები შესარჩევ ციკლიდან იოლად გადიოდაო.**

- ნაკრების ბირთვი გაახალგაზრდავდა და ჯგუფიდან გავედით, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება წაგვართვეს.

### საქართველოს ნაკრებების 2010-2011 შედეგები

2010 წლის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა შეადგენდა 2011 წლის ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვს.

| | |
|---|---|
| **2010 წელი** | |
| **ამხანაგური სარეიტინგო თამაში:** | |
| საქართველო-საფრანგეთი | 4:2 |
| საქართველო-საფრანგეთი | 8:2 |
| **ამხანაგური სარეიტინგო თამაში:** | |
| საქართველო-პოლონეთი | 2:2 |
| საქართველო-პოლონეთი | 5:5 |
| **2011 წელი** | |
| ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მაკედონიაში: | |
| ესტონეთი-საქართველო | 0:8 |
| ინგლისი-საქართველო | 0:4 |
| მაკედონია-საქართველო | 2:1 |
| მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საქართველოში: | |
| საქართველო-სომხეთი | 2:2 |
| საქართველო-მალტა | 10:0 |
| საქართველო-მოლდოვა | 2:2 |

**მერაბ მამულაშვილი**

პრემიერლიგა. XXIII ტური

# ხელიდან გაფრენილი გამარჯვება

**არსენ ვენგერის** განკარგულებაში რამდენიმე ფეხბურთელი იყო, რომელთაც ბოლო ხანს ტრავმების გამო თამაში არ უწევდათ. უპირველესად **ბაკარი სანიას** ვგულისხმობთ. მიუხედავად 4-თვიანი პაუზისა (ბოლოს 2 ოქტომბერს ითამაშა), 28 წლის ფრანგი იოლად ჩაჯდა გუნდში და ორიოდე ეპიზოდში თანაგუნდელებს საგოლე სიტუაციაც შეუქმნა. სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა **მიკელ არტეტაც**. რაც შეეხებათ "მანანნალებს", მათ ბოლო 7 შეხვედრაში 4 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება ჰქონდათ. ასე რომ, **ოუენ კოილის** გუნდზე ნამდვილად შეიძლება თქმა, რომ კარგ ფორმაში არიან და "არსენალთან" ქულას რომ გამოჰკრეს ხელი, გასაკვირი არაფერია. თამაში საშუალო ტემპში დაიწყო. პირველი მომენტი მხოლოდ მე-10 წუთზე შეიქმნა, როცა მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდე-



ფრეიზერ კემპბელი



სტივენ უორნოკი



ჯიბრილ სისე

ბულ ბურთს **რობინ ვან პერსი** თავით გამოეხმაურა. ჰოლანდიელმა ბურთის ტრაექტორია კარგად ვერ გათვალა და ისე ვერ დაარტყა, როგორც უნდოდა. მცველებმა სიტუაცია იოლად განმუხტეს. ვან პერსის შეხვედრის განმავლობაში თავის გამოჩენა კიდევ შეეძლო, მაგრამ ერთხელ ხარიხას გაარტყა და მეორედ კი სულ რალაც 2 მეტრიდან - ძელს. გუნდისთვის სამი ქულის მოტანა შეეძლო **ტეო უოლკოტსაც**, თუმცა მან მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა. თავის მხრივ რეალური საგოლე სიტუაციები გაანიავეს მასპინძლებმაც. ჯერ იყო და, **კოშელნიმ** ვერ მოახერხა **ნგოგთან** გამკლავება და რომ არა **შჩესნი**, გოლი ნამდვილად გავიდოდა. ბოლტონელთა ფრანგმა თავდამსხმელმა პირველ ტაიმში კიდევ ერთი მომენტი გააფუჭა, როცა საჯარიმოში ბურთი ტექნიკურად დაიმორჩილა და 6-7 მეტრიდან დაარტყა. მიზნამდე ბურთს სანტიმეტრები დააკლდა. პრინციპში სულ ეს არის. ვფიქრობთ, თამაშზე, სადაც გოლი არ გასულა, მეტი ლაპარაკი არ ღირს. მატჩის შემდეგ **არსენ ვენგერი** უკმაყოფილი იყო შედეგით. აი, რა თქვა მან: *"გვესმის, რომ კიდევ 2 ქულა დავკარგეთ. დავკარგეთ, იმიტომ, რომ მისი მოპოვების არაერთი და ორი შანსი გვქონდა. ისეთი მეტოქე გვყავდა, ვისთან დაპირისპირებაც ყოველთვის ყველას უჭირს. ბევრს ვცდილობდით, მაგრამ არ გაგვიმართლა, ხომ ნახეთ, ბურთი ძელსაც გავარტყით და ხარიხასაც. იმოქმედა იმანაც, რომ "ბოლტონთან" შედარებით ერთი დღით ნაკლები გვქონდა დასასვენებლად და თანაც "ასტონ ვილასთან" ძალიან დიდი ენერგია დავხარჯეთ მოსაგებად. ბიჭები მას შემდეგ ძალიან დაღლილები იყვნენ. მათ უბრალოდ ძალები არ ჰყოფნიდათ. ყოველივეს მიუხედავად, მაინც მჯერა, რომ შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის დაკავება. დიახ, ბევრი ლაპარაკობს რალაც კრიზისზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ამაზე რთული პერიოდებიც გვქონია. ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია".*

■ ■ ■

"ასტონ ვილა"-"ქუინზ პარკის" მატჩში საინტერესო ის იყო, რომ 3-წლიანი პაუზის შემდეგ პრემიერლიგას **ჯიბრილ სისე** დაუბრუნდა და დედაქალაქური გუნდის შემადგენლობაში სადებიუტო შეხვედრაში ულამაზესი გოლით გამოიჩინა თავი. **მარკ ჰიუზის** გუნდმა ამის შემდეგაც განაგრძო შეტევები. 28-ე წუთზე **სტივენ უორნოკმა** ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი მოგერიების ნაცვლად **შეი გივენს** თავით ისე დაურტყა, ვერც ერთი მეკარე რომ ვერ წარმოიდგენს მსოფლიოში. მოულოდნელობის ეფექტმა შედეგი გამოიღო და ანგარიში გაორმაგდა. თითქოს ყველაფერი მშვენივრად იწყებოდა... თუმცა მასპინძლებმა ძალები მოიკრიბეს. ჯერ ფლაგზე გაათამაშეს ბურთი, რომელიც **დარენ ბენტმა** ისევ ცენტრში მიიღო და კარში გადაგზავნა, ბოლოს კი **შარლ ნზოგბიამ** ისარგებლა მცველების დაბნეულობით და ისევ და ისევ ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა **პატრიკ კენის** კარში.

თამაშის შემდეგ ჯიბრილ სისემ ჟურნალისტებთან სალაპარაკოდ მოიცალა: *"პრემიერლიგაში დაბრუნების შანსი მომეცა თუ არა, უმალ გამოვიყენე. "ლაციოში" ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვიყავი, თუმცა ამის მიუხედავად ერთი გოლი და 8 პასი გავაკეთე (სისეს ანგარიშზე 6 შედეგიანი პასია. ლ.ბ.), არც მიკვირს, იქ ხომ ხან ერთ ფლანგზე მათამაშებდნენ, ხან მეორეზე. ჩემთვის ეს უჩვეულო იყო. ახლა მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვითამაშებ. თუკი დარჩენილ დროში 10-12 გოლს გავიტან, ლორან ბლანი ევროპის ჩემპიონატზე ალბათ წამიყვანს კიდეც".*

■ ■ ■

**მარტინ ონილის** "სანდერლენდმა" პრემიერლიგაში არცთუ ყველაზე სუსტი "ნორვიჩი" დაიჭირა და რბილად რომ ვთქვათ, სულ კუდით ქვა ასროლინა. მიმდინარე სეზონში პირველი შეხვედრა ჩაატარა **ფრეიზერ კემპბელმა**, ვინც უმძიმესი ტრავმა მოირჩინა. ფეხბურთელს სულ რალაც 21 წუთი დასჭირდა ულამაზესი გოლის გასატანად. კემპბელმა ბურთი საჯარიმოს გარეთ მოწინაალმდეგე მცველისგან მიიღო, ერთი მოძრაობით აიგდო, მერე კი იმავე ფეხით კი მეკარისგან შორეულ "ცხრიანში" ჩაახვია. დიდებული იყო **სტეფან სესინიონიც**. კონტრშეტევა მეორე გოლისას მან დაიწყო, ფლანგზე გადააწოდა და მერე ბურთს ცენტრში დახვდა და თავით გაიტანა. უკანასკნელად კი ბურთი საკუთარ კარში ნორვიჩელმა აიალამ გაიტანა, როცა **ფილიპ ბერდსლის** ჩაწოდება ჩაჭრა და გატანა კემპბელს არ დაანება.

მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე მარტინ ონილმა თქვა: *"ეს გამარჯვება ღირსეულად მივიპოვეთ. კემპბელის ულამაზესმა დარტყმამ გუნდს საქმე დებიუტშივე გაუადვილა. უნდა ვთქვა ისიც, რომ სამივე გოლი არაჩვეულებრივი გამოგვივიდა. ზოგადად გუნდის თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი".*

ინტერვიუ. კევინ დე ბრუინი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კევინ დე ბრუინი

# კრეატიული ძალა ლურჯებისთვის

**"გენკის" 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა კევინ დე ბრუინმა "ჩელსისთან" ხელშეკრულება 5,5 წლით გააფორმა და 6-თვიანი იჯარით ძველ კლუბს იმავე დღეს დაუბრუნდა. მის პოზიციაზე "ლურჯებს" ფლორან მალუდა და ხუან მატა ჰყავთ და რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ამჟამად "არისტოკრატთა" ძირითადში მოსახვედრად მზად არ არის. მას ამ მიზნის მისაღწევა ჯოჯოხეთური შრომა მართებს. მომდევნო სეზონში მალუდა "სტემფორდ ბრიჯს" დატოვებს და თუ მატაც ცენტრისკენ გადაწიეს, კევინს სასტარტო შემადგენლობისკენ გზა გაეხსნება. თუმცა იქამდე დიდი დროა. მოდი, ჯერ იმას მოვუსმინოთ, რას ფიქრობს ფეხბურთელი ლონდონურ კარიერაზე.**

**- უკვე იყავით "სტემფორდ ბრიჯზე"...**

- თავდაპირველად ცოტა მეუცნაურა ამხელა არენა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავი დავანებე ამაზე ფიქრს და მომეწონა. მშვენიერი სტადიონია და დიდებული ატმოსფეროა.

**- რას გეგმავთ სეზონის ბოლომდე?**

- კონტრაქტზე ხელი მოვაწერე და "გენკს" 6-თვიანი იჯარით ვუბრუნდები. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მომდევნო სეზონშიც იჯარით გამიშვან, თუმცა სეზონის მოსამზადებელ პერიოდს გუნდთან ერთად გავივლი, "კობემის" ბაზას შევეჩვევი და თავი თუ გამოვიჩინე, შეიძლება დავრჩე კიდეც.

**- სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ "ჩელსი" თქვენზე დიდხანს ნადირობდა?**

- სამი წლის წინ "გენკის" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, ახლა კი ხელშეკრულება "ჩელსისთან" გავაფორმე. თითქოს არც კი მჯერა. ეს უბრალოდ ოცნებაა, რომელიც ამიხდა.

**- რამდენად კარგად იცნობთ ინგლისურ პრემიერლიგას?**

- პრემიერლიგას თვალს ყოველთვის ვადევნებდი, თუმცა იმიტომ, რომ დედაჩემი ნახევრად ინგლისელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩემპიონატს უფრო ვუყურებდი, ვიდრე ბელგიისას. ასე რომ, აქაურ ფეხბურთზე ბევრი რამ ვიცი. როცა პატარა ვიყავი ჩემს ოჯახში ყველა "ლივერპულს" გულშემატკივრობდა. აი, როცა პროფესიონალი გავხდი, სხვა გუნდები უკვე ალარავის გახსენებია.

**- ბელგიიდან ინგლისში სათამაშოდ გადასვლას სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევთ?**

- დიახ, მგონია, რომ ეს ერთი კი არა ერთბაშად რამდენიმე ნაბიჯია წინ. "ჩელსი" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია. მისი და "გენკის" შედარებაც კი შეუძლებელია. სწორედ ამისკენ მივისწრაფოდი დიდი ხანი. მიზნის მისაღწევად კიდევ ბევრს ვიშრომებ.

**- გადაწყვეტილების მიღებამდე რომელუ ლუკაკუსა და ტიბო კურტუასთან (იჯარით "ატლეტიკოში" თამაშობს. რედ) თუ გაიარეთ კონსულტაცია?**

- დიახ, ინგლისში წასვლის წინ რომელუს სმს მივწერე, ტიბოს კი ბოლო სანაკრებო შეკრებაზე ველაპარაკე.

**- თქვენ უკვე გაქვთ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება.**

- სამწუხაროდ, ტრავმის გამო 6-დან მხოლოდ 4 შეხვედრაში ვითამაშე. მართალია ბევრი ვერაფერი შედეგი ვაჩვენეთ, მაგრამ ისეთი გუნდისთვის, როგორიც "გენკია", ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა თავისთავად უკვე მიღწევაა. "ჩელსისთან" ლონდონში ძალიან გაგვიჭირდა. მთელი თამაში პრაქტიკულად შანსი არ გვქონია.

**- როგორ დაახასიათებთ თქვენს თავს "არისტოკრატთა" ფანების წინაშე?**

- "გენკში" მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობდი. საერთოდ ბავშვობიდან კრეატიული სტილის ფეხბურთელი ვარ. ორივე ფეხს პრაქტიკულად ერთნაირად ვხმარობ, თუმცა ბურთის დარტყმა მარჯვენათი მირჩევნია.

ამბები

## ნელსენი ტოტენჰემში წავიდა

"ტოტენჰემმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ "ბლექბერნიდან" ახალზელანდიელი ცენტრალური მცველი, 34 წლის **რაიან ნელსენი** გადაიბირა. "ვარდებმა" ფეხბურთელთან ურთიერთშეთანხმებით კონტრაქტი გააუქმეს, რადგან მას მუხლის სერიოზული ტრავმა აწუხებდა. ნელსენმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა, რითაც "დეზებმა" ისარგებლეს და ფეხბურთელს 6-თვიანი კონტრაქტი გაუფორმეს. თუკი კლუბი მისი გარჯით კმაყოფილი დარჩება, თანამშრომლობა ავტომატურად 1 წლით გაგრძელდება. იმ პირობებში, როცა ლონდონელთა ცენტრალურ მცველებს ტრავმის ეპიდემია სჭირთ, ნელსენის გამოცდილების გამოყენება ნამდვილად შეიძლება. იცით, რომ **ლედლი კინგს** მუხლი პრაქტიკულად მთელი კარიერაა აწუხებს, **ვილიამ გალასიც** რა ხანია ლაზარეთშია, ხშირად ავადმყოფობს **მაიკლ დოუსონიც**. ახალზელანდიელს თავის გამოჩენა შეიძლება მალევე მიეცეს.

## ჩელსი მილიარდი დაჯდა

**რომან აბრამოვიჩმა** "ჩელსი" 2003 წლის ზაფხულზე შეიძინა. კლუბმა აღორძინება ნელ-ნელა დაიწყო. პირველ ეტაპზე იმისთვის, რომ გუნდს შედეგისთვის რაც შეიძლებოდა სწრაფად მიეღწია, რუსი ოლიგარქი ფულს არ იშურებდა. მართალია, უკვე დიდი ხანია ფიქრობენ "ჩელსის" რეფორმირებაზე, მაგრამ ის 8,5 წლის თავზეც კი წამგებიან ორგანიზაციად მიიჩნევა. ამ დღეებში "არისტოკრატებმა" ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნეს. ამის შემდეგაც "ტრიბალფუტბოლის" ექსპერტებმა დაიანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ტრანსფერებისა თუ უბრალოდ დოტაციისთვის ბიზნესმენმა კლუბს 630 მილიონი ფუნტი გამოუყო. ამას თუ დავუმატებთ 340 მილიონს, რაც აბრამოვიჩმა "ჩელსის" სააქციო კაპიტალის გასაზრდელად ჩადო, საერთო ხარჯი 970 მილიონ ფუნტს მიუკაკუნებს, რაც 1 169,51 ათას ევროს უტოლდება.

## სანდერლენდმა ბრაუნი დაკარგა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ცენტრალური მცველი, 32 წლის **ვეს ბრაუნი** "შავ კატებში" პირველ სეზონს ატარებს. "ოლდ ტრეფორდისგან" განსხვავებით, ტრავმები აქ ფეხდაფეხ აღარ დასდევდა, თუმცა მის ბედნიერებას წერტილი უკვე დაესვა. ვეტერანმა ფეხბურთელმა მუხლის სერიოზული ტრავმა "მიდლსბროსთან" ასოციაციის თასის მე-4 ეტაპის შეხვედრაში მიიღო და გუნდს მინიმუმ ორი თვით ჩამოშორდა. *"ვესს ოპერაცია ალბათ არ დასჭირდება, მაგრამ იარის მოშუშებისთვის მინიმუმ 8 კვირა ან მეტი დასჭირდება. იმედს ვიტოვებთ, რომ პრემიერლიგის დასკვნითი ტურებისთვის ის შეძლებს დაბრუნებას და გუნდს სერიოზულ დახმარებას გაუწევს. თუმცა არც ის გამიკვირდება, თუკი მკურნალობა გაიწელება და მთელ დარჩენილ სეზონს გამოტოვებს,"* – განაცხადა "სანდერლენდის" თავკაცმა **მარტინ ონილმა**.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A. XXI ტური

# ლაციოს ისტორიული ტრიუმფი

## და მილანური 4:4 კალჩოს სასარგებლოდ

**კალიარი-რომა 4:2**

**გოლები:** 1:0 რიბეირო (6), 1:1 ჟუანი (13), 1:2 ბორინი (34), 2:2 პინილია (41), 3:2 რიბეირო (49), 4:2 ეკდალი (90).

**ინტერი-პალერმო 4:4**

**გოლები:** 0:1 მანტოვანი (17), 1:1 მილიტო (22), 1:2 მიკოლი (52), 2:2 მილიტო (55-პენ.), 3:2 მილიტო (61), 3:3 მიკოლი (66), 4:3 მილიტო (69), 4:4 მიკოლი (85).

**ლაციო-მილანი 2:0**

**გოლები:** 1:0 ერნანესი (76), 2:0 როკი (85).

**უდინეზე-ლეჩე 2:1**

**გოლები:** 1:0 პაციენცა (2), 1:1 დი მიკელე (26), 2:1 დი ნატალე (36).

**ნაპოლი-ჩეზენა 0:0**

**ნოვარა-კიევო 1:2**

**გოლები:** 0:1 პელისიერი (33), 0:2 ტერეაუ (78), 1:2 მასკარა (79)

**პარმა-იუვენტუსი**
**ბოლონია-ფიორენტინა**
**სიენა-კატანია**
**ატალანტა-ჯენოა**
**გადაიდო**

მოკლედ, ვერა და ვერ დალაგდა სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ცხრილი – აი ასეა, როდესაც პირველივე ტური გადაიდება და ამით არეულობას დაიბედებ, მერე ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ჯერ იყო და, მთელი პირველი წრე გუნდებს ტურის რიგითობასთან ერთით ნაკლები თამაში ჰქონდათ ჩატარებული, 2011 წელი კი სულაც პირველმა ტურმა დახურა. შემდეგ, თითქოს დალაგდა ყველაფერი, მაგრამ ძლიერი წვიმის გამო "კატანია"-"რომას" პაექრობა გადაიდო – უფრო სწორად, შეწყდა და გუნდებს დარჩენილი ნახევარი საათი აქვთ სათამაშო. ანუ, სიცილიურ და რომაულ გუნდებს თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული, თუმცა ვერც იმას ამბობენ, რომ ერთი თამაში, სრული თამაში თადარიგში აქვთ... XXI ტურმა კიდევ უფრო ჩახლართა ყველაფერი, ოთხი მატჩი გადაიდო, რამაც სატურნირო ცხრილს კიდევ უფრო ქაოსური სახე მისცა. მეტიც, **ადრიანო გალიანი** აქედანვე ითხოვს მომდევნო ტურში დაგეგმილი "მილანი"-"ნაპოლის" ჯახის გადადებას, რადგან სინოპტიკოსთან ვარაუდით, ლომბარდიის დედაქალაქში მოახლოებულ უქმეებზე დიდთოვლობა და ძლიერი ყინვა იქნება. ავად თუ კარგად, სერია A მაინც გრძელდება და ჩვენც, ოთხშაბათს გამართულ, გნებავთ გადარჩენილ შეხვედრებზე მოგითხრობთ...



ტომაზო როკი და თავდახრილი მილანელები

ცენტრალური პაექრობა რომში გაიმართა, სადაც 5 გრადუსი სითბო იყო და არ თოვდა, ეს კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თამაში გამართულიყო. ოლიმპიურ სტადიონზე მისულ 55 000-მდე გულშემატკივარს კი ნამდვილად არ უნანია უთოვლობა, რადგან მათმა საყვარელმა გუნდმა, არც მეტი, არც ნაკლები 14-წლიანი ნავსი გატეხა – დიახ, "ლაციომ" "მილანს" ორი უპასუხო გოლი გაუტანა და წლების განმავლობაში დაუმარცხებელი მეტოქე ბეჭებზე გააკრა.

თამაში სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა მილანელებს ერთი ხეირიანი მომენტი რაა, ის არ შეუქმნიათ. უფრო სწორად, ერთი შექმნეს, თუმცა ისიც შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე, როდესაც ანგარიში უკვე 2:0 იყო რომაელთა სასარგებლოდ. **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** გრძელი გადაცემის შემდეგ დაიმორჩილა ბურთი და დაარტყა კიდეც, თუმცა მიზანმა უმტყუნა. იქამდე უფრო მწვავედ სწორედ მასპინძლები უტევდნენ და ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. მომენტებს აღარ მოვყვებით და პირდაპირ 76-ე წუთზე გადავხტებით, როდესაც **ტომაზო როკიმ** ბურთი ოსტატურად გაატარა და რასაც **ერნანესის** შესანიშნავი დარტყმა მოჰყვა – **კრისტიან აბიატის** ნახტომი ამაო გამოდგა და 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. სულ რამდენიმე წუთში, რომაელებმა იდენტური კომბინაცია გაითამაშეს, როკი ისევ გადაახტა ბურთს, ერნანესმა ისევ დაარტყა, მაგრამ ამჯერად მცირედით არაზუსტად. შეხვედრის დასრულებამდე ხუთიოდე წუთით ადრე კი ყველა კითხვას გაეცა პასუხი – ახლო მანძილიდან ტომაზო როკიმ აბიატის კარის ახლო ცხრიანი დალაშქრა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 2:0.

ნამატჩევს, **მასიმილიანო ალეგრიმ** შემდეგი განაცხადა: *"ბოლო პერიოდში, ძალიან მოვუკელით და ვერ ვაჩვენებთ ისეთ ფეხბურთს, რამაც გასულ სეზონში სკუდეტო მოგვაგებინა. ეს კარგად უნდა გავიაზრით და განვლილი მატჩებიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. დარწმუნებული ვარ, მალე გამოვასწორებთ მდგომარეობას და დაკარგულ ქულებსაც ავინაზღაურებთ. მით უმეტეს, წინ კიდევ ბევრი თამაშია დარჩენილი. ამიტომ, ტურინელებს არ ვურჩევდი, რომ მოდუნდნენ და სკუდეტო უკვე მოგებულად ჩათვალონ".*

**ანტონიო კონტეს** ეგეთები არ ეშლება და ალეგრი სულ ტყუილად ნერვიულობს – "იუვეს" თავკაცი, როგორც წესი, ძალიან ფრთხილია და ვგონებთ, იქამდე არ დაძრავს სკუდეტოზე სიტყვას, სანამ თასს ჰაერში არ აღმართავს. ჯერ კიდევ სამშაბათს, ტურინულ გრანდს "პარმასთან" უნდა გაემართა გასვლითი პაექრობა, მაგრამ დიდთოვლობის გამო, მატჩი გადაიდო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხშაბათს იგივე ბედი კიდევ ოთხმა შეხვედრამ გაიზიარა. სამაგიეროდ, თოვლს გაუძლო "ჯუზეპე მეაცას" გაზონმა, სადაც "ინტერი" "პალერმოს" დაუხვდა და იქ ამბები დატრიალდა, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია...

მილანური მატჩის გოლები რომ სათითაოდ აღვწეროთ, ნახევარი გვერდი არ გვეყოფა – ამიტომ, მოკლედ ვთქვათ, რომ შეხვედრას ორი გმირი ჰყავდა: **დიეგო მილიტო** და **ფაბრიციო მიკოლი**. პირველმა პოკერი შეასრულა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ნელ-ნელა, უფრო სწორად სწრაფ-სწრაფად, ოპტიმალურ ფორმას იბრუნებს – აი მიკოლიმ კი მორიგი ფანტასტიკური შეხვედრა ჩაატარა და ერთი ისეთი გოლი გაიტანა, ისტორიას რომ შემორჩება: მარცხენა ფრთიდან არა ჩაწოდებულს, დარტყმულს გამოეხმაურა და ნახტომში თავით შეუცვალა ბურთს მიმართულება, რის შემდეგაც ანგარიში 3:3 გახდა. მას შემდეგ, გუნდებმა კიდევ თითო გოლი გაცვალეს და საბოლოოდ, 4:4 იტალიური ფეხბურთის სასარგებლოდ. დიახ, კალჩოშიც ხდება ასეთი რამეები და არცთუ იშვიათად...

"უდინეზემ" "ლეჩეს" უმასპინძლა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, 2:1. უდინელთა შორის პირველი გოლი ახალწვეულმა, **მიკელე პაციენცამ** გაიტანა, ხოლო მეორე მარადიულმა მეგოლემ, **ანტონიო დი ნატალემ**. ფრიულელებმა უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერეს აქტივში და "მილანს" კუდზე დააჯდნენ. აქვე ვთქვათ, რომ "ნაპოლის" კრიზისი "ჩეზენასთან" საშინაო შეხვედრაში გაგრძელდა – დიდხანს უტრიალეს მასპინძლებმა სტუმართა კარს, მომენტებიც უხვად შექმნეს, მაგრამ ბურთმა არაფრით ინება "ჩეზენას' კარის ხაზის გადაკვეთა. ამრიგად, "ნაპოლი" კიდევ უფრო ჩამორჩა ლიდერებს და ალბათ, ველარც დაეწევა მათ. ვნახოთ, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 12 | 8 | 0 | 33-13 | 44 |
| 2. მილანი | 21 | 13 | 4 | 4 | 43-19 | 43 |
| 3. უდინეზე | 21 | 12 | 5 | 4 | 31-17 | 41 |
| 4. ლაციო | 21 | 11 | 6 | 4 | 32-19 | 39 |
| 5. ინტერი | 21 | 11 | 3 | 7 | 34-25 | 36 |
| 6. რომა | 20 | 9 | 4 | 7 | 31-25 | 31 |
| 7. ნაპოლი | 21 | 7 | 9 | 5 | 36-24 | 30 |
| 8. პალერმო | 21 | 8 | 4 | 9 | 30-31 | 28 |
| 9. ჯენოა | 20 | 8 | 3 | 9 | 28-36 | 27 |
| 10. კიევო | 21 | 7 | 6 | 8 | 18-26 | 27 |
| 11. კალიარი | 21 | 6 | 8 | 7 | 20-22 | 26 |
| 12. ფიორენტინა | 20 | 6 | 7 | 7 | 20-17 | 25 |
| 13. პარმა | 20 | 6 | 6 | 8 | 25-33 | 24 |
| 14. კატანია | 19 | 5 | 8 | 6 | 22-28 | 23 |
| 15. ატალანტა | 20 | 7 | 8 | 5 | 24-25 | 23 |
| 16. ბოლონია | 20 | 5 | 6 | 9 | 18-26 | 21 |
| 17. სიენა | 20 | 4 | 7 | 9 | 21-22 | 19 |
| 18. ლეჩე | 21 | 4 | 4 | 13 | 22-38 | 16 |
| 19. ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13-31 | 16 |
| 20. ნოვარა | 21 | 2 | 6 | 13 | 19-42 | 12 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 15 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი), დი ნატალე (უდინეზე); 12 - დენისი (ატალანტა), კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო), მილიტო (ინტერი).

**მომდევნო ტური**

4 თებერვალი: ჩეზენა-კატანია, რომა-ინტერი;

5 თებერვალი: ჯენოა-ლაციო, პალერმო-ატალანტა, ლეჩე-ბოლონია, ნოვარა-კალიარი, კიევო-პარმა, იუვენტუსი-სიენა, ფიორენტინა-უდინეზე, მილანი-ნაპოლი.

გერმანია.
ბუნდესლიგა. XX ტური

**დღეს**

**ნიურნბერგი-დორტმუნდი** 23:30

● სერია A

# თოვლიანი თრილერის გამოძახილი

## და არა მარტო...

XXI ტურის გამართული შეხვედრებიდან ორი უხვგოლიანი გამოვიდა: სარდინიაზე "კალიარიმ" "რომა" დაიბრიყვა და მეტოქის ორ გოლს ოთხით უპასუხა, მილანში კი "ჯუზეპე მეაცაზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა რვა გატანილი გოლი იხილეს, ოთხი "პალერმოს", ოთხიც "ინტერის" კარში. თანაც, მილანური მატჩი თოვლში გაიმართა, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, რამაც ფეხბურთელთა ფეერიულ გარჯას მეტი ფასი დაადო. ნამატჩევს, **კლაუდიო რანიერი** ემოციებში იყო და თითქოს დაკარგულ ქულებზე დიდად არც ნერვიულობდა:

*"დასანანია, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ისეთი მატჩი ვნახე, სიმართლე გითხრათ, ამ წუთამდე ეიფორიაში ვარ. ეს იყო სპექტაკლი, რომელიც ორი ძალიან კარგი გუნდის მონაწილეობით ვიხილეთ. დიეგო მილიტოზე დამწყდა გული, იშვიათად ხდება მოთამაშემ პოკერი შეასრულოს და ეს მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდეს. დაცვაში ვერ ვივარგეთ და ამაზე სამუშაო გვაქვს, თუმცა დღეს ნუ დავწვრილმანდებით, ყველამ ერთად ფანტასტიკური თამაში ვიხილეთ".*

**დიეგო მილიტოსთან** ერთად, შეხვედრის გმირი უდავოდ **ფაბრიციო მიკოლი** გახლდათ – ალბათ უფრო მაგარი გმირიც, რადგან ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, შედეგით სწორედაც რომ სიცილიელებმა გაიხარეს. მოვუსმინოთ მიკოლის:

*"ისეთი მატჩი იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაგუნდელებს, რომლებმაც ყველაფერი დადეს მოედანზე და მომცეს საშუალება, რომ ჰეთთრიკი შემესრულებინა. ბოლო დროს, "პალერმო" აღმავლობის გზას დაადგა და ეს მატჩი ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. დარწმუნებული ვარ, სეზონის ბოლომდე ასე გავაგრძელებთ".*

ორიოდე სიტყვა "რომას' სარდინიულ ფიასკოზეც უნდა ვთქვათ – **ლუის ენრიკეს** გუნდი "კალიარის" ესტუმრა და ყველა კომპონენტში დაიჩაგრა. ბოლოს, სწორედ ესპანელ სპეციალისტს მოვუსმინოთ, რომელმაც შეგირდები მკაცრად გააკრიტიკა: *"როდესაც ბოლომდე არ იხარჯები, არ უნდა გიკვირდეს, რომ მეტოქე ასე იოლად გამარცხებს. დიახ, ჩვენ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ "კალიარის" და სრულიად დამსახურებულად დავმარცხდით. სათქმელი არაფერი მაქვს, ჩვენ მხოლოდ 20 წუთი ვითათამაშეთ ფეხბურთი, დარჩენილი დროის განმავლობაში კი საცოდავად გამოვიყურებოდით. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ფეხბურთელებთან სერიოზულად მმართებს დალაპარაკება. დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი რამ მომავალში აღარ განმეორდება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



მარტენ სტეკელენბურგს ოთხჯერ გამოაღებინეს ბურთი კარიდან



ფაბრიციო მიკოლიმ თოვლში იფრინა

იანვრის სარკმელი

დასასრული. დასაწყისი ლელო №26 (13 632)

# ტოპ-4 და სხვა
## ზამთრის ყველა ტრანსფერი, რეკორდები

**ვასრულებთ ზამთრის სატრანსფერო სეზონის სრულ სიას - ტოპ ოთხეულიდან მხოლოდ იტალიის ჩემპიონატი დაგვრჩა. სხვათა შორის, იტალიაში, შესაძლოა, ხმაურიანი ტრანსფერი მრავლად არ იყო, მაგრამ კლუბებმა საკმაოდ იაქტიურეს სატრანსფერო ბაზარზე, განსხვავებით ესპანური კლუბებისგან. აქვე გთავაზობთ საფრანგეთის, შოტლანდიის, პორტუგალიისა და ჰოლანდიის ტოპგუნდების ტრანსფერებსაც.**



ტიაგო მოტა პსჟ-ს წარდგენაზე

### იტალია. სერია ა.

რეკორდული ტრანსფერი
11,5 მილიონი ევრო
**ედუარდო ვარგასი**
„უნივერსიდადიდან" „ნაპოლიში"

### ატალანტა

0 დახარჯა/ 5 მლნ. მიიღო

**მივიდნენ:** რიკარდო კაცოლა (იტ; იუვე სტაბია; იჯ), ალესანდრო კაროცა (იტ; ვარეზე; იჯ)

**წავიდნენ:** მარკო არკარი (იტ; კუნეო; იჯ), ფრანჩესკო როსი (იტ; კუნეო; იჯ), სიმონე პადოინი (იტ; იუვენტუსი; 5 მლნ), ფაბიო კასერტა (იტ; იუვე სტაბია; უცნ), კრისტიან ტიბონი (იტ; მონზა; იჯ), ლეონარდო პეტინარი (იტ; ვარეზე; იჯ)

### ბოლონია

0/0

**მივიდნენ:** იშაკ ბელფოდილი (საფრ; ლიონი; იჯ), ფრედერიკ სიორენსენი (დან; იუვენტუსი; უცნ)

**წავიდნენ:** ჯუზეპე ნაცანი (იტ; ებოლიტანა; იჯ), მანუელ გავილანი (ესპ; პიაჩენცა; იჯ), ფედერიკო როდრიგესი (ურუ; პიაჩენცა; იჯ), რიკარდო პასი (იტ; ჩიასო; იჯ), მასიმო კოდა (იტ; სირაკუზა; იჯ)

### კალიარი

0/0

**მივიდნენ:** ჯოვანბატისტა კატალანო (იტ; ვიგორი; იჯ), მაურისიო პინილია (ჩილე; პალერმო; იჯ), ნიკოლას ბოვი (იტ; რეჯანა; გაცვლა), დანიელე დესენა (იტ; სამპდორია; უცნ)

**წავიდნენ:** მაურო ვიგორიტო (იტ; ტრიესტინა; იჯ), პაოლო დამეტო (იტ; პრატო; იჯ), დავიდე ბიონდინი (იტ; ჯენოა; უცნ), დანიელე მაჯორჩეტი (იტ; რეჯანა; გაცვლა), სალვატორე ბურაი (იტ; ლატინა; უცნ)

### კატანია

0/1,5

**მივიდნენ:** ველინგტონ ტომი (ბრა; უბერაბა; უცნ), ოსარიემენ ებაგუა (ნიგ; ტორინო; იჯ), მარკო ფიორე (იტ; მილაცო; უცნ), ფელიპე სეიმოური (ჩილე; ჯენოა; იჯ), მარკო მოტა (იტ; იუვენტუსი; იჯ)

**წავიდნენ:** ალფრედო დონარუმა (იტ; ვირტუსი; იჯ), პაბლო ალვარესი (არგ; სარაგოსა; იჯ), ჯენარო დელვეკიო (იტ; ლეჩე; უცნ), ფრანჩესკო ნიკასტრო (იტ; მილაცო; იჯ), მაქსი ლოპესი (არგ; მილანი; 1,5 მლნ), მარიანო ანდუხარი (არგ; ესტუდიანტესი; იჯ), პაბლო ლედესმა (არგ; ბოკა; იჯ), სერხიო კეკო (ესპ; გროსეტო; იჯ), ფაბიო სკიაკა (იტ; გროსეტო; იჯ)

### ჩეზენა

0/0,5

**მივიდნენ:** სიმონე დელ ნერო (იტ; ლაციო; იჯ), მარიო სანტანა (არგ; ნაპოლი; იჯ), ვინჩენცო იაკვინტა (იტ; იუვენტუსი; იჯ), დანიელ პუდილი (ჩეხ; გრანადა; იჯ), ვაგელის მორასი (საბ; სუონსი; თავ. აგ)

**წავიდნენ:** ერიონ ბოგდანი (ალბ; სიენა; უცნ), ალექს ტეოდორანი (იტ; კარარეზე; უცნ), ედერი (ბრა; სამპდორია; იჯ), ლუკა რიკი (იტ; სპეცია; იჯ), ალდო სიმონჩინი (სან. მარ; ვალენძანა; იჯ), სესარ მეზა კოლი (ჰოლ; ალავესი; იჯ)

### კიევო

0/0

**მივიდნენ:** მიკაელ ფაკინეტი (შვეი; ლუგანო; იჯ), ნიკოლა გულანი (სერბ; ფიორენტინა; იჯ), დარიო დაინელი (იტ; ჯენოა; იჯ)

**წავიდნენ:** ნესტორ დიენგო (იტ; ლუმეცანე; იჯ), სერხიო ვიოტი (იტ; გროსეტო; იჯ), პაბლო გრანოჩე (ურუ; ვარეზე; იჯ), მარკო გალოცი (იტ; ემპოლი; იჯ), დომენიკო ძამპალონე (იტ; ავერსა; იჯ)

### ფიორენტინა

2,3/9,7

**მივიდნენ:** რუბენ ოლივერა (ურუ; ლეჩე; 1,8 მლნ), კარვალიო ამაური (იტ; იუვენტუსი; 0,5 მლნ)

**წავიდნენ:** ხუმა ბაბაკარი (სენ; რასინგი; იჯ), ფედერიკო კარარო (იტ; პრო ვერჩელი; იჯ), ნიკოლა გულანი (სერბ; კიევო; იჯ), ჯანი მუნარი (იტ; სამპდორია; უცნ), სავიო ნსერეკო (გერმ; ვასლუი; იჯ), მარკო რომიძი (იტ; ბარი; უცნ); სანტიაგო სილვა (ურუ; ბოკა; 1,7 მლნ), ალბერტო ჯილარდინო (იტ; ჯენოა; 8 მლნ)

### ჯენოა

16/0

**მივიდნენ:** ჩირო იმობილე (იტ; იუვენტუსი; 4 მლნ), ფერნანდო ბელუში (არგ; პორტუ; იჯ), როჟერ კარვალიო (ბრა; ტომბენსე; უცნ), ჩეზარე ბოვო (იტ; პალერმო; 4 მლნ), დავიდე ბიონდინი (იტ; კალიარი; უცნ), ალბერტო ჯილარდინო (იტ; ფიორენტინა; 8 მლნ)

**წავიდნენ:** ჯაკომო ბერეტა (იტ; იუვე სტაბია; იჯ), ფელიპე სეიმოური (ჩილე; კატანია; იჯ), დარიო დაინელი (იტ; კიევო; იჯ), დანიელ ალექსიჩი (სერბ; სტ. ეტიენი; თავ. აგ), ალექსანდერ მერკელი (გერმ; მილანი; უცნ), რიკარდო მეჯორინი (იტ; ტორინო; იჯ), ანდრეა კარაჩიოლო (იტ; ნოვარა; იჯ), სებასტიან რიბასი (ურუ; სპორტინგი; იჯ), მარიანო რუდი (იტ; ლეკო; იჯ)

### ინტერი

5,8/16,5

**მივიდნენ:** ფრედი გუარინი (კოლ; პორტუ; იჯ), ანჯელო პალომბო (იტ; სამპდორია; იჯ), ჟუანი (ბრა; ინტერნასიონალი; 3,8 მლნ)

**წავიდნენ:** ფელისე ნატალინო (იტ; კროტონე; იჯ), აიმან ნაპოლი (იტ; პრატო; იჯ), რიკარდო ბოკალონი (იტ; კარპი; იჯ), ტიაგო მოტა (იტ; პსჟ; 11,5 მლნ), სულეი მუნტარი (განა; მილანი; იჯ), ფილიპე კოუტინიო (ბრა; ესპანიოლი; იჯ), ჟონათანი (ბრა; პარმა; იჯ), ემილიანო ვივიანო (იტ; პალერმო; 5 მლნ), ლუკა კალდიროლა (იტ; ბრეშა; იჯ)

### იუვენტუსი

6,7/4,5

**მივიდნენ:** უასიმ ბუი (ჰოლ; აიაქსი; უცნ), სიმონე პადოინი (იტ; ატალანტა; 5 მლნ), მარტინ კასერესი (ურუ; სევილია; იჯ), მარკო ბორიელო (იტ; რომა; იჯ)

**წავიდნენ:** ჩირო იმობილე (იტ; ჯენოა; 4 მლნ), სიმონე დი დიო (იტ; პერუჯა; იჯ), სიმონე ესპოზიტო (იტ; გროსეტო; უცნ), უსამა ესაბრი (მარ; კროტონე; იჯ), მარკო მოტა (იტ; კატანია; იჯ), მიკელე პაციენცია (იტ; უდინეზე; იჯ), ვინჩენცო იაკვინტა (იტ; ჩეზენა; იჯ), ფაუსტო როსი (იტ; ბრეშა; იჯ), ლუკა ტონი (იტ; ალ ნასრი; თავ. აგ), მარკო კონსტანტინო (იტ; სპალ; იჯ), კარვალიო ამაური (იტ; ფიორენტინა; 0,5 მლნ), დარიო რომანო (იტ; ალექსანდრია; იჯ), ფრედერიკ სიორენსენი (დან; ბოლონია; უცნ), კარლო პინსოლიო (იტ; ვიჩენცა; უცნ), იაგო ფალკე (ესპ; ტოტენჰემი; უცნ), ფილიპო ბონიპერტი (იტ; კარპი; იჯ)



იტალიური ბაზრის რეკორდსმენი ედუარდო ვარგასი

### ლაციო

3,2/5

**მივიდნენ:** ანტონიო კანდრევა (იტ; უდინეზე; იჯ), ემილიანო ალფარო (ურუ; ლივერპული; 3,2 მლნ)

**წავიდნენ:** ჯუზეპე კაპუა (იტ; აველინო; იჯ), ტომაზო ჩეჩარელი (იტ; იუვე სტაბია; იჯ), მანუელ რიკი (იტ; აველინო; იჯ), სიმონე დელ ნერო (იტ; ჩეზენა; იჯ), ჯიბრილ სისე (საფრ; ქპრ; 5 მლნ), ეტორე მენდისინო (იტ; ტარანტო; იჯ)

### ლეჩე

0/2,4

**მივიდნენ:** ლუკა დი მატეო (იტ; პალერმო; იჯ), ვალერი ბოჟინოვი (ბულგ; სპორტინგი; იჯ), ჯენარო დელვეკიო (იტ; კატანია; უცნ), მანუელე ბლაზი (იტ; პარმა; უცნ), ლეონარდო მილიონიკო (ურუ; ლივორნო; უცნ)

**წავიდნენ:** ფაბიო რომეო (იტ; ლირი; უცნ), რუბენ ოლივერა (ურუ; ფიორენტინა; 1,8 მლნ), სტეფანო ფერარიო (იტ; პარმა; იჯ), ჯამელ მესბა (ალჟ; მილანი; 0,5 მლნ), მატეო ლეგიტიმო (იტ; სიუდტიროლი; უცნ)

### მილანი

2,1/1,8

**მივიდნენ:** ლუკას როჯა (ბრა; ინტერნასიონალი; იჯ), სულეი მუნტარი (განა; ინტერი; იჯ); მაქსი ლოპესი (არგ; კატანია; 1,5 მლნ), ალექსანდერ მერკელი (გერმ; ჯენოა; უცნ), ჯემილ მესბა (ალჟ; ლეჩე; 0,5 მლნ)

**წავიდნენ:** ტაიე-ტაივო (ნიგ; ქპრ; უცნ), პიერ-ემერიკ აუბამეიანგი (გაბონი; სტ. ეტიენი; 1,8 მლნ)

### ნაპოლი

11,5/0

**მივიდნენ:** ედუარდო ვარგასი (ჩილე; უნივერსიდადი; 11,5 მლნ)

**წავიდნენ:** არმანდო იცო (იტ; აველინო; უცნ), კოსმო პალუმბო (იტ; კომო; იჯ), მარიო სანტანა (არგ; ჩეზენა; იჯ), დანიელე დონარუმა (იტ; კარპი; იჯ), ჯუზეპე მასკარა (იტ; ნოვარა; უცნ)

### ნოვარა

0/0

**მივიდნენ:** ჯუზეპე მასკარა (იტ; ნაპოლი; უცნ), ანდრეა კარაჩიოლო (იტ; ჯენოა; იჯ)

**წავიდნენ:** ნიკოლო ბიანკი (იტ; ჯულიანოვა; იჯ), ალექს პინარდი (იტ; ვიჩენცა; იჯ), ლუიჯი ჯორჯი (იტ; სიენა; იჯ)

### პალერმო

9,5/4,2

**მივიდნენ:** ემილიანო ვივიანო (იტ; ინტერი; 5 მლნ), ფრანკო ვასკესი (არგ; ბელგრანო; 4,5 მლნ), აგონ მეჰმეთი (შვე; მალმიო; თავ. აგ)

**წავიდნენ:** ელია პელეგრინი (იტ; ვიარეჯო; იჯ), ლუკა დი მატეო (იტ; ლეჩე; იჯ), მაურო სეტო (არგ; ლილი; იჯ), ადამ შიმონი (უნგ; ბარი; იჯ), მაურისიო პინილია (ჩილე; კალიარი; იჯ), ფრანჩესკო ბენუსი (იტ; ტორინო; იჯ), ფრანჩესკო ველარდი (იტ; ფოჯა; იჯ), ჩეზარე ბოვო (იტ; ჯენოა; 4 მლნ), დანიელ კაპალეტი (იტ; იუვე სტაბია; იჯ)

### პარმა

0/4,6

**მივიდნენ:** სამუელე მარინუჩი (იტ; ფონდი; უცნ), ფერნანდო დი ტრონკიო (იტ; ფონდი; უცნ), სტეფანო ფერარიო (იტ; ლეჩე; იჯ), სტეფანო ოკაკა (იტ; რომა; იჯ), ჟონათანი (ბრა; ინტერი; იჯ), მატია სპროკატი (იტ; პავია; იჯ), ფრანჩესკო ფინოკიო (იტ; კრემონეზე; უცნ); დავიდ ლიოფკვისტი (შვე; მიალბი; თავ. აგ)

**წავიდნენ:** ალესანდრო ელია (იტ; არძანეზე; იჯ), გრაციანო პელე (იტ; სამპდორია; უცნ), სტეფან რისტოვსკი (მაკ; ფროზინონე; იჯ), მანუელე ბლაზი (იტ; ლეჩე; უცნ), ფაბიო ბორინი (იტ; რომა; 4,6 მლნ), ნვანკვო ობიორა (ნიგ; გუბიო; იჯ), ფრანჩესკო ფინოკიო (იტ; ფონდი; იჯ)

### რომა

6/0,5

**მივიდნენ:** ჯონათან ფერანტე (იტ; პიაჩენცა; 0,4 მლნ), მარკინიო (ბრა; ფლუმინენსე; იჯ), ფაბიო ბორინი (იტ; პარმა; 4,6 მლნ), ნიკოლას ლოპესი (ურუ; ნასიონალი; 0,79 მლნ)

**წავიდნენ:** სიმონე სინი (იტ; ლივორნო; იჯ), დავიდ პისარო (ჩილე; მანჩესტერ სიტი; იჯ), ჯანლუკა კარპარი (იტ; პესკარა; იჯ), ანტუნეში (პორტ; პანიონიოსი; იჯ), ემილიანო მასიმო (იტ; აველინო; უცნ), მარკო ბორიელო (იტ; იუვენტუსი; იჯ)

### სიენა

0/0

**მივიდნენ:** ერიონ ბოგდანი (ალბ; ჩეზენა; უცნ), ვინჩენცო კალი (იტ; სიუდტიროლი; იჯ), ლუიჯი ჯორჯი (იტა; ნოვარა; იჯ)

**წავიდნენ:** სორინ რადოი (რუმ; ვალენძანა; იჯ), მიჰაელ ივანოვი (ბულგ; პიაჩენცა; იჯ), ჯენარო ტროიანელო (იტ; სასუოლო; იჯ)

### უდინეზე

4,6/0

**მივიდნენ:** დანიელ ბრადაშია (იტ; ლუმეცანე; უცნ), მიკელე პაციენცია (იტ; იუვენტუსი; იჯ), ჟელსონ ფერნანდესი (შვეი; სტ. ეტიენი; იჯ), სტოლე დიმიტრიევსკი (მაკ; რაბოტნიჩკი; 0,6 მლნ), გაბრიელ სილვა (ბრა; პალმეირასი; 4 მლნ)

**წავიდნენ:** დანიელ ბრადაშია (იტ; ტარანტო; იჯ), აბდულვაჰიდ სისოკო (საფრ; ბრესტი; იჯ), ანტონიო კანდრევა (იტ; ლაციო; იჯ), მუსე დუბაი (კოტ; სოშო; იჯ), გაბრიელ სილვა (ბრა; გრანადა; იჯ), სოდინია (ბრა; სეარა; თავ. აგ), სტოლე დიმიტრიევსკი (მაკ; კადისი; იჯ)

>> მე-8 გვერდზე

# ტოპ-4 და სხვა

## ზამთრის ყველა ტრანსფერი, რეკორდები





ლიგა საგრეშის რეკორდი ბრაზილიელმა დანილომ მოხსნა

« მე-7 გვერდიდან

### საფრანგეთი. ლიგა 1

რეკორდული ტრანსფერი
11,5 მილიონი ევრო
**ტიაგო მოტა**
„ინტერიდან" პსჟ-ში

**პსჟ**

20/7,5 მლნ

**მივიდნენ**: ტიაგო მოტა (იტ; ინტერი; 11,5 მლნ), ალექსი (ბრა; ჩელსი; 5 მლნ), მაქსველი (ბრა; ბარსელონა; 3,5 მლნ)

**წავიდნენ**: ალასან ტამბი (საფრ; კორტრიიკი; უცნ), მევლუთ ერდინჩი (თურქ; რენი; 7,5 მლნ), ლოიკ ლანდრე (საფრ; კლერმონი; იჯ)

**ლილი**

9,4/11

**მივიდნენ**: მაურო სეტო (არგ; პალერმო; იჯ), ნოლან რუ (საფრ; ბრესტი; 8 მლნ), ჯონ რუისი (კ.რიკა; საპრისა; 1,2 მლნ)

**წავიდნენ**: ალექსანდრ უკიდია (საფრ; ბაიონი; იჯ), მუსა სოვი (სენ; ფენერბაჰჩე; 10 მლნ), ლუდოვიკ ობრანიაკი (პოლ, ბორდო; 1 მლნ), ომარ ვადი (საფრ; ბოლუსპორი; იჯ)

**ლიონი**

2,5/0

**მივიდნენ**: ელიოტ გრანდინი (საფრ; ბლექპული; იჯ), კევინ ანენი (საფრ; სოშო; 2,5 მლნ)

**წავიდნენ**: ლარის მაბიალა (საფრ; კარაბიუკი; 0,5 მლნ)

**მარსელი**

0/0

**მივიდნენ**: არავინ

**წავიდნენ**: ლუჩო გონსალესი (არგ; პორტუ; თავ. აგ)

### შოტლანდია. პრემიერლიგა

რეკორდული ტრანსფერი
6,6 მილიონი ევრო
**ნიკიცა იელავიჩი**
„რეინჯერსიდან" „ევერტონში"

**რეინჯერსი**

0/6,6

**მივიდნენ**: მერვან ჩელიკი (შვე; გაის; თავ.აგ)

**წავიდნენ**: ნიკიცა იელავიჩი (ხორვ; ევერტონი; 6,6 მლნ), ჯორდან მაკმილანი (შოტლ; დანფერმლაინი; უცნ), გრანტ ადამი (შოტლ; ეირდრი; იჯ), ჯონ ფლეკი (შოტლ; ბლექპული; იჯ), კალ ნეისმითი (შოტლ; პარტიკ თისტლი; იჯ), თომას ბენდიქსენი (ნორვ; ტრომსიო; თავ. აგ), დარენ კოული (შოტლ; პარტიკ თისტლი; იჯ)

**სელტიკი**

0,3/0

**მივიდნენ**: პაველ ბროჟეკი (პოლ; ტრაბზონი; იჯ), მიკაელ ლუსტიგი (შვე; როსენბორგი; თავ. აგ)

**წავიდნენ**: ლუის ტოშნი (შოტლ; კილმარნოკი; იჯ), პოლ სლეინი (შოტლ; მილტონი; იჯ), ჯოშ ტომპსონი (ინგ; ჩესტერფილდი; იჯ)

### პორტუგალია. ლიგა საგრეში

რეკორდული ტრანსფერი
13 მილიონი ევრო
**დანილო**
„სანტოსიდან" „პორტუში"





ნიკიცა იელავიჩი რეინჯერსს ძალიან დააკლდება

**პორტუ**

16/1

**მივიდნენ**: მარკ იანკო (ავსტრ; ტვენტე; 3 მლნ), ლუჩო გონსალესი (არგ; მარსელი; თავ. აგ), დანილო (ბრა; სანტოსი; 13 მლნ)

**წავიდნენ**: ფრედი გუარინი (კოლ; ინტერი; იჯ), ფერნანდო ბელუში (არგ; ჯენოა; იჯ), სერჟიო ოლივეირა (პორტ; პენაფიელი; იჯ), ხორხე ფუსილე (ურუ; სანტოსი; იჯ), მიგელ ლოპესი (პორტ; ბრაგა; იჯ), ვალტერი (ბრა; კრუზეირო; იჯ)

**ბენფიკა**

0/0

**მივიდნენ**: ნიკლას ბარკროტი (შვე; გიოტებორგი; უცნ)

**წავიდნენ**: ნიკლას ბარკროტი (შვე; ლეირია; იჯ), ფაბიო ფარია (პორტ; რიუ ავე; იჯ), რუბენ ამორიმი (პორტ; ბრაგა; იჯ), სეზარ პეიშოტო (პორტ; ჟილ ვისენტე; თავ. აგ), როდრიგო მორა (ურუ; პენიაროლი; იჯ)

**სპორტინგი**

0/1,7

**მივიდნენ**: ჩანდრაუ (ბრა; სან პაულუ; იჯ), სებასტიან რიბასი (ურუ; ჯენოა; იჯ)

**წავიდნენ**: ვალერი ბოჟინოვი (ბულგ; ლეჩე; იჯ), ვილიამი (ანგ; სერკლი; იჯ), ლუის აგიარი (ურუ; პენიაროლი; იჯ), მარკო ტორსილიერი (არგ; მეტალისტი; 1,7 მლნ)

### ჰოლანდია. ერედივიზიე

რეკორდული ტრანსფერი
5 მილიონი ევრო
**აჰმედ მუსა**
„ვენლოდან" ცსკა-ში

**აიაქსი**

0/0

**მივიდნენ**: არავინ

**წავიდნენ**: უასიმ ბუი (ჰოლ; იუვენტუსი; უცნ)

**პსვ**

0/0

**მივიდნენ**: არავინ

**წავიდნენ**: კასიო (ბრა; კორინთიანსი; თავ. აგ)

*შენიშვნა: **იჯ** - იჯარა, **იჯ. დ.** - იჯარიდან დაბრუნდა, **თავ. აგ.** - თავისუფალი აგენტი, **უცნ** - სატრანსფერო თანხა უცნობია*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

ტრაგედია



ერთგული ბიბლიოთეკა

# ვერსიები ტრაგედიასთან დაკავშირებით

ეგვიპტეში მომხდარმა გაუგონარმა ტრაგედიამ ბოლო მონაცემებით 74 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. რამდენიმე ასეულმა ადამიანმა კი საკმაოდ მძიმე ჭრილობები მიიღო. რიგითი გულშემატკივრების თქმით, ეს კარგად დაგეგმილი შურისძიება იყო. ყოველ შემთხვევაში ზუსტად ეს წერია "ფეისბუქზე" ე.წ. "ტარჰირის მოედნის ულტრასების" გვერდზე. ადამიანების პროვოცირებაში ისინი უმაღლესი სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელის **ჰუსეინ ტანტავის** აგენტებს სდებენ ბრალს. როგორ დაიწყო და განვითარდა არეულობა, ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან ჩვენი გაზეთი ამას გუშინდელ ნომერშივე წერდა.

მოვლენათა ერთ-ერთმა შეძრწუნებულმა მონაწილემ "როიტერის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ *"როცა ამის დრო მოვა, "ტანტავის სკალპს ახდიან", რადგან მას ჰგონია, რომ ეგვიპტელ ხალხს უკვე დაივიწყდა რევოლუციური იდეალები. ხელისუფლებამ ამით მიგვანიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული ტირანიის ჩამოსაგდებად ბრძოლაში მონაწილეობის გამო თითოეულ ჩვენგანს გაუსწორდება"*, – აცხადებს ის. მათი განრისხება ბუნებრივად გვეჩვენება, რადგან პოლიცია პირველ ეტაპზე გულშემატკივართა მასობრივ ჩხუბს აბსოლუტური სიმშვიდით ადევნებდა თვალს. *"ულტრასები ძალიან პოპულარულები არიან რევოლუციონერებს შორის. თავდასხმის მიზანი სწორედ მათი ლიკვიდაცია იყო. ამ ადამიანებს ნამდვილად მახე დაუგეს. ამაზე პასუხისმგებელი მხოლოდ სამხედრო საბჭო და პოლიცია შეიძლება იყვნენ,"* – ამბობს მავანი პორტსაიდელი მოვაჭრე.

"ტარჰირის მოედნის ულტრასები" – ეს ძირითადად "ალ აჰლისა" და "ზამალეკის" ფანების გაერთიანებაა. მართალია ამ კლუბებს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა იყო, მაგრამ ერთი წლის წინ ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენების დროს ისინი საერთო მიზნისთვის გაერთიანდნენ და **ჰოსნი მუბარაქის** მმართველობის წინააღმდეგ ქუჩაში ერთად დადგნენ. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, "ალ აჰლის" გულშემატკივართაგან პირველები ჩხუბში სწორედ ის ულტრასები ჩაერთვნენ, რომელთაც ჯარსა და პოლიციასთან ფიზიკური დაპირისპირების გამოცდილება ჰქონდათ.

ბუნებრივია, სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი **ჰუსეინ ტანტავი** თავის მონაწილეობას ტრაგედიის ორგანიზებაში კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, არეულობები პორტ საიდში იმ ადამიანების მოწყობილია, რომელთაც ქვეყნისთვის სახელის გატეხა აქვთ მიზნად დასახული. *"არეულობის ყოველი ორგანიზატორი კუთვნილ სასჯელს მიიღებს. ისინი ვერ მოახერხებენ ჩვენს ქვეყანაში ქაოსის დათესვას"* – აცხადებს ფელდმარშალი. პოლიციის ცნობით, არეულობაში მონაწილე 50 ადამიანი უკვე დაკავებულია. პორტ საიდში წესრიგის აღსადგენად და შემდგომი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად არმიის ნაწილები უკვე შევიდნენ. ხელისუფლება, ეტყობა მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდება მოვლენებს, რის გამოც რეგულარულ არმიასთან ერთად სპეცდანიშნულების ელიტური ჯგუფი "დანაყოფი 777-იც" შეიყვანა.

**ლევან ბიბილაშვილი**

---

ამბები

## კიდევ ერთი გერმანელი?

"არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** გასული წლის აგვისტოში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე "ვერდერიდან" **პერ მერტეზაკერი** შეიძინა. მართალია, აყლაყუდა გერმანელში ექვი ბევრს ეპარებოდა, მაგრამ "მანშაფტის" გამოცდილმა წევრმა ნამდვილად გაამართლა. სულ რამდენიმე დღეა, რაც "არსენალში" მეორე გერმანელიც ჩაირიცხა - **თომას აისფელდი** ინგლისელებმა "დორტმუნდიდან" გადაიბირეს. და აი, გერმანული პრესა წერს, რომ "მეთოფეებმა" მათ კიდევ ერთ თანამემამულეს დაადგეს თვალი. ამჯერად ლაპარაკია "შალკესა" და გერმანიის ნაკრების პლეიმეიკერზე, 21 წლის **ლუის ჰოლტბიზე**. მისი შეძენა "არსენალს" სავარაუდოდ 12 მილიონი ევრო დაუჯდება.

## ისევ რიბერი...

მიუნხენის "ბაიერნს" "ჰამბურგთან" მე-20 ტურის შეხვედრა ხვალ უწევს. **იუპ ჰაინკესს** HSV დაპირისპირებაში შეიძლება **ფრანკ რიბერი** დააკლდეს, ვინც გუშინდელი ვარჯიში ზურგის ტკივილის გამო გამოტოვა. სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლები გადაწყვეტით ვერ ამბობენ, იქნება თუ არა ფრანგი ამ შეხვედრაში. ექიმები ფეხბურთელს საბოლოო პასუხს შაბათ დილას ეტყვიან.

რახან ინფორმაცია "ბაიერნს" ეხება, მას აქვე მოგაწვდით: რეკორდმაისტერმა უკვე აცნობა "გამბა ოსაკას", რომ არ აპირებს მასთან **ტაკაში უსამისთან** დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლებას და საიჯარო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ფეხბურთელს უკან დააბრუნებს. ახალგაზრდა იაპონელთან დაკავშირებით ჰაინკესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გულშემატკივრები არალოგიკურს უწოდებენ, რადგან 19 წლის ნახევარმცველისთვის ოფიციალურ შეხვედრებში მას შანსი პრაქტიკულად არ მიუცია, ამხანაგურებში კი ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მიმდინარე სეზონში ტაკაშიმ ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა და ისიც 21 წუთი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველდღე -50% ფასდაკლება

## ელექტრონიკა

ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას

ელექტრონიკის მაღაზიათა ქსელში ასორტიმენტის 1 დასახელების საქონელზე მაინც...

აქცია ძალაშია 2012 წლის 26 თებერვლის ჩათვლით

LE26C350D1 649.00 599.00




LE32D403G1 699.00 649.00




KLV-32BX300R 849.00 749.00




32PFL3605H/12 899.00 799.00




PS42C450B1 1149.00 979.00




WIN81 529.00 509.00



5 კგ. 800 ბრ. 85 53 60 INDESIT

WF8590NMW8 599.00 549.00



6 კგ. 1000 ბრ. 85 50 60 მომსახურება 3 წელი SAMSUNG

IWC5105 EcoTime 629.00 599.00



5 კგ. 1000 ბრ. 85 53 60 INDESIT

AR 83 679.00 599.00



5 კგ. 800 ბრ. 85 53 60 Hotpoint ARISTON

AQXL 85 AQUALTIS 849.00 649.00



6 კგ. 800 ბრ. 85 53 60 Hotpoint ARISTON

## სპეციალური შეთავაზება: Indesit WI 62




# 399 ლარი

600 ბრ. 5 კგ.

85 53 60

INDESIT

TS 2181 179.00




29181 PF 299.00




VCC4130S31 129.00 99.00

VC5915VT31 149.00 129.00




T2245TS 81.00 69.00







## შეიძინეთ !

სად გინახავთ სხვა ტექნიკა ამისთანა?

მით უფრო, რომ გიმონტაჟებთ კუხლევან და ამირანა!!!




T 14 619.00 499.00



ნახ.მშრალი B კლასი 249 ლიტრი 145 67 60 გარანტია 3 წელი INDESIT

B 15 699.00 599.00



ნახ.მშრალი B კლასი 263 ლიტრი 150 67 60 გარანტია 3 წელი INDESIT

RL32CSCSW1 749.00 699.00



ნახ.მშრალი A კლასი 270 ლიტრი 174 67 60 მომსახურება 3 წელი SAMSUNG

RL34SGSW 949.00 749.00



მშრალი A კლასი 286 ლიტრი 178 67 60 მომსახურება 3 წელი SAMSUNG

HBM 1201.4 V 1349.00 1199.00



ნახ.მშრალი, ვენტილაციის სისტემით A კლასი 339 ლიტრი გარანტია 3 წელი Hotpoint ARISTON

## გვეწვიეთ !

საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი

- ვარკეთილი. ახალი მაღაზია სავაჭრო ცენტრ ფრესკო-ში. ტელ: 2-236-007
- ახალი მაღაზია თელავში. ვარდოშვილის №1.
- დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
- საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
- ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 2-478-676
- გლდანი, სავ. ცენტრი ევრაზია . ტელ: 2-478-673
- სავ. ცენტრი კიდობანი , ააა. 27. ტელ: 2-478-680
- სავ. ცენტრი მეგალაინი , ააა. 87-89. ტელ: 2-478-672
- რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
- გორი, ჭავჭავაძის 24. ტელ: 0-370-224-257

SAMSUNG INDESIT SONY Panasonic TOSHIBA PHILIPS Hotpoint ARISTON TEFAL Rowenta Moulinex THOMSON

## ელექტრონიკა

ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას

# ტელ: 2 518 815

ქართული სპორტი

სამინისტრო და რეგიონები

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი რეგიონებში სპორტზე პასუხისმგებელ მუშაკებს - რეგიონული თუ რაიონული სამსახურების უფროსებს, სპორტსკოლების ხელმძღვანელებს შეხვდა. ამინდმა აუდიენციას თავისი დაღი დაასვა - დიდთოვლობის გამო კახეთის წარმომადგენლები ვერ ჩამოვიდნენ.**



# პერსპექტივები და პრიორიტეტები ქართული სპორტისთვის

მინისტრმა სტუმრებს შარშანდელი მიღწევები და 2012-ის მთავარი პრიორიტეტები გააცნო. შეხვედრის პირველი ნაწილი ღია იყო, მეორე კი მედიისთვის დაიხურა. მინისტრის გამოსვლაში საკმაოდ ბევრ სიახლეზე გამახვილდა ყურადღება, ზოგიერთი ინიციატივა კი დაკონკრეტდა (მაგალითად, სპორტის უმაღლესი სასწავლებლის საკითხი). 2011 წლის სპორტულ მიღწევებზე - ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ 945 სპორტულ ღონისძიებაზე, ჩვენი ათლეტების მიერ ყველა ასაკში მოპოვებულ 475 მედალზე, 572 არაკომპლექსურ სპორტულ დარბაზზე, 905 ხელოვნურსაფრიან მინისტადიონზე, 28 საცურაო აუზზე, წარმატებულ ფედერაციებზე არ შევჩერდებით, რადგან „ლელო" უკვე წერდა მინისტრის მიერ წლის შემაჯამებელი მოხსენების შეჯამებისას. ამიტომ ახლა თქვენს ყურადღებას ძირითადად სამომავლო გეგმებზე შევაჩერებთ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ რეგიონებთან კოორდინაციის გაუმჯობესების, მათთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით შეიქმნა რეგიონული დეპარტამენტი, რომელსაც წარმომადგენლობა ყველა მხარეში ეყოლება. თავის მხრივ, ადგილებზე სპორტზე პასუხისმგებელი მუშაკები ვალდებულნი არიან, მასთან გამუდმებით კავშირში იყვნენ და ყველა ინიციატივის თუ პრაქტიკული საქმის შესახებ აცნობონ. ამით სამინისტროს სურს, საზოგადოებამდე მიიტანოს ინფორმაცია იმ სპორტული ღონისძიებების შესახებ, რომელთა უმეტესობა ქომაგისთვის უცნობი რჩება.

ვფიქრობ, ვარძელაშვილის გამოსვლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლესი სპორტული სასწავლებლის დაფუძნების თემა იყო, როგორც ქართული სპორტის მომავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი. მინისტრმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა აწ უკვე ყოფილ სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით, რომელსაც მულტიფუნქციური სასწავლებელი უწოდა, სადაც, როგორც მან თქვა, თურმე საინჟინროდან დაწყებული, იურიდიულით დამთავრებული, ყველაფერი ისწავლებოდა სპორტის გარდა! მინისტრმა აღიარა, რომ იმ აკადემიის ნაცვლად ილიას უნივერსიტეტში შექმნილმა სპორტის ფაკულტეტმა ვერ გაამართლა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თურმე ბევრმა აბიტურიენტმა უბრალოდ, არ იცის, სად უნდა ჩააბაროს, ხოლო ვინც იცის, იმასაც ჯერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება უწევს, მერე კი სხვა საგნების სწავლაც, „რადგან იქ კონკრეტული სპორტის პროფილი არ ისწავლებოდა". შედეგად, ის ხალხიც პირველი კურსის დახურვის შემდეგ სხვა ფაკულტეტებზე გადადიოდა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ახალი სასწავლებელი მხოლოდ სპორტული მიმართულების იქნება, სადაც სპეციალურად შეასწავლიან სპორტის კონკრეტულ სახეობებს, საგნებიდან კი მხოლოდ ის ისწავლება, რაც აუცილებელია მწვრთნელისთვის - ბიოლოგია, ანატომია, მეთოდოლოგია... ამ სასწავლებლის სტრუქტურაზე და საგნობრივ თემატიკაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს განათლების სამინისტროში და ცდილობენ, ეს საკითხი მალე მოაგვარონ, რათა სასწავლებელმა აკრედიტაცია დროულად გაიაროს და ზაფხულში უკვე მოესწროს პირველი კონტინგენტის მიღება. იქ სპორტის ყველა სახეობას საკუთარი ფაკულტეტი ექნება და მსურველებსაც იმ კონკრეტული მიმართულებით მოამზადებენ. სპორტული სასწავლებლის დაარსება განზრახულია არა აკადემიის ყოფილ შენობაში, არამედ „ქარიშხალას" ბაზაზე, რომელიც სადღეისო პროექტით სპორტკომპლექს „არენასთან" უნდა გაერთიანდეს. პრაქტიკული მეცადინეობებიც იქვე ჩატარდება.

> ახალი სასწავლებელი მხოლოდ სპორტული მიმართულების იქნება, სადაც სპეციალურად შეასწავლიან სპორტის კონკრეტულ სახეობებს, საგნებიდან კი მხოლოდ ის ისწავლება, რაც აუცილებელია მწვრთნელისთვის - ბიოლოგია, ანატომია, მეთოდოლოგია...

სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მოსწავლეთა შორის სპორტის გააქტიურება დაასახელა, რათა რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩაება სპორტში და ცხოვრების ჯანსაღი წესით იცხოვროს. საამისოდ აღნიშნული სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რისი უპირველესი შედეგიც საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებელთა გადამზადება იქნება - ისინი გაივლიან გამოცდებს და მხოლოდ წარმატების შემთხვევაში მიიღებენ მასწავლებლად მუშაობის უფლებას. ვარძელაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ამ ორ სამინისტროს შორის თანამშრომლობა ჯერ კიდევ არაა საკმარისად მჭიდრო, რაც ქართული სპორტისთვის საზიანოა, თუმცა ამ ხარვეზის მოსაგვარებლად ორივე მხარე აქტიურად მუშაობს. სამინისტროთა თანამშრომლობით მოგვარდება კიდევ ერთი პრობლემა - ოლიმპიური მზადების ცენტრში რეგიონებიდან ჩამოყვანილ ნიჭიერ სპორტსმენთა სწავლის საკითხი. მათ ხშირად არ აქვთ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება, რადგან ამ შემთხვევაში სრულყოფილად ველარ ივარჯიშებენ.

განზრახულია, ისევ გაგრძელდეს სასკოლო შეჯიბრებები, რამაც შარშან დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა ამჯერად მას კოორდინაციას სასკოლო ლიგა გაუწევს, შეჯიბრებები კი სპორტის 5 სახეობაში ჩატარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. მოგვიანებით ამ თემას სპორტული და გასართობი თამაშების ასოციაციის პრეზიდენტი **ჯანო ჟვანიაც** შეეხო, რომელმაც საქართველოს სასკოლო ჩემპიონატზე ისაუბრა. ეს ტურნირი ჯერ რეგიონების და რაიონების დონეზე ჩატარდება, გამარჯვებულები კი ფინალურ ეტაპზე გავლენ. ყველა შეჯიბრება - საქალაქო პირველობებიდან დაწყებული, ტელევიზიით გაშუქდება.

წლეულს ასაშენებელი თუ სარეორგანიზაციო სპორტული ბაზების სიაში მინისტრმა დაასახელა გორში 3 ათას მაყურებელზე გათვლილი საჭიდაო, ხოლო თბილისში ტანვარჯიშის დარბაზის აშენება; ასევე დედაქალაქში მძლეოსნობის დახურული მანეჟის, საჩხერეში კი ძალოსნობის დარბაზის რემონტი; თბილისსა და ქუთაისში არსებული ოლიმპიური მზადების ცენტრების რეორგანიზაცია, რათა ერთი აღმოსავლეთის, მეორე კი დასავლეთის ცენტრებად იქცნენ. თან ამ ბაზებთან დაკავშირებით ლაპარაკია საერთაშორისო სტანდარტებზე, სადაც შეიძლება პირველხარისხოვანი შეჯიბრებების გამართვა, თუნდაც 2015 წელს ჩასატარებელი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში. სამწუხაროდ, საქართველოში „საერთაშორისო სტანდარტმა" ქართული ინტერპრეტაცია შეიძინა, თუმცა ვიმედოვნებთ, ამჯერად ბაზები მართლაც ყველა სტანდარტის დაცვით აშენდება (მათ შორის გაითვალისწინებენ პრესცენტრისა და პრესლოჟის ადგილსაც) და მართლაც შევძლებთ პირველხარისხოვანი შეჯიბრებების მასპინძლობას.

მინისტრი დაგვპირდა, რომ ბათუმის სტადიონი იქნება შესაფერისი თანამედროვე ტემპებისა - როგორითაც ეს ქალაქი ვითარდება. მან ასევე დიდი ყურადღება დაუთმო თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სპორტული მედიცინის ცენტრის აუცილებლობას. მისი თქმით, ამაზეც მუშაობენ და მოლაპარაკებას აწარმოებენ რამდენიმე ცნობილ ფირმასთან, რომლებსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვთ ფილიალები.

მინისტრმა თბილისში 2015 წელს გასამართავ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში წარმატებით გამოსვლაში რეგიონების როლსაც გაუსვა ხაზი. ოლიმპიური ნელინადი დაგვიდგა და მინისტრმა გამოთქვა იმედი, რომ 30-32 ლიცენზიას მოვიპოვებთ და ლონდონშიც წარმატებით ვიასპარეზებთ. წლეულსაც გაგრძელდება რაგბის, ფეხბურთისა და კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა მკაცრად გათვლილი ვალდებულებებით. ასევე გაგრძელდება და პრიორიტეტული იქნება მწვრთნელთა გადამზადების პროგრამა, ბავშვთა ფეხბურთში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

**ირაკლი თავაძე**




ძიუდო

# გამარჯვება სამმა მხარემ გაინაწილა

გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის 230-მდე ძიუდოისტი შეიკრიბა ჭაბუკთა სარეიტინგო პირველობაზე ძიუდოში. მონაწილეობდა გორში ერთობლივ შეკრებაზე ჩამოსული ბაქოს გუნდიც. რეგიონის აქტიურობა იმან განაპირობა, რომ საქართველოს ჩემპიონატთან ერთად ამ შეჯიბრების შედეგებსაც გაითვალისწინებენ ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობის დაკომპლექტებისას. წონაში ოთხ-ოთხი ძიუდოისტით შემდგარი ნაკრები ანთალიის ტურნირზე იასპარეზებს. იქ ნაჩვენები შედეგებით ოთხეულები ორ-ორ სპორტსმენამდე შემცირდება ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე საასპარეზოდ. შეგახსენებთ, რომ წლეულს ჭაბუკთა ნაკრებს **გია თენაძე** ჩაუდგება სათავეში [illegible] რთნის, რომელსაც დაეხმარება **გიორგი რევაზიშვილი.**

გორში გამართულ ზემოხსენებულ ასპარეზობაში მსუბუქ წონებში მნიშვნელოვანი უპირატესობა შიდაქართლელებს ჰქონდათ. განსაკუთრებით კასპელი **გიორგი კაციაშვილისა** (55კგ) და ხაშურელი **გიორგი მეტრეველის** (60 კგ) კარგი ჭიდაობაა აღსანიშნავი. 73 კგ-ში ჭაბუკთა შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტმა **ვანო ჩურჩხელაშვილმა** (კახეთი) კარგად განაგრძო მჩატე წონაში (46 კგ) თანაგუნდელი **ნიკა ჭიკაიძის** წარმატებული სტარტი და ისიც პირველ ადგილზე გავიდა.

ოქროს მედლები ცხრა წონით კატეგორიაში შიდა ქართლმა, კახეთმა და თბილისმა თანაბრად გადაინაწილეს (სამ-სამი ჩემპიონი). შეჯიბრებას მრავლად ესწრებოდნენ ძიუდოს ტიტულოვანი ფალავნები, ფედერაციის წარმომადგენლები.

მსაჯებად ფედერაციამ ასპარეზობაზე ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები მიავლინა.

**კვარცხლბეკი**

**46 კგ.** 1. ნიკა ჭიკაიძე (კახეთი), 2. ლევან შონია (იმერეთი), 3. ტატო ტატულაშვილი (შიდა ქართლი), ალეკო სულაკაძე (იმერეთი).

**50 კგ.** 1. [illegible] (შიდა ქართლი), 2. [illegible], 3. გიორგი მირუაშვილი (შიდა ქართლი), გიორგი არაბული (რაჭა-ლეჩხუმი).

**55 კგ.** გიორგი კაციაშვილი, 2. ერეკლე არხოზაშვილი, 3. თამაზ ნოზაძე ( სამივე - შიდა ქართლი), დაუდ მამედოვი (აზრებაიჯანი).

**60 კგ.** 1. გიორგი მეტრეველი (შიდა ქართლი), 2. კობა მჭედლიშვილი (კახეთი), 3. თორნიკე მახათაძე (თბილისი), რეზო ცარციძე (ქვემო ქართლი).

**66 კგ.** 1. ზაზა მეგრელიშვილი, 2. ჯემალ ბუჩუმტური (ორივე - თბილისი), 3. ზვიად მრელაშვილი, შალვა ლეკიაშვილი (ორივე - კახეთი).

**73 კგ.** 1. ვანო ჩურჩელაშვილი (კახეთი), 2. ზურა ლომიძე (იმერეთი), 3. იესო კვირიკაშვილი (შიდა ქართლი), რამაზ ჩოჩელი (მცხეთა-მთიანეთი).

**81 კგ.** 1. გიორგი ქურდიანი, 2. სულიკო სეთურიძე, 3. ლაშა აბუაშვილი (სამივე - თბილისი), კახა ლიპარტელიანი (ქვემო ქართლი).

**90 კგ.** 1. დავით ოზბეთელაშვილი, 2. ჯაბა მუმლაძე (ორივე - კახეთი), 3. შალვა ზვიადაური, გიგა ბედიაშვილი (ორივე - თბილისი).

**+ 90 კგ.** 1. გიორგი ძებისაშვილი, 2. ზურა გოჯიაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ბაქარ კუხიანიძე (იმერეთი), მიხეილ ახალაური (კახეთი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

დავით ასპანიძის ფოტოები





81 კგ-ის პრიზიორთა კვარცხლბეკი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# დიდი სპორტის კარიბჭესთან

**17 წლის დავით სანიკიანმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა და წლეულს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას დაიცავს.**

**- ამ პირველ სერიოზულ მიღწევამდე, ყველაზე კარგი შედეგი რა გქონდა?**

- შარშან საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებში მესამე ადგილი დავიკავე.

**- გაგიჭირდა ოქროს მედლის მოპოვება?**

- საკმაოდ ძლიერი მოწინაღმდეგეები მყავდა, მაგრამ კარგად ვიყავი მომზადებული. ფინალში აჭარის წარმომადგენელს, გიზო მელაძეს ვეჭიდავე და ღვთის წყალობით გავიმარჯვე.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში დამკვიდრების კარგი შანსი გეძლევა. ნაკრებთან ერთად სად იასპარეზებ?**

- შეკრებების შემდეგ კი ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატებია. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევაა. ვეცდები გავამართლო.

**- სპორტში პირველ ნაბიჯებზე რას გვეტყვი?**

- ვარჯიში ქუთაისში, „ავანგარდის" სპორტსკოლაში ხვიჩა გოგიტაძესთან ხუთი წლისამ დავიწყე, ის დღესაც ჩემი პირადი მწვრთნელია. რასაც მივაღწიე, მისი დამსახურებაცაა.

**-ვინაა შენთვის სამაგალითო?**

- საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ლაშა გოგიტაძე. მის გვერდით გავიზარდე, ჩემი უფროსი მეგობარია, ვცდილობ, ჭიდაობის სტილითაც მას მივბაძო.

**- მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონობაზე თუ გიფიქრია?**

- ეს ყველა სპორტსმენის ოცნებაა და მეც როგორ არ მიფიქრია. თუმცა, ასეთ წარმატებას რომ მიაღწიო, უდიდეს შრომასთან ერთად იღბალიც საჭიროა. რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჯერ ახალგაზრდებში, შემდეგ კი დიდებში ქვეყანას წარმატებები მოვუტანო.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიული კრივი


ალექსანდრე ვახტანგაშვილი (მარჯვნივ)

# აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ...

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციის (პრეზიდენტი **გიორგი კანდელაკი**) ინიციატივით ვერის ბაღში, გიორგი კანდელაკის კრივის დარბაზში, მეშვიდე წელიწადია, პროფესიონალ მოკრივეთა სარეიტინგო საერთაშორისო ორთაბრძოლები ეწყობა. ეს ორგანიზაცია უკვე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 100-ზე მეტ წარმომადგენელს აერთიანებს. გუშინ 18-მა მათგანმა სარეიტინგო პაექრობები გამართა, მათ შორის ხუთი დებიუტანტი იყო. მართალია, პროფესიულ რინგზე პირველად მოსინჯეს ძალები დუშელებმა - **არჩილ მჭედლიშვილმა** (56 კგ) და **ომარ ციხელაშვილმა** (75), მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია 4-რაუნდიან შეხვედრებში ქულებით დაემარცხებინათ ბორჯომელები - **როლანდ დიდმანიძე** (40:37) და **დავით რიბაკონი** (40:39), ორმა დებიუტანტმა კი გამოცდილ მეტოქეებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია: თბილისელმა შალვა წამალაიძემ (69) მე-2 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წააგო გამოცდილ ვარიანელ **მიხეილ ხუციშვილთან**. ამ უკანასკნელს პროფესიულ რინგზე 39 ბრძოლა (20 მოგება, 16 მარცხი, 3 ფრე) აქვს გამართული.

ბორჯომელმა **ნოდარ რობაქიძემ** (69 კგ) ახალ ამპლუაში გუშინ მეორე შეხვედრა ჩაატარა ვარიანელ დებიუტანტ **რამაზ გოგიჩაშვილთან**, რომელიც მე-3 რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა. ბრძოლის განახლებისთანავე შიდაქართლელთა მწვრთნელმა გოგიჩაშვილი რინგიდან მოხსნა და გამარჯვება რობაქიძეს მიენიჭა. გამოცდილმა ალექსანდრე ვახტანგაშვილმა (ვარიანი, 64) 40:36 აჯობა **მამუკა გუკასიანს** (ბორჯომი), **გიორგი ნადირაძემ** (ვარიანი, 60) ქულით სძლია (40:39) **მიხეილ წითლანაძეს** (ბორჯომი). სამი შეხვედრა ფრედ დამთავრდა: **მიხეილ ავაკიანი** (ბორჯომი, 62) - **რუბენ მოვსესიანი** (თბილისი) 59:59, **ვასილ მჭედლიძე** (ვარიანი, 69) - **მერაბ გუკასიანი** (ბორჯომი) 60:60, **გიგა ლაბაძე** (ბორჯომი, 91) - **ბადრი გიგოლაშვილი** (გორი) 40:40.

პროფესიული კრივის ასოციაციაში გამოცდილი სპორტსმენებიც ირიცხებიან. ოთხი მათგანი თებერვალში უცხოეთში გამართავს პაექრობებს. **ლევან ჯომარდაშვილი** (90) თავის 31-ე ორთაბრძოლაში 11 თებერვალს ჰამბურგში მსოფლიოს კრივის ორგანიზაციის (WBO) აზიის ქამრისთვის გერმანელ კაი კურსავას დაუპირისპირდება. 17 თებერვალს პოლონურ ოსტინში **შალვა ჯომარდაშვილი** (75) მასპინძელ დარიუშ სეკს შეხვდება. შალვა (35 ბრძოლა პროფესიულ რინგზე) და მისი მეტოქე (15 შეხვედრა) 10-რაუნდიან პაექრობაში მსოფლიო კრივის ფორუმის (WBF) ქამრისთვის შეეცილებიან ერთმანეთს.

**ბექა ქაჯაია** (64) ჰამბურგს გაემგზავრება და 18 თებერვალს 45-ე პაექრობას გამართავს უკრაინელ სერგეი ბედჩენკოსთან (30 შეხვედრა). 21 თებერვალს მინსკის რინგზე მასპინძელ ალექსეი კონოკოსთან სარეიტინგო ორთაბრძოლა ექნება ვარიანელ **ბორის მდინარაძეს** (72). შარშან სექტემბერში მან ტანზანიელი სელემან საიდის ძლევით (მე-4 რაუნდში ნოკაუტით მოუგო) ახალგაზრდებში მსოფლიო კრივის ორგანიზაციის (WBO) ქამარი დაიმსახურა, რომლის დაცვაც წლეულს ზაფხულში მოუწევს, სავარაუდოდ - საქართველოში.

რაც შეეხება მომდევნო საშინაო სარეიტინგო საერთაშორისო ორთაბრძოლებს, ისინი მარტისთვისაა დაგეგმილი.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. მსოფლიო თასის ექო

# გორელები დიდებში რიხით გადავიდნენ

თბილისის მსოფლიო თასზე ბრწყინვალედ იასპარეზეს გორის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის (დირექტორი **ანზორ თენაძე**) აღზრდილებმა. ხუთი ძიუდოისტიდან ოთხი ფინალში გავიდა. **ლაშა შავდათუაშვილმა** (66) და **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73) პირველობა მოიპოვეს, **ბექა ლვინიაშვილი** (81) და **სოსო მსხალაძე** (100) ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ.

ტატალაშვილმა პირველად მოიგებო მსოფლიო თასი. დღეისთვის წონაში იგი ნაკრების ლიდერად ჩამოყალიბდა და ოლიმპიადის ლიცენზიაც თითქმის მოპოვებული აქვს. „თბილისის მსოფლიო თასის მოგება ჩემი უმთავრესი ოცნებებიდან პირველი იყო, რომელიც შემისრულდა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატიც მოვიგო. ეს ჩემპიონატი ჩელიაბინსკში ტარდება, სადაც ოჯახთან ერთად ათი წელიწადი ვცხოვრობდი და ვარჯიშიც იქ დავიწყე, თუმცა ყველა წარმატება მას მერე მოვიპოვე, რაც ოთხი წლის წინათ გორში დავბრუნდი. უპირველესი მიზანი კი ახლა, რასაკვირველია, ოლიმპიური თამაშები და იქ წარმატებული ასპარეზობაა" - თქვა ტატალაშვილმა.

ლაშა შავდათუაშვილისთვის დიდებში გადასვლის მერე ეს რიგით მეორე მსოფლიოს თასი იყო. დებიუტი ჰოლანდიაში მეოთხედფინალში გასვლით დასრულდა. ამჯერდ კი გაუმართლა. „მჯეროდა, რომ სპორტის სასახლეს უმედლოდ არ დავტოვებდი. ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ბრძოლაში სულ ახლახან ჩავერთე, მაგრამ რეიტინგში ურიგო მდგომარეობა არ მაქვს. ლონდონისთვის სამივე სალიცენზიო (ავსტრია, გერმანია, ჩეხეთი) შეჯიბრებაზე თითქმის მაქსიმალური შედეგის ჩვენებაა საჭირო. ვნახოთ რა მოხდება, მე ბოლომდე ვიბრძოლებ" - გვითხრა შავდათუაშვილმა.

დიდებში პირველად ასპარეზობდა შარშანდელი სეზონის აღმოჩენა ბექა ლვინიაშვილი. მართალია, მის შესაძლებლობებში ეჭვი არავის შეჰქონდა, დიდებში მსოფლიოს თასზე ფინალისტობა ბევრისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. ბექამ ლამის მამისტოლა ფალავანებს სძლია. „ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში შარშანდელი გამარჯვებების შემდეგ, დიდებში მსოფლიოს თასზე წარმატებამ შესაძლებლობების რწმენა გამიღრმავა. მწვრთნელებთან თავდაუზოგავი შრომით, დიდი წარმატების მიღწევაც სავსებით რეალურია" - ამბობს ლვინიაშვილი.

სამივე მოჭიდავის პირადი მწვრთნელები ანზორ თენაძე და **ნიკო ბიბილაშვილი** არიან. სოსო მსხალაძის - **გივი ზაუტაშვილი**. „სოსო ხელის ტრავმის გამო კარგა ხანს უქმობდა და ფორმიდანაც ამოვარდა. თბილისის ტატამზე მისმა ჭიდაობამ ძველი მსხალაძე გამახსენა. სამწუხაროდ, ფინალში ისევ ტრავმამ შეახსენა თავი და საბოლოოდ მეორე ადგილი იკმარა. სოსომ მტკივანი ხელი თუ ბოლომდე მოიშუშა, ჩვეულ ფორმასაც აღიდგენს" - ემედება მწვრთნელს.

„ჭიდაობის სკოლა გორში მე და ჩემმა ძმამ გიამ ათი წლის წინათ გავხსენით. თავიდანვე წარმატებებს არ დავხამებივართ, ბავშვებთან მუშაობით დავიწყეთ შრომა. ჯერ ჭაბუკებში მოვიდა წარმატებები, შემდეგ ახალგაზრდებში და ახლა დიდებშიც. გამოჩნდა, რომ სწორი მიმართულებით ვმუშაობთ. შედეგებმა მოლოდინსაც გადააჭარბა. განსაკუთრებით ახალგაზრდების შავდათუაშვილისა და ლვინიაშვილის წარმატება იყო სასიამოვნოდ მოულოდნელი. მათ დაამტკიცეს, რომ სკოლაში ძალიან კარგი ფალავნები გვეზრდება. ადრეც გვეიმედებოდა და ახლაც გაგვახარა ნუგზარ ტატალაშვილმა. მას ცოტა დაუგვიანდა კიდეც დიდ საერთაშორისო ტურნირზე წარმატების მოპოვება., მაგრამ მთავარია, ნავსი გატყდა." - გვითხრა ანზორ თენაძემ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო


მარცხნიდან: პირველი რიგი - ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, მეორე რიგი - ანზორ თენაძე, ბექა ლვინიაშვილი, ნიკო ბიბილაშვილი

ჭადრაკი

# ათას გირვანქას დავჯერდით

გიბრალტარში დამთავრდა მოჭადრაკეთა ტრადიციული მე-10 საერთაშორისო ფესტივალი (საპრიზო ფონდი 155.000 გირვანქა სტერლინგი) უძლიერესი დიდოსტატების მონაწილეობით. გათამაშდა 10 ტური. ქალებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი) გუშინ აზერბაიჯანელ შაჰრიარ მამედიაროვს დაუზავდა და 10 შესაძლებლიდან 8 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა მოაგროვა ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა, რომელმაც შავი ფიგურებით ინდოელ კრიშნან სასიკირანს სძლია. მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად დაინიშნა ტაიბრეიკები სწრაფ ჭადრაკში. პირველ პარტიაში შორტმა გაიმარჯვა, მეორეში შავი ფიგურებით ბრიტანელმა აშკარად მოსაგებ პოზიციაში (სამი ზედმეტი პაიკით) სვლები გაიმეორა და ჩინელ მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა, რითაც 20.000 გირვანქა სტერლინგი დაიმსახურა, ჰოუ იფანს 12.000 ხვდა, 10.000 - მაიკლ ადამსს.

ვიმედოვნებდით, რომ ქალებში პრიზიორთა შორის მოხვდებოდა **ნანა ძაგნიძე,** რომელსაც 9 ტურის შემდეგ 6 ქულა ჰქონდა, მაგრამ ჩვენებურმა ბოლო პარტიაში მონაგარს ვერაფერი შესძინა - გაბრიელ სარგისიანთან (სომეხმა დიდოსტატმა 7 ქულით 21-ე ადგილი დაიკავა და უპრიზოდ დარჩა) დამარცხდა და 46-ე ადგილზე გავიდა, ქალებში მე-8 ადგილი და 1.000 გირვანქა ერგო (პირველი-მესამე ადგილები ასე განაწილდა: მსოფლიოს ექსჩემპიონი ჟუ ჩენი (ყატარი)-10.000, პია კრამლინგი (შვედეთი)-7.000, ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-5.000). სამწუხაროდ, ვერც სხვა ქართველმა მოჭადრაკეებმა გამოიჩინეს თავი: 5,5-5,5 ქულით **ნინო ხურციძეს** და **სალომე მელიას,** შესაბამისად, 77-ე და 83-ე ადგილები ხვდათ, **ლელა ჯავახიშვილი** კი 5 ქულით 115-ე ადგილს დასჯერდა.


ავტორის ფოტო

# სტარტზე 18-წლიანები

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დაიწყო 18-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება. შეჯიბრებაში 25-25 გოგონა და ვაჟი მონაწილეობს. მოასპარეზეთა შორის არიან სხვადასხვა ასაკში საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები - **ნათია ჯალაბაძე, ანა შამათავა, ნატო იმნაძე, დეა გოგიშვილი, ირაკლი ბერაძე, ნიკა ვოლკოვი, შალვა ნადირაშვილი, ლუკა ლიჩელი, კახაბერ წერეთელი, გიგლა ბენიძე** და სხვები, რომლებმაც გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს.

დღეს მე-2 ტურის პარტიები გაიმართება.

# მოსკოვური სამაია

რუსეთის დედაქალაქის ღია პირველობაზე სტუდენტ მოჭადრაკეთა მე-6 ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა **ნინო ბაციაშვილმა,** რომელმაც თეთრი ფიგურებით 26-ე სვლაზე მასპინძელი ალექსანდრა გორიაჩკინა დაამარცხა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კარინა ჰოროვსკა (პოლონეთი) - დინა დროზდოვა (რუსეთი) 1:0, რუთ რადმინი (ინდოეთი) - ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი) 0,5:0,5, დარია პუსტოვოიტოვა (რუსეთი) - მარია სევერინა (რუსეთი) 0,5:0,5, ირინა ბულმაგა (რუმინეთი) - ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ: ბაციაშვილი, ჰოროვსკა, ზიაზიულკინა - 4,5-4,5, გორიაჩკინა, კაშლინსკაია - 3,5-3,5, პუსტოვოიტოვა, რადმინი - 2,5-2,5, დროზდოვა, სევერინა, ბულმაგა - 1,5-1,5 ქულა. მე-7 ტურში ითამაშებენ: კალინსკაია - ჰოროვსკა, გორიაჩკინა - ბულმაგა, **ზიაზიულკინა - ბაციაშვილი,** სევერინა - რადმინი, დროზდოვა - პუსტოვოიტოვა.

ქალთა ტურნირში პირველი მარცხი ინვნია **ნაზი პაიკიძემ** - შავი ფიგურებით რუსეთის ნაკრების ყოფილ წევრ მარინა რომანკოსთან წააგო. ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები: ეკატერინა ატალიკი - კარინა ამბარცუმოვა 1:0, დარია ჩაროჩკინა - ქიან ჰუანი 0:1, ევგენია სუხარევა - ბაირა კოვანოვა 0:1, ინა ივახინოვა - მარინე გრიგორიანი 1:0.

5,5-5,5 ქულით აქაც სამეული მეწინავეობს, ესენი არიან თურქი ატალიკი, რომანკო და ჩინელი ჰუანი. დღეს მე-7 ტურის პარტიები გაიმართება.

# ბენიძე ლიდერთა ჯგუფშია

ბულგარულ პლოვდივში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მე-5 ტურში **დავით ბენიძემ** შავი ფიგურებით სძლია ბულგარელ დიდოსტატ კრუმ გიორგიევს და 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მართალია, კიდევ 9 მონაწილეს აქვს ამდენივე ქულა, მაგრამ ჩვენებური მათ უკეთესი კოეფიციენტით უსწრებს. შეჯიბრებას უდანაკარგოდ მეწინავეობენ ბულგარელი ივან ჩეპარინოვი და სერბი ბრანკო ტადიჩი, რომლებმაც, შესაბამისად, ვლადიმირ ბუკალი (ხორვატია) და ნიკოლაი იორდანოვი (ბულგარეთი) დაამარცხეს. კვლავ წააგო **დავით ლომსაძემ,** ამჯერად - ვლადიმირ პეტროვთან (ბულგარეთი), რომლის რეიტინგიც 1939 პუნქტს არ აღემატება.

მე-6 ტურში ინტერესს იწვევს ლიდერთა ჯგუფის შემდეგი შეხვედრები: ბრანკო ტადიჩი - ივან ჩეპარინოვი, კირილ გეორგიევი - დეიან ანტიჩი, ვალერი ლილოვი - ვასილ სპასოვი, ბრაიან სმიტი - მომჩილ ნიკოლოვი, მარიჯან პეტროვი - პეტარ დრენჩევი, **დავით ბენიძე - გრიგორ გრიგოროვი.** ამ 12 მოჭადრაკიდან 9 დიდოსტატია. სამქულიანი ლომსაძე მიროსლავ ვლადოვს დაუპირისპირდება.

მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

# კალათბურთი

## სუპერლიგა

# ფაცა-ტი-ფრები [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რეკორდები

**ქულა**

**41 - ლარი ბლერი (შსს)**
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

**მოხსნა**

**20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)**
(მეტოქ: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

**პასი**

**14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)**
29.10.11 შსს-ოლიმპი
**14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)**
10.12.11 დინამო-ოლიმპი
**14 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)**
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

**7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)**
29.10.11 სტუ-რუსთავი
**7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)**
11.11.11. ბათუმი-სოხუმი
**7 - ლარი ბლერი (შსს)**
23.12.11 რუსთავი-შსს

**დაფარება**

**6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)**
15.10.11 თსუ-ოლიმპი
**6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)**
05.11.11 დინამო-სამედიცინო

### ლიდერები

**ინდივიდუალური**

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 9 | 228 | 25.33 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 10 | 249 | 24.9 |
| 3 | ძიენ კარტერი | დინამო | 7 | 164 | 23.43 |
| 4 | რობერტ კრეპსი | შსს | 10 | 231 | 23.1 |
| 5 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 10 | 211 | 21.1 |

**ორქულიანი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩაგ. | ნასრ. | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რობერტ კრეპსი | შსს | 10 | 65 | 106 | 61.32 |
| 2 | ბექა ბექაური | თსსუ | 10 | 52 | 85 | 61.18 |
| 3 | ძიენ კარტერი | დინამო | 7 | 66 | 110 | 60 |

**სამქულიანი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩაგ. | ნასრ. | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზურა მაისურაძე | თსუ | 9 | 13 | 24 | 54.17 |
| 2 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 10 | 26 | 49 | 53.06 |
| 3 | გილერმო დიასი | არმია | 6 | 11 | 23 | 47.83 |

**საჯარიმო**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩაგ. | ნასრ. | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რობერტ კრეპსი | შსს | 10 | 44 | 53 | 83.02 |
| 2 | ნიკიტა სლიუკა | ოლიმპი | 10 | 25 | 32 | 78.13 |
| 3 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 10 | 39 | 50 | 78 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძიენ კარტერი | დინამო | 7 | 46 | 54 | 100 | 14.29 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 10 | 32 | 83 | 115 | 11.5 |
| 3 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 10 | 22 | 82 | 104 | 10.4 |
| 4 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 10 | 32 | 69 | 101 | 10.1 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 9 | 85 | 9.44 |
| 2 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 9 | 67 | 7.44 |
| 3 | სანდიატა გეინსი | არმია | 6 | 39 | 6.5 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 10 | 30 | 3 |
| 2 | სანდიეტა გეინსი | არმია | 6 | 15 | 2.5 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 9 | 22 | 2.44 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 10 | 24 | 2.4 |
| 2 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს | 10 | 15 | 1.5 |
| 3 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 8 | 12 | 1.5 |

**გუნდური**

**ქულა**

| ად. | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | შსს | 10 | 931 | 93.1 |
| 2 | არმია | 10 | 895 | 89.5 |
| 3 | ქუთაისი | 10 | 879 | 87.9 |

**მოხსნა**

| ად. | გუნდი | თ | მ.შეტ. | მ.საკ. | | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტუ | 10 | 194 | 312 | 506 . | 50.6 |
| 2 | სოხუმი | 10 | 162 | 314 | 476 | 47.6 |
| 3 | შსს | 10 | 161 | 314 | 475 | 47.5 |

**პასი**

| ად. | გუნდი | თ | პ | პ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქუთაისი | 10 | 219 | 21.9 |
| 2 | თსუ | 10 | 209 | 20.9 |
| 3 | ოლიმპი | 10 | 205 | 20.5 |
| 4 | არმია | 10 | 205 | 20.5 |

**ჩაჭრა**

| ად. | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 10 | 107 | 10.7 |
| 2 | სტუ | 10 | 105 | 10.5 |
| 3 | რუსთავი | 10 | 98 | 9.8 |

**დაფარება**

| ად. | გუნდი | თ | დ | დ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამედიცინო | 10 | 50 | 5 |
| 2 | სტუ | 10 | 48 | 4.8 |
| 3 | ქუთაისი | 10 | 47 | 4.7 |




4 თებერვალს სუპერლიგა განახლდება. გასულ წლებში მეორე წრის დაწყება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წლეულს კი განსაკუთრებულს უნდა ველოდეთ. ამის თქმის საფუძველს პირველი წრე გვაძლევს: 21-ე ჩემპიონატი ხომ მშვიდ ამინდში ამოვარდნილი ქარბუქივითაა - თუ მანამდე ლეგიონერები მხოლოდ 1-2 გუნდში იყვნენ, სადღეისოდ უცხოელი 10 გუნდში თამაშობს. რაც მთავარია: წარსულს ჩაჰბარდა არცთუ მაღალი დონის ლეგიონერების მოწვევის ტენდენცია. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება, ძლიერი კალათბურთელი ჩამოიყვანოს. თავად განსაჯეთ: პირველი წრის შემდეგ „დინამოდან" **ნოელ დეივი** გაუშვეს, არადა ურიგო მოთამაშე არ იყო, ისევე, როგორც შსს-ელი **ჯეფრი მაკქემონი**. სამაგიეროდ, ძალოვნებმა მაღალი შედეგიანობით გამორჩეული ორი ამერიკელი დაიმატეს: **ენტონი მუდი** და **ჯასტინ ტაბსი**. მათ მწვრთნელიც შეეცვალათ - შსს-ს ბერძენი **გიორგიოს კეცელიდისი** განვრთნის.

ყველაზე დიდი რეფორმები სწორედ ძალოვანთა გუნდში განხორციელდა. ეს არც უნდა გაგვკვირვებოდა, რადგან პირველი წრის შემდეგ მეხუთე ადგილზეა. შუა სეზონში მწვრთნელი სამედიცინოსაც შეეცვალა (**ნუგზარ კანდელაკის** ნაცვლად **კახა შენგელია**), „დინამოსაც" (**დავით თორთლაძის** ნაცვლად **ირაკლი ხოშტარია**) და „ქუთაისსაც" (**მალხაზ კოხრეიძის** ნაცვლად **დავით უსტიაშვილი**). თუ შსს-ში მწვრთნელით უკმაყოფილების საბაბი შედეგი იყო, გასაკვირია, რატომ გაათავისუფლეს მალხაზ კოხრეიძე, რომელმაც „ქართული" გუნდი (ერთადერთი, აზერბაიჯანელი ლეგიონერი ჰყავს) სატურნირო ცხრილში მეორე ადგილამდე აიყვანა და წრის საუკეთესო მწვრთნელადაც დავასახელეთ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე გამოცდილი დავით უსტიაშვილიც კარგად ათამაშებს ქუთათურებს - თასის ფინალში „არმიასთან" დაძაბულ ბრძოლაში 80:86 დათმო.

ცალკე მსჯელობის თემაა „არმია", რომელსაც მიმდინარე სეზონში თამაში არ წაუგია. იანვარში ქორქია-საკანდელიძის მემორიალი და საქართველოს თასი მოიგო. თუმცა, რაც დრო გადის, სამხედროებს უფრო უჭირთ იოლი გამარჯვებების მოპოვება. გავიხსენოთ თუნდაც პირველი წრის ბოლო ტური, როცა არმიელებმა „ოლიმპს" მატჩის მიწურულ წამებზე **ჯერემი რიჩარდსონის** მიერ ჩაგდებული სამქულიანით მოუგეს. მეორე წრის წინ „ოლიმპი" ადრიატიკის ლიგაზე გამოცდილი მეფარე **ივან ტოდოროვიჩით** გაძლიერდა. სხვა გუნდი იქნება „დინამოც". მის რიგებს **მილან ოლუიჩი, ბექა ნივნიძე** და **ალექსანდრე ზესევიჩი** შეემატნენ.

სტუდენტურ გუნდებში ცვლილებები ძირითადად ქართველ კალათბურთელებს შეეხო. მათ შორის პირველი წრის შედეგების მიხედვით სტუ უნდა გამოვყოთ, რომლის მწვრთნელი **ზურაბ ტომარაძე** ახალგაზრდებისგან მაქსიმუმს წურავს და გუნდიც საპატიო მეექვსე ადგილზეა. დანარჩენს უშუალოდ ჩემპიონატი გვიჩვენებს. მანამდე პირველი წრის სიმბოლურ ხუთეულს გადავხედოთ.

### გამთამაშებელი

უდავოა, ყველაზე მაღალი კლასის გამთამაშებელი **სანდიატა გეინსი** იყო, რომელიც „ნიუ ჯერსიდან" „არმიის" დასახმარებლად დროებით ჩამოვიდა. იგი ნოემბრის ბოლოს ამერიკაში დაბრუნდა. გეინსის ადგილი ასევე ძლიერმა გამთამაშებელმა **ბენჟამინ ვუდსაიდმა** დაიკავა. დეკემბერში სუპერლიგას **ლარი ბლერიც** შეემატა, მაგრამ რადგან სამივემ პირველი წრე არასრულად ჩაატარა, სიმბოლურ ნაკრებში შეყვანისგან თავი შევიკავეთ. მათ ფონზე არანაკლებად გამოჩნდა საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ლაშა გამყრელიძე**. კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ლაშას გერმანიის ბუნდესლიგაში ორი წელი უქმად არ გაუტარებია.

### მსროლელი

ყველაზე გულდასაწყვეტი შსს-ს მსროლელ-გამთამაშებლის, **რობო კრეპსის** ამერიკაში დაბრუნებაა. მან თავად გვითხრა, ოჯახი მომენატრა, აქ ცხოვრება ძალიან მიჭირს და შინ უნდა გავბრუნდეო. იგი ძალოვანთა ლიდერი იყო, საშუალოდ 23.1 ქულასა და 4.1 პასს აგროვებდა.

### მსუბუქი ფორვარდი

პირველი წრის შემდეგ „სოხუმი" მეოთხე ადგილზე რომ არის, უმთავრესად **ლევან ფაცაციასა** და **ლაშა ფარლალავას** დამსახურებაა. არადა, გუნდში მწვრთნელი მწვრთნელზე იცვლებოდა და ასეთ პირობებში თამაშის ხარისხის შენარჩუნება მეტად რთულია. ფაცაციამ პირველ წრეშეც დაამტკიცა, რომ ამერიკაში მეტად სასარგებლო კალათბურთელად ჩამოყალიბდა.

### მძიმე ფორვარდი

საქართველოს თასის ფინალზე ამერიკელ რობო კრეპსს პირველი წრის საუკეთესო კალათბურთელის დასახელება ვთხოვეთ. **უილიამ ტომასიო** - გვიპასუხა. როცა „არმიას" ფარქვეშ 10 ნომერი დგას, ნებისმიერ მეტოქეს უჭირს სამწამიანი ზონიდან ბურთის ჩაგდება. ტომასი შეტევაშიც შედეგიანია...

### ცენტრი

არმიელი **იოაკიმ შელბომი** კარგი ცენტრია, თუმცა მასზე იმდენი ტვირთი არ ჰკიდია, რაც „ქუთაისის" ქართველ მეფარე **რიჩარდ მათიაშვილზე**. რიჩო საშუალოდ 16 ქულას, 9.8 მოხსნასა და 4.6 პასს აგროვებს. ამიტომ, წრის სიმბოლურ ნაკრებში ცენტრის პოზიციაზე მათიაშვილი დავაყენეთ.

### წრის საუკეთესო

რეგულარული ეტაპის პირველ ნახევარში სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტჯერ სოხუმელი ლევან ფაცაცია მოხვდა - ხუთჯერ. იგი ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო მოთამაშედაც ყველაზე მეტჯერ (სამჯერ) დავასახელეთ. სტატისტიკაც ხელს გვიწყობს ფაცაციას წრის №1 კალათბურთელად დასახელებაში: საშუალოდ ორმაგ დუბლს აგროვებს - 24.9 ქულა, 11.5 მოხსნა.

**I წრე**

**I ტური**

| | |
|---|---|
| შსს-ბათუმი | 101:77 |
| სამედიცინო-სტუ | 75:104 |
| სოხუმი-რუსთავი | 108:62 |
| თსუ-ოლიმპი | 68:69 |
| ქუთაისი-დინამო | 108:73 |

**II ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-ქუთაისი | 61:98 |
| ბათუმი-თსუ | 68:77 |
| სოხუმი-სამედიცინო | 88:70 |
| არმია-დინამო | 90:53 |
| შსს-სტუ | 94:88 |

**III ტური**

| | |
|---|---|
| არმია-ქუთაისი | 89:49 |
| სამედიცინო-ბათუმი | 85:67 |
| სტუ-რუსთავი | 86:82 |
| სოხუმი-დინამო | 84:73 |
| შსს-ოლიმპი | 72:80 |

**IV ტური**

| | |
|---|---|
| ბათუმი-სტუ | 79:80 |
| ოლიმპი-სოხუმი | 90:76 |
| არმია-შსს | 100:62 |
| თსუ-ქუთაისი | 89:72 |
| დინამო-სამედიცინო | 99:102 |

**V ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-სამედიცინო | 73:100 |
| ბათუმი-სოხუმი | 64:88 |
| ოლიმპი-ქუთაისი | 64:75 |
| დინამო-შსს | 94:89 |
| არმია-თსუ | 73:71 |

**VI ტური**

| | |
|---|---|
| ქუთაისი-შსს | 76:96 |
| ოლიმპი-სტუ | 101:85 |
| არმია-სამედიცინო | 99:85 |
| დინამო-რუსთავი | 101:84 |
| თსუ-სოხუმი | 81:102 |

**VII ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-ოლიმპი | 65:74 |
| ბათუმი-დინამო | 66:98 |
| სოხუმი-ქუთაისი | 61:84 |
| სტუ-არმია | 71:112 |
| სამედიცინო-თსუ | 91:93 |

**VIII ტური**

| | |
|---|---|
| ქუთაისი-სამედიცინო | 86:84 |
| ოლიმპი-ბათუმი | 82:74 |
| შსს-სოხუმი | 82:93 |
| არმია-რუსთავი | 81:49 |
| თსუ-სტუ | 67:57 |

**IX ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-თსუ | 81:103 |
| არმია-ბათუმი | 102:68 |
| სამედიცინო-შსს | 80:105 |
| სტუ-ქუთაისი | 78:107 |
| დინამო-ოლიმპი | 66:99 |

**X ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-ბათუმი | 85:93 |
| სტუ-დინამო | 97:81 |
| სოხუმი-არმია | 58:86 |
| შსს-თსუ | 113:85 |
| სამედიცინო-ოლიმპი | 71:78 |

**XI ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-შსს | 63:117 |
| ბათუმი-ქუთაისი | 80:107 |
| დინამო-თსუ | 101:91 |
| სტუ-სოხუმი | 94:74 |
| ოლიმპი-არმია | 62:63 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 10 | 0 | 895/628 | 20 |
| 2. ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 879/758 | 18 |
| 3. ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 799/715 | 18 |
| 4. სოხუმი | 10 | 6 | 4 | 832/786 | 16 |
| 5. შსს | 10 | 6 | 4 | 931/836 | 16 |
| 6. სტუ | 10 | 5 | 5 | 840/872 | 15 |
| 7. დინამო | 10 | 4 | 6 | 839/910 | 14 |
| 8. თსუ | 10 | 4 | 6 | 808/844 | 14 |
| 9. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 843/892 | 13 |
| 10. ბათუმი | 10 | 1 | 9 | 736/905 | 11 |
| 11. რუსთავი | 10 | 0 | 10 | 705/961 | 10 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ერთა თასი



# ცხელი ჩაი რაგბის ქომაგისთვის

ხვალ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში „სტეუარისა“ და პორტუგალიის ეროვნული გუნდის შეხვედრით ერთა თასის წლევანდელი გათამაშება დაიწყება. „ლობუშებმა“ ერთი კვირის წინ ლისაბონში ინგლისის სტუდენტთა ნაკრები დაამარცხეს - 31:28.

პორტუგალიის ნაკრების ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **ეროლ ბრაიანმა** საწვრთნელ შეკრებაზე 32 მორაგბე იხმო, რომელთაგან საბოლოოდ იმ 24 მოთამაშეს შეარჩევს, რომლებიც რუმინეთის ნაკრებთან მატჩის შემდეგ, ერთი კვირის თავზე ლისაბონში რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლობუშებს“ უმძიმესი კალენდარი აქვთ. ზემოთ ნახსენები ორი მატჩის შემდეგ, ისინი 25 თებერვალს თბილისში საქართველოს ნაკრებს ეთამაშებიან. გამორიცხული არ არის, პორტუგალიელებმა ამ სამ მატჩში ერთი ქულაც ვერ აიღონ.

ეროლ ბრაიანის ფორმაციის ნაკრებში რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოჩნდა. ესენია: პირველხაზელი **მაიკ ტაჯერი** (მასი), მეორეხაზელი **დავიდ რეისი** (ნიმი) და მესამეხაზელი **ჟულიენ ბარდი** (კლერმონი). როგორც ხედავთ, სამივე მათგანი ფრანგულ კლუბებში ირიცხება.

პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში არ არის ავსტრალიელი მგეზავი **ჯო გარდნერი**, რომელიც წინა ორი სეზონის განმავლობაში გუნდის საუკეთესო მოთამაშე იყო.

რუმინეთში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ყინვები დაიჭირა მატჩის გადატანაზე არც ფიქრობენ. მეტიც, რუმინეთის რაგბის ფედერაციამ გადაწყვიტა, თამაშზე მაყურებელი უფასოდ დაუშვას, რომლებსაც სტადიონის შესასვლელთან ცხელი ჩაით გაუმასპინძლდებიან.

შეგახსენებთ, რომ შარშან რუმინელებმა ლისაბონში 17:24 წააგეს და ახლა რევანშის აღების წყურვილი ჰკლავთ. რუმინული რაგბის მამების მიერ დაგეგმილი ზემოაღნიშნული აქციაც სტადიონზე მაყურებლის მოზიდვას ემსახურება. მათი აზრით, „სტეუარის“ ახლა ყველაზე მეტად ქომაგის მხარდაჭერა სჭირდება.

### პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: **მიქაელ დიასი, ჟოა ჟუნიორი, დუარტე ფორო, ვასკო მარკესი (ოთხივე-კდული), ჟოზე და კოსტა, ფრანსსიკო დომინგეში (ორივე-აგრონომია), ჟორჟე სეგურადო (დირეიტო), ჟოაო მატეუში (აკადემიკა), ბრუნო როჩა (ტექნიკო), მაიკ ტაჯერი (მასი)**

მეორე ხაზი: **რუი დორეი, გინსალო უვა (ორივე-დირეიტო), დუარტე გილი (კდული), დავიდ რეისი (ნიმი).**

მესამე ხაზი: **ჟოაო პაივა (აგრონომია), ვასკო უვა, ლუიშ სოუზა (ორივე-დირეიტო), სალვადორ ვასალ (კასკაისი), ჟულიენ ბარდი (კლერმონი), ჟუან სევერინო (სანტაბოიანა).**

№9: **ფრანსისკო მაგალიაეში (კდული), პედრო ლეალი (ნიცა).**

№10: **პედრო კაბრალი, ნუნო კოსტა (ორივე-კდული), იანიკ რიკარდო (კასტანე).**

№12-13: **კარლ მურეი, ბერნარდო სილვეირა, ფრედერიკო ოლივეირა (სამივე-კდული).**

№11-14: **ადერიტო ესტევეში (დირეიტო), ჟოზე ლიმა (აგრონომია).**

№15: **გონსალო ფორო (კდული), ანტონიო აგილარი (დირეიტო).**

| ერთა თასი |
|---|
| 4 თებერვალი |
| რუმინეთი-პორტუგალია |
| 11 თებერვალი |
| პორტუგალია-რუსეთი |
| 25 თებერვალი |
| საქართველო-პორტუგალია |
| 10 მარტი |
| პორტუგალია-ესპანეთი |
| 17 მარტი |
| უკრაინა-პორტუგალია |

### სატურნირო მდგომარეობა

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

# რუსები არ იცვლებიან

**ერთ-ერთ რუსულ სპორტულ ვებგვერდზე ამ ქვეყნის მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, უელსელი კინგსლი ჯოუნზის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც სავსებით გასაგები მიზეზების გამო ქართული თემაც ფიგურირებდა. უელსელმა ქართველი მორაგბეები თბილად მოიხსენია, თუმცა ჟურნალისტს აშკარად ეტყობოდა, რომ საბჭოთა ნოსტალგია არ ასვენებდა.**

**გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან:**

**- შეძლებს თუ არა რუსეთის ნაკრები წლეულს საქართველოს ეროვნული ნაკრების დამარცხებას?**



- მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება წლეულს ძალიან გაგვიჭირდება. თამაში თბილისში გაიმართება და თანაც ჩვენ ახალი გუნდის ფორმირების პროცესში ვართ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს მომავალში მაინც ვძლიოთ. ჩვენ ეს აუცილებლად უნდა მოვახერხოთ, თუ გვინდა, რომ წინ ვიაროთ. უნდა ვეცადოთ მოვუგოთ ფიჯის, საქართველოს, კანადას. ეს აუცილებელია და როგორღაც უნდა შევძლოთ.

**- როგორი დამოკიდებულებაა გუნდში საქართველოს ნაკრების მიმართ? ეს არის გუნდი, რომელიც აუცილებლად, უსიკვდილოდ უნდა დავამარცხოთ?**

- ასეთი დამოკიდებულება ალბათ უფრო ქართველ მორაგეებს აქვთ რუსეთის ნაკრების მიმართ. მე დაწვრილებით არ ვიცი თქვენი დაპირისპირების ისტორია, თუმცა გარკვეული წარმოდგენა ამის თაობაზე მაქვს. ვფიქრობ, რომ ეს უფრო ჰგავს ინგლისისა და უელსის დამოკიდებულებას. ოღონდ თქვენს შემთხვევაში ეს ათმაგად უფრო მძაფრია. შესაძლოა უელსს უფრო უნდა ინგლისის დამარცხება, ვიდრე პირიქით, რადგან ერთი ქვეყანა უფრო დიდია, მეორე კი პატარა.

ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთისა და საქართველოს დაპირიპირება მსოფლიოს რაგბიში, უბრალოდ, კარგი მეტოქეობაა. ქართველები კარგი ადამიანები არიან. მათ ძალიან ბევრი ძლიერი მორაგბე ჰყავთ. რამდენიმე მათგანს პირადად ვიცნობ. ჩვენს ნაკრებშიც ხომ არის რამდენიმე ქართველი.

**- ალბათ, ხშირად გსმენიათ, რომ კარგი იქნებოდა საქართველოსა და რუსეთის ნაკრებები გაგვეერთიანებინა. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

- უარს არ ვიტყოდი საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელობაზე. გარწმუნებთ, ამ შემთხვევაში გაცილებით დიდ შედეგებს მივაღწევდი.

ექვსი ერი

# ურჩხულების საფუძვლიანი ამბიციები

ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი უელსის ნაკრები, რომელიც მსოფლიოს რაგბის მარგალიტია, ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე შესანიშნავად გაისარჯა და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. არადა, „ურჩხულებს“ შეეძლოთ ფინალშიც ეთამაშათ. ისინი ექვსი ერის პირველ შეხვედრას სტუმრად გამართავენ ირლანდიის ნაკრებთან.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უელსელები ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში, ფავორიტებად ითვლებიან. თუმცა, შეძლებენ თუ არა ისინი ახალზელანდიელი მწვრთნელის **უორენ გეთლენდის** ხელმძღვანელობით მეორედ მოიგონ ეს შეჯიბრება, ამას დიდი კითხვის ნიშანი უზის.

შარშანდელ გათამაშებაში უელსის ნაკრებს მართალია, მცირე, მაგრამ მაინც ჰქონდა ექვსი ერის მოგების შანსი. კარდიფში ინგლისის ნაკრებთან წაგების შემდეგ, „ურჩხულებმა“ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს, თუმცა ბოლო ტურში განცდილი მარცხის შემდეგ, ფრანგებს მეორე საფეხურიც დაუთმეს.

წლეულს უელსის ნაკრების შემადგენლობაში ისევ მოხვდა „კარდიფ ბლუზის“ 29 წლის უკანახაზელი **გევინ ჰენსონი**. მართალია, მას ტრავმის გამო ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია, მაგრამ მისი უნივერსალიზმიდან გამომდინარე, იმდენად საჭირო მოთამაშეა, რომ გეთლენდი ნაკრებში ჰენსონის გამოძახების თაობაზე არც კი დაფიქრებულა.

ნაკრებს, ისევე როგორც მსოფლიოს თასზე ახალ ზელანდიაში **სემ ვერბარტონი** უკაპიტნებს. შეგახსენებთ, რომ შარშან ექვსი ერის გათამაშებაში ამ ფუნქციას **მეთიუ რისი** ასრულებდა. ვერბარტონმა, მართალია, ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ნახევარფინალში ფრანგებთან მატჩში გუნდი დაალალატა, მაგრამ მისი რეპუტაცია მაინც შეუბღალავია. ეს მსოფლიოს დონის მესამეხაზელია და გუნდისთვის ერთ-ერთი მთავარი საკვანძო ფიგურაა.

უორენ გეთლენდმა ნაკრებში ექვს ახალბედას უხმო. ყველაზე მოულოდნელი ეროვნულ გუნდში 18 წლის **გარი რობინსონის** გამოძახება იყო. ექვსი ერის გათამაშებისთვის მოემზადებიან ესევე დებიუტანტები: **ეშლი ბეკი, რის ვები, რორი ჯოუნზი, ლუ რიდი და ლიამ ვილიამსი.**

უელსლეთა რიგებში ითამაშებს აგრეთვე ხუთი ლეგიონერი: **ჯეიმზ ჰუკი** (პერპინიანი), **მაიკ ფილიპსი** (ბაიონი), **ლი ბირნი** (კლერმონი), **კრეიგ მიტჩელი** (ექსეტერი), და **ენდი პაუელი** (სეილ შარქსი).

ტრავმის გამო „გეთლენდის რაზმში“ ვერ მოხვდნენ **ალუნ ვინ-ჯოუნზი, ლუკ ჩარტერისი, ჯოშ ტურუნბული, რონ მაკასკერი** და **ლოიდ ბერნსი**. ეს საკმაოდ დიდი დანაკლისია, თუმცა ახალზელანდიელს სხვა ნიჭიერი უელსელი მორაგბეების დიდი იმედი აქვს.

გეთლენდის რჩეულთა შორის არ არის 34 წლის ვეტერანი **სტივენ ჯოუნზი**, რომელსაც აქამდე ეროვნულ გუნდში უელსისთვის სარეკორდო, 104 კეპი მოუხვეჭია. სტივს არც ნოემბერში უთამაშია ავსტრალიის ნაკრებთან ტესტ მატჩში, რაც იმის მანიშნებელია, რომ მისი სანაკრებო კარიერა დამთავრდა.

უელსელთა ყველაზე დიდი დანაკლისი კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი **შეინ ვილიამსია**, რომელმაც ნაკრებიდან წასვლის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ შარშან ნოემბრის ბოლოს მიიღო. უკანასკნელი ინფორმაციით, ის წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ რაგბის თამაშსაც თავს ანებებს და სამწვრთნელო ასპარეზზე გადაინაცვლებს.

### უელსის ნაკრები

შერკინება: **კრეიგ მიტჩელი (ექსეტერი), ადამ ჯოუნზი, რაიან ბევინგტონი, პაულ ჯეიმზი, ჰიუ ბენეტი, იან ევანსი, რაიან ჟოუნზი, ჯასტინ ტიპურიჩი (ყველა-ოსფრიზი), გეტლინ ჯენკინსი, ბრედლი დევისი, სემ ვერბარტონი (სამივე-კარდიფი), რის ჰილი, როდი ჯოუნზი, მათიუ რისი, კენ ოუენსი, ლუ რიდი (ოთხივე-ჰლანეჰლი), დენ ლაიდიატი, ტობი ფალეტაუ (ორივე-ნიუპორტი), ენდი პოუელი (სეილ შარქსი).**

უკანა ხაზი: **მაიკ ფილიპსი (ბაიონი), ლოიდ ვილიამსი, ჯიმი რობერტსი, გევინ ჰენსონი, ლეიგ ჰალპფენი, ალექს ქათბერტი, ჰარი რობინსონი (ყველა-კარდიფი), რის ვები, ეშლი ბეკი (ორივე-ოსფრიზი), რის პრისტლენდი, ჯონათან დევისი, სკოტ ვილიამსი, ლიამ ვილიამსი (ოთხივე-ჰლანეჰლი), ლი ბირნი (კლერმონი), ჯეიმზ ჰუკი (პერპინიანი).**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**


ჯეიმზ ჰუკი



ოლიმპიზმი

# ლონდონი 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიდან "ლელო" იწყებს რუბრიკას, რომელიც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნება. ყოველ კვირას, სამშაბათისა და პარასკევის ნომრებში შემოგთავაზებთ ახალ ამბებს ლონდონიდან, იქნება სახალისო ინფორმაციები, აგრეთვე რუბრიკის ყოველ გამოშვებაში სპორტის თითო სახეობას გავეცნობით: კალენდარს, რეკორდსმენებს მედლების მიხედვით, ქვეყნების მონაგარს და ა. შ.




## მძლეოსნობა

არენა: ოლიმპიური სტადიონი
ჩატარების თარიღი: 3-12 აგვისტოს
მედლების კომპლექტი: 47
ათლეტების რაოდენობა: 2 000

### კალენდარი

**3 აგვისტო (6)**

22:00-00:55 ბირთვი, ფინალი (კაცები)
22:00-00:55 10 000 მ, ფინალი (ქალები)

**4 აგვისტო (6)**

20:00-21:30 20 კმ სიარული (კაცები)
22:00-00:55 10 000 მ, ფინალი (კაცები)
22:00-00:55 სიგრძე, ფინალი (კაცები)
22:00-00:55 100 მ, ფინალი (ქალები)
22:00-00:55 ბადრო, ფინალი (ქალები)
22:00-00:55 შვიდჭიდი

**5 აგვისტო (6)**

14:00-17:00 მარათონი (ქალები)
21:50-00:55 100 მ, ფინალი (კაცები)
21:50-00:55 3000 მ სტიპლჩეზი, ფინალი (კაცები)
21:50-00:55 ურო, ფინალი (კაცები)
21:50-00:55 400 მ, ფინალი (ქალები)
21:50-00:55 სამხტომი, ფინალი (ქალები)

**6 აგვისტო (5)**

21:50-00:40 400 მ, ფინალი (კაცები)
21:50-00:40 400 მ/თარჯრბენი, ფინალი (კაცები)
21:50-00:40 3000 მ სტიპლჩეზი, ფინალი (ქალები)
21:50-00:40 ჭოკი, ფინალი (ქალები)
21:50-00:40 ბირთვი, ფინალი (ქალები)

**7 აგვისტო (4)**

21:50-00:20 1500 მ, ფინალი (კაცები)
21:50-00:20 სიმაღლე, ფინალი (კაცები)
21:50-00:20 ბადრო, ფინალი (კაცები)
21:50-00:20 100 მ/თარჯრბენი, ფინალი (ქალები)

**8 აგვისტო (4)**

21:00-00:55 110 მ/თარჯრბენი, ფინალი (კაცები)
21:00-00:55 200 მ, ფინალი (ქალები)
21:00-00:55 400 მ/თარჯრბენი, ფინალი (ქალები)
21:00-00:55 სიგრძე, ფინალი (ქალები)

**9 აგვისტო (5)**

21:30-01:10 200 მ, ფინალი (კაცები)
21:30-01:10 800 მ, ფინალი (კაცები)
21:30-01:10 სამხტომი, ფინალი (კაცები)
21:30-01:10 ათჭიდი
21:30-01:10 შუბი, ფინალი (ქალები)

**10 აგვისტო (6)**

22:00-00:40 ესტაფეტა 4x400 მ, ფინალი (კაცები)
22:00-00:40 ჭოკი, ფინალი (კაცები)
22:00-00:40 1500 მ, ფინალი (ქალები)
22:00-00:40 5000 მ, ფინალი (ქალები)
22:00-00:40 ესტაფეტა 4x100 მ, ფინალი (ქალები)
22:00-00:40 ურო, ფინალი (ქალები)

**11 აგვისტო (8)**

12:00-16:20 50 კმ სიარული (კაცები)
20:00-21:45 20 კმ სიარული (ქალები)
21:45-00:30 5000 მ, ფინალი (კაცები)
21:45-00:30 ესტაფეტა 4x100 მ, ფინალი (კაცები)
21:45-00:30 შუბი, ფინალი (კაცები)
21:45-00:30 800 მ, ფინალი (ქალები)
21:45-00:30 ესტაფეტა 4x400 მ, ფინალი (ქალები)
21:45-00:30 სიმაღლე, ფინალი (ქალები)

**12 აგვისტო (1)**

14:00-16:40 მარათონი (კაცები)

### მძლეოსნობა ციფრებში

მონაწილე: 19 320 (14 097 კაცი, 5 223 ქალი) 224 ქვეყნიდან
ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე: სელესტინ ნ'დრინი (კოტ-დ'ივუარი, 13 წლის და 4 დღის) - 1976
ყველაზე ხანდაზმული მონაწილე: პაილე სატაინი (ისრაელი, 53 წლის და 136 დღის) - 2008
ყველაზე ტიტულოვანი: პაავო ნურმი (12 მედალი)
ყველაზე მეტი მედალი: აშშ (759 მედალი)

### ყველაზე ტიტულოვანები

(მინიმუმ სამი ოქრო)

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. რეი იური (აშშ) | 10 | 0 | 0 | 10 |
| 2. პაავო ნურმი (ფინ) | 9 | 3 | 0 | 12 |
| 3. კარლ ლუისი (აშშ) | 9 | 1 | 0 | 10 |
| 4. მარტინ შერიდანი (აშშ) | 5 | 3 | 1 | 9 |
| 5. ვილე რიტოლა (ფინ) | 5 | 3 | 0 | 8 |
| 6. ჯიმ ლაითბადი (აშშ) | 4 | 2 | 0 | 6 |
| 7. ერიკ ლემინგი (შვედ) | 4 | 0 | 2 | 6 |
| 8. ეველინ ემფორდი (აშშ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 8. ემილ ზატოპეკი (ჩეხ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 8. მელ შეპარდი (აშშ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 8. მეიერ პრინშტეინი (აშშ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 8. ჰანეს კოლემაინენი (ფინ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 13. ირენა შევინსკა (პოლ) | 3 | 2 | 2 | 7 |
| 14. რენატე შტეხერი (გდრ) | 3 | 2 | 1 | 6 |
| 14. რალფ როუზი (აშშ) | 3 | 2 | 1 | 6 |
| 16. ფ. გრიფიტ ჯოინერი (აშშ) | 3 | 2 | 0 | 5 |
| 17. შირლი სტრიკლენდი (ავსტრა) | 3 | 1 | 3 | 7 |
| 18. ჯეკი ჯოინერი (აშშ) | 3 | 1 | 2 | 6 |
| 19. გვენ ტორენსი (აშშ) | 3 | 1 | 1 | 5 |
| 19. ვ. კემპბელ-ბრაუნი (იამ) | 3 | 1 | 1 | 5 |
| 19. მელ უაიტფილდი (აშშ) | 3 | 1 | 1 | 5 |
| 22. ჯერემი უორინერი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. კენენისა ბეკელე (ეთი) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ვალერი ბრისკო (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ოლგა ბრიზგინა (უკრ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ჯონ ფლენეგანი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ჰარი ჰილმანი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. სტივ ლუისი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ჯეიმს ლაითბადი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ტამარა პრესი (სსრკ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. მიერ პრინშტეინი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ვიქტორ სანეევი (სსრკ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. ვიომია ტიუსი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 22. იან ჟელეზნი (ჩეხ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 35. უგო ფრიჯერო (იტა) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 35. ვილმა რუდოლფი (აშშ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 35. მარტინ შერიდანი (აშშ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 38. უსაინ ბოლტი (იამ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. გლენ დევისი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. გეილ დივერსი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. არჩი ჰანი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. ბად ჰაუსერი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. ტატიანა კაზანკინა (სსრკ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. ბობი მოროუ (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. მარი-ჟოზი პერეკი (საფ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. პეტერ სნელი (ზელ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. ანჯელო ტეილორი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 38. ფრენკ ვიკოფი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |




### ქვეყნების მონაგარი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 322 | 242 | 195 | 759 |
| 2. სსრკ | 64 | 55 | 74 | 193 |
| 3. ბრიტანეთი | 52 | 83 | 62 | 197 |
| 4. ფინეთი | 49 | 35 | 31 | 115 |
| 5. გდრ | 38 | 36 | 35 | 109 |
| 6. კენია | 22 | 27 | 19 | 68 |
| 7. პოლონეთი | 22 | 17 | 13 | 52 |
| 8. შვედეთი | 21 | 25 | 46 | 92 |
| 9. გერმანია | 19 | 39 | 43 | 101 |
| 10. ავსტრალია | 19 | 24 | 27 | 70 |
| 11. იტალია | 19 | 15 | 25 | 59 |
| 12. რუსეთი | 18 | 22 | 21 | 61 |
| 13. ეთიოპია | 18 | 6 | 14 | 38 |
| 14. კანადა | 14 | 15 | 25 | 54 |
| 15. იამაიკა | 13 | 26 | 15 | 54 |
| 16, საფრანგეთი | 13 | 22 | 25 | 60 |
| 17. გფრ | 12 | 14 | 17 | 43 |
| 18. რუმინეთი | 11 | 14 | 10 | 35 |
| 19. ჩეხოსლოვაკია | 11 | 8 | 5 | 24 |
| 20. უნგრეთი | 10 | 15 | 18 | 43 |
| 21. კუბა | 10 | 13 | 14 | 37 |
| 22. ახ. ზელანდია | 9 | 2 | 8 | 19 |
| 23. საბერძნეთი | 7 | 14 | 14 | 35 |
| 24. გაერთ. გუნდი | 7 | 11 | 3 | 21 |
| 25. იაპონია | 7 | 7 | 8 | 22 |
| 26. ნორვეგია | 7 | 5 | 8 | 20 |
| 27. ს. აფრიკა | 6 | 11 | 6 | 23 |
| 28. მაროკო | 6 | 5 | 7 | 18 |
| 29. ჰოლანდია | 6 | 3 | 6 | 15 |
| 30. ბულგარეთი | 5 | 7 | 6 | 18 |
| 31. ჩინეთი | 5 | 3 | 7 | 15 |
| 32. ბელარუსი | 4 | 6 | 9 | 19 |
| 33. ბრაზილია | 4 | 3 | 7 | 14 |
| 34. პორტუგალია | 4 | 2 | 4 | 10 |
| 35. ირლანდია | 4 | 2 | 0 | 6 |
| 36. ჩეხეთი | 4 | 1 | 3 | 8 |
| 37. ბელგია | 3 | 7 | 2 | 12 |
| 38. მექსიკა | 3 | 5 | 2 | 10 |
| 39. უკრაინა | 3 | 2 | 10 | 15 |
| 40. ბაჰამის კ-ები | 3 | 2 | 4 | 9 |
| 41. ალჟირი | 3 | 1 | 2 | 6 |
| 42. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 5 |
| 43. ესპანეთი | 2 | 4 | 5 | 11 |
| 44. ნიგერია | 2 | 3 | 8 | 13 |
| 45. არგენტინა | 2 | 3 | 0 | 5 |
| 46. ესტონეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| 47. კამერუნი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 47. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 49. ტრინიდადი | 1 | 4 | 5 | 10 |
| 50. ავსტრია | 1 | 2 | 4 | 7 |
| 51. ტუნისი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 52. სლოვენია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 53. ეკვადორი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 53. ს. კორეა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 53. Mixed team | 1 | 1 | 0 | 2 |
| 56. პანამა | 1 | 0 | 2 | 3 |
| 57. ყაზახეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 57. მოზამბიკი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 57. უგანდა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 60. დომინიკის რ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 60. სირია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 60. ბურუნდი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 63. შვეიცარია | 0 | 6 | 2 | 8 |
| 64. ლატვია | 0 | 4 | 1 | 5 |
| 65. ნამიბია | 0 | 4 | 0 | 4 |
| 66. დანია | 0 | 2 | 4 | 6 |
| 67. თურქეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 68. შრი ლანკა | 0 | 2 | 0 | 2 |
| 68. ჩილე | 0 | 2 | 0 | 2 |
| 68. ინდოეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 68. ტანზანია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 68. იუგოსლავია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 73. ისლანდია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 73. ტაივანი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 75. ჰაიტი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. ბოტსვანა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. სუდანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. ს. არაბეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. ზამბია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. სენეგალი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 75. კოტ დ'ივუარი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 83. და. ინდოეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 83. ფილიპინები | 0 | 0 | 2 | 2 |
| 85. კატარი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 85. ჯიბუტი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 85. ერითრეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 85. ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 85. ბარბადოსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 85. ავსტრალასია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 85. კოლუმბია | 0 | 0 | 1 | 1 |

## ოლიმპიური ამბები



### კარდიფში იწყება

ოლიმპიური თამაშები არა ლონდონში, არამედ უელსის დედაქალაქ კარდიფში დაიწყება. იქ 25 ივლისს, "მილენიუმის" სტადიონზე გაიმართება ქალთა საფეხბურთო ტურნირის ჯგუფური ეტაპის მატჩი. კარდიფში მსაჯის სასტარტო სასტვენის ხმა ერთი საათით ადრე გაისმება, ვიდრე გლაზგოსა და ქოვენთრიში.

სულ "მილენიუმი" 11 მატჩს უმასპინძლებს, მათ შორის ორ მეოთხედფინალს და მესამე ადგილისთვის მატჩს მამაკაცთა ტურნირზე. სტადიონის ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ კარდიფსა და მთელ უელსს უდიდესი ნდობა გამოუცხადეს.

ჩამოთვლილი ქალაქების გარდა, საფეხბურთო მატჩები მანჩესტერში, ნიუკასლსა და ლონდონში გაიმართება.

ზაფხულის თამაშების გახსნის ცერემონია 27 ივლისს ლონდონში ჩატარდება. შოუს ოთხი მილიარდი ტელემაყურებელი მიადევნებს თვალს. პირველი ჩემპიონები მეორე დღეს გამოვლინდებიან - ქალებს შორის ძალოსნობაში, მამაკაცებს შორის პნევმატური პისტოლეტით და ქალებს შორის პნევმატური შაშხანით სროლასა და მამაკაცებს შორის საგზატკეცილო ველორბოლაში.

ოლიმპიური ზეიმი 12 აგვისტოს დასრულდება. ოლიმპიადაზე მედლების 302 კომპლექტი გათამაშდება.

### ინტერნეტი მეტროშიც იქნება

ლონდონის მთავრობამ ქალაქის მეტროპოლიტენს უკაბელო ტექნოლოგიის - WiFi-ის დამონტაჟების უფლება მისცა. ამ სერვისით ლონდონის მცხოვრებლები და სტუმრები უკვე 2012 წლის ივნისიდან ისარგებლებენ.

დაგეგმილია მეტროს 120 სადგურის აღჭურვა WiFi-ის ტექნოლოგიით. ქალაქის ხელმძღვანელობამ ასევე ყურადღება მიაქცია იმას, რომ მიწისქვეშა ტრანსპორტში მობილური კავშირი არ არსებობს და გამოაცხადა კონკურსი ამ პრობლემის მოგვარებისთვის საუკეთესო პროექტზე. თავიანთი განცხადება შეიტანეს: O2-მა, Vodafone-მა, Orange-მა და T-Mobile მ.

### ქოთნები პრიზიორებს

გაზეთ The Daily Telegraph-ის ინფორმაციით, ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორები დაჯილდოების ცერემონიისას სპორტსმენებისთვის სიახლის შეთავაზებას აპირებენ - პოდიუმზე მედლების მფლობელ ათლეტებს ქოთნებში ჩარგულ ცოცხალ ყვავილებს გადასცემენ. სპორტსმენებისთვის ქოთნების კომპოზიციებს ბრიტანეთის მებაღეობის სამეფო საზოგადოება შექმნის.

*"ყოველ ზაფხულს ბრიტანეთში ძალიან ლამაზი ყვავილები იზრდება. რადგან ადგილობრივი მცენარეები გვაქვს, საჭირო აღარ არის ეგზოტიკური ყვავილების ექსპორტი"*, - განაცხადა ბრიტანეთის კულტურის მინისტრმა **ტესა ჯოუელმა**, რომელიც 2012 წლის თამაშების მზადების პროცესის ერთ-ერთი კურატორი გახლავთ.

ორგანიზატორებმა ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გადაწყვიტეს, რა სახით მიაწოდონ ოლიმპიელებს ყვავილები ქოთნებში, მაგრამ ეს პრობლემა სულ მალე მოგვარებული იქნება.

### ჰიმნებს ები როუდზე ჩაწერენ

ეროვნული ჰიმნების ჩაწერაზე, რომლებსაც 2012 წლის ოლიმპიადაზე დაჯილდოვების ცერემონიისას გააჟღერებენ, ლონდონის ფილარმონიის ეროვნული ორკესტრი იმუშავებს, უფრო ზუსტად, ორკესტრის 36 წევრი. ჰიმნებს ლეგენდარულ "ები როუდის" სტუდიაში ჩაწერენ.

აქ თავ-თავიანთ კომპოზიციებს წერდნენ ისეთი გრანდები, როგორებიც იყვნენ "ბითლზი" და "ფინქ ფლოიდი". ორკესტრს უხელმძღვანელებს ბრიტანელი დირიჟორი და კომპოზიტორი **ფილიპ შეპარდი**. ის ფილმების საუნდტრეკებზე მუშაობით არის ცნობილი, აგრეთვე დიდი ღონისძიებებისთვის მუსიკისა და არანჟირების ავტორია.

ჰიმნების ჩაწერაზე მუშაობა დაწყებულია და მალე დასრულდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ფუძი 40 ქულა

სასიამოვნოდ აოცებს საკუთარ გულშემატკივრებს „მილუოკი“. ბოლო 11 დღის განმავლობაში ამ გუნდმა ორჯერ მოახერხა ჩემპიონატის მთავარი ფავორიტის - „მაიამის“ დამარცხება.

თუმცა გუშინდელი მატჩის პირველი მეოთხედის შემდეგ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა „ბაქსის“ გამარჯვებას. პირველი 12 წუთის განმავლობაში „ჰიტმა“ 40 ქულის ჩაგდება მოასწრო და აქედან **ლებრონ ჯეიმსის** ანგარიშზე 24 ქულა მოდიოდა.

მაგრამ „მილუოკიმ“ სხვა გუნდებივით ნაადრევად დანებება არ ისურვა და საკუთარი შანსის ძებნა დაიწყო. ეს შანსი მან მესამე მეოთხედში 13:2 გაქცევის შემდეგ მიილო. მეოთხე მეოთხედი კი „მილუოკის“ გამთამაშებლის **ბრენდონ ჯენინგსის** ბენეფისად იქცა. მცველმა 14 ქულა დააგროვა და სამივე სამქულიანი მოათავსა კალათში. „მაიამის“ კი მეტოქის 22:3 გაქცევა გამოეპარა და, რა თქმა უნდა, დარჩენილ ოთხ წუთში ვერ შეძლო 16-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება. თან ფლორიდელებს ბოლო მეოთხედში ლიდერი სჭირდებოდათ, მაგრამ ასეთი მოედანზე არავინ აღმოჩნდა. მართალია, ლებრონმა მატჩში 40 ქულა დააგროვა, თუმცა მეოთხე მეოთხედში მისი მონაგარი მხოლოდ ხუთი ქულა იყო.

„მილუოკიმ“ კი ბოლო რვა მატჩში მეექვსედ მოიგო და იუბილე გაუფუჭა **დუეინ უეიდს**, რომელმაც კარიერაში მეათასე ჩაჭრა მიითვალა.

■ ■ ■

საინტერესო იყო ორი პროგრესირებადი გუნდის - „კლიპერსისა“ და „იუტას“ შეხვედრა, მით უმეტეს, რომ მას მეტად დაძაბული ფინალი ჰქონდა. თითქმის მთელი თამაში თანაბარი ანგარიში იყო. მაგალითად, საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე **მაილზის** ჯარიმებით მასპინძლები დაწინაურდნენ - 84:82. და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო **კრის პოლის** გმირობები. დარჩენილ დროში გამთამაშებელმა 12 ქულა დააგროვა და თავის გუნდს 2003 წლის შემდეგ პირველად მოაგებინა სოლტ-ლეიკ-სიტიში. სხვათა შორის, პოლმა 34 ქულით სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა.

■ ■ ■

ბევრს ელოდნენ „ოკლაჰომასა“ და „დალასის“ შეხვედრისგან. თუმცა ჩემპიონის შანსები მინიმალური იყო, რადგან ამ გუნდს **კიდი, ოდომი** და **ჰეივუდი** აკლდა. გარდა ამისა, საშინელი მატჩი ჩაატარა **დირკ ნოვიცკიმ**, რომელმაც თამაშიდან 15-ჯერ ისროლა და მხოლოდ ორჯერ ჩააგდო. უკეთ არც **ვინს კარტერი** და **შონ მერიონი** გამოიყურებოდნენ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „მავერიქსი“ კმაყოფილი უნდა იყოს, რომ დიდი ანგარიშით არ წააგო ეს შეხვედრა. უფრო მეტიც, საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 14 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო. მაგრამ ამის შემდეგ „დალასის“ ვეტერანებს ძალები გამოელიათ. **რასელ უესტბრუკმა** და **კევინ დურანტმა** შეტევაში მიხედეს საქმეს, დაცვაში კი ბრწყინვალე იყო **სერჟ იბაკა**, რომელმაც 10 დაფარებით პირადი და სეზონის რეკორდები დაამყარა.

■ ■ ■

უსწრაფესი კალათბურთის წყალობით „ფილადელფიამ“ „ჩიკაგოს“ მოუგო. **კოლინზის** შეგირდებმა სწრაფი გაქცევებით 21 ქულა მოიპოვეს, იმ დროს, როცა „ბულზმა“ ასეთი ხერხით მხოლოდ ოთხი ქულა დააგროვა. განსაკუთრებით ეფექტური იყო ამგვარი კომბინაციები მესამე მეოთხედში, როცა „ფილადელფია“ 13:3 გაიქცა და ფავორიტმა ველარ შეძლო მეტოქის დაწევა. „სიქსერზის“ სამწვრთნელო შტაბი კარგად იყენებდა როტაციას - სათადარიგოებმა 50 ქულა დააგროვეს, აქედან 15 **ლევოი ალენის** ანგარიშზეა, რომელიც უკანასკნელ დრაფტზე 50-ე ნომრად აირჩიეს.

■ ■ ■

„სან ანტონიოსა“ და „ჰიუსტონის“ ტექსასურ დერბიში მასპინძლები მესამე მეოთხედში 18 ქულას აგებდნენ. და, საბოლოოდ, დამარცხდებოდნენ კიდეც, თავისი ხმამაღალი სიტყვა რომ არ ეთქვა ლეგენდარულ **ტიმ დანკანს**. მან უბრალოდ აიღო ბურთი და პირადად მოაწყო 11:2 გაქცევა, რითაც ბოლო მეოთხედის წინ ჩამორჩენა ასე თუ ისე მისაღები გახდა - 67:71.

პირველად „სპურსი“ წინ საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე გავიდა, როცა სამქულიანი გამოიყენა **გრინმა**, ხოლო შეხვედრა **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა 8:0 გაქცევით დაასრულეს და 12 საშინაო შეხვედრაში მე-11 გამარჯვებას მიაღწიეს.

**ფილადელფია–ჩიკაგო 98:82**

27:21, 22:23, 26:11, 23:27

**ფ:** იგუოდალა (19+9 მოხსნა), იანგი (19+8 მოხსნა), ჰოლიდეი (17+5 პასი), ალენი (15+6 მოხსნა), უილიამსი (14+6 პასი).

**ჩ:** უოტსონი (20), როუზი (18+6 პასი), ბუზერი (9+9 მოხსნა).

**ბოსტონი–ტორონტო 100:64**

29:16, 28:19, 20:14, 23:15

**ბ:** პირსი (17+8 პასი+6 მოხსნა), ალენი (12+5 პასი), ბასი (12+9 მოხსნა), ჯონსონი (11), ბრედლი (11).

**ტ:** ბეილესი(14), დევისი (10+12 მოხსნა), გრეი (8+9 მოხსნა).

**მინესოტა–ინდიანა 99:109**

25:20, 16:25, 29:31, 29:33

**მ:** ლავი (21+17 მოხსნა), რიდნური (16), პეკოვიჩი (13+12 მოხსნა), ბიზლი (11), რუბიო (10+6 პასი).

**ი:** გრეინჯერი (36+7 მოხსნა), კოლისონი (20+9 პასი), ჰიბერტი (15+9 მოხსნა+3 დაფარება), უესტი (12+8 მოხსნა), ჯორჯი (10).

**დალასი–ოკლაჰომა 86:95**

29:21, 23:28, 14:22, 20:24

**დ:** ტერი (25), რაიტი (12), მერიონი (12+10 მოხსნა), ნოვიცკი (8+8 მოხსნა).

**ო:** უესტბრუკი (33+6 მოხსნა), დურანტი (23+13 მოხსნა), ჰარდენი (10+9 პასი+7 მოხსნა), იბაკა (4+11 მოხსნა+10 დაფარება).

**სან ანტონიო–ჰიუსტონი 99:91**

16:27, 23:25, 28:19, 32:20

**ს-ა:** დანკანი (25+7 მოხსნა), პარკერი (24), ნილი (15), ბონერი (8+10 მოხსნა).

**ჰ:** მარტინი (29+9 მოხსნა), ლოური (15+7 პასი), ლი (15), პატერსონი (10), ჰილი (6+10 მოხსნა).

**იუტა–კლიპერსი 105:107**

29:32, 29:24, 16:16, 31:35

**ი:** ჯეფერსონი (27+12 მოხსნა), მაილზი (16), მილსეპი (14+7 მოხსნა), ფეივორსი (14), ჰეივორდი (12).

**კ:** პოლი (34+11 პასი+3 ჩაჭრა), გრიფინი (31+14 მოხსნა+3 დაფარება), უილიამსი (19), ჯორდანი (8+11 მოხსნა).

**ორლანდო–ვაშინგტონი 109:103**

25:20, 22:23, 22:25, 40:35

**ო:** ჰოვარდი (23+18 მოხსნა+4 ჩაჭრა), ანდერსონი (23+7 მოხსნა), რედიკი (21), თურქოგლუ (16+5 პასი).

**ვ:** იანგი (24), ლუისი (20+8 მოხსნა), კროუფორდი (19+6 პასი), სერაფინი (12+7 მოხსნა), მეკი (12), უოლი (2+10 პასი+7 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი–დეტროიტი 99:96**

23:23, 26:15, 33:23, 27:25

**ნ-ჯ:** დერ. უილიამსი (26+9 პასი), ჰემფრიზი (18+8 მოხსნა+5 პასი), ფარმარი (15), შონ უილიამსი (11+5 მოხსნა), შელ. უილიამსი (9+11 მოხსნა), გეინსი (9+6 მოხსნა+6 პასი).

**დ:** პრინსი (21+6 მოხსნა), მონრო (21+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნაითი (15+5 მოხსნა), ჟერებკო (14), რასელი (12+6 მოხსნა).

**მილუოკი–მაიამი 105:97**

23:40, 24:20, 29:19, 29:18

**მილ:** ჯენინგსი (31+8 პასი+4 ჩაჭრა), გუდენი (17+9 მოხსნა+5 პასი), მბა ა მუტე (13+8 მოხსნა), დელფინო (11), დანლივი (10+5 პასი), ილიასოვა (9+14 მოხსნა).

**მაი:** ჯეიმსი (40+8 მოხსნა+5 პასი), უეიდი (23+8 მოხსნა+6 პასი), ჩელმერსი (16+5 პასი), ბოში (9+9 მოხსნა+5 პასი).

**ნიუ ორლეანი–ფინიქსი 103:120**

27:25, 32:31, 28:32, 16:32

**ნ-ო:** ვასკესი (20+12 პასი+6 მოხსნა), სმიტი (16+3 დაფარება), არიზა (15+5 მოხსნა), ოკაფორი (11+6 მოხსნა+5 პასი), ჯეკი (10+6 პასი), ბელინელი (10), აიონი (10).

**ფ:** ნეში (30+10 პასი), გორტატი (23+11 მოხსნა), ფრაი (16+7 მოხსნა), დადლი (15+3 ჩაჭრა).

**პორტლენდი–შარლოტი 112:68**

35:18, 26:17, 31:13, 20:20

**პ:** კროუფორდი (24), უოლასი (23+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (22), ფელტონი (11+7 პასი).

**შ:** ჰენდერსონი (16), ბრაუნი (12), მალენსი (10).

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ოლესუნდი-კალმარი | 3:2 |
| ბრაშოვი-სიგმა | 3:2 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ნოვარა-კიევო | 1:2 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-ნიიმეგენი | 3:2 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| სამსუნი-ფენერბაჰჩე | 3:1 |
| შივასი-ქაისერი | 1:1 |
| ბეშიქთაში-მერსინი | 0:1 |
| მანიშა-ესქისეჰირი | 2:3 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-გალათასარაი | 85:70 |
| ფენერბაჰჩე-პანათინაიკოსი | 56:77 |
| ბარსელონა-ჟალგირისი | 94:80 |
| კანტუ-მაკაბი | 82:74 |
| უნიკახა-მონტეპასკი | 68:91 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-ცსკა | 2:1 |
| სევერსტალი-ლევ პოპრადი | 3:0 |
| ტორპედო-მეტალურგი (ნ) | 2:1 |
| დინამო (მ)-ამური | 3:2 (ო) |
| სპარტაკი-დინამო (მნ) | 5:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ჰერლევი | 2:7 |
| როდოვრე-ოლბორგი | 0:3 |
| ფრედრიკშავნი-ესბერგი | 2:1 (ბ) |
| ჰერნინგი-ოდენსე | 0:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-მანგლერუდი | 6:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ჰიფკ | 2:3 (ო) |
| საიპა-იოკერიტი | 2:3 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 2:4 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-ტიმრა | 4:1 |
| ლულეა-ვაქსიო | 1:0 |
| ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 2:3 (ბ) |
| შელეფტეო-აიკ | 2:1 |
| იურგორდენი-ჰ371 | 1:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონპელიე**

| | |
|---|---|
| ფ. მაიერი-მაუ | 6:7, 3:6 |
| ბერდიხი-სერა | 6:0, 6:2 |
| მონფილსი-რასელი | 6:3, 6:3 |
| ნიემინენი-მატიო | 7:6, 6:1 |

**ATP. ვინია დელ მარი**

| | |
|---|---|
| ბელუჩი-დელ ბონისი | 2:6, 5:7 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| ბალდატისი-კუბოტი | 6:4, 6:2 |
| ბოგომოლოვი-ლაჩკო | 0:6, 7:6, 1:6 |
| იუჟნი-ჟემლია | 6:1, 6:3 |
| დოდიგი-გარსია ლოპესი | 4:6, 6:4, 6:4 |
| კარლოვიჩი-სელა | 6:3, 6:2 |

● TV პროგრამა

**3 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XXI ტური. ნოვარა-კიევო.
12:00 გადაცემა - საფეხბურთო ლამე.
13:30 იტალიის შოუ.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ეინდჰოვენი-ვიტესი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. ევერტონი-მანჩესტერ სიტი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
20:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტურის წინ.
23:00 იტალიის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ნიურნბერგი-დორტმუნდი (LIVE).
01:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-უელსი.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ატლეტიკო.
22:00 NBA Action.
22:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ბოსტონი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-არსენალი.
15:00 სუპერკოლაჟი.
15:30 საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი (LIVE).
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. მილანი-პანათინაიკოსი.
22:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. სარასენი-ბიარიცი.
00:00 გადაცემა - სპორტის სამყაროში.

● კალათბურთი

# NBA გაძვირდა

როგორც Team Marketing Report-მა გაარკვია, მიმდინარე სეზონში NBA-ის მატჩებზე დასასწრები ბილეთების საშუალო ფასმა 1.7 პროცენტით მოიმატა და 48.48 დოლარს მიაღწია.

საინტერესოა, რომ “ნიუ იორკ ნიქსის” მატჩებზე ბილეთების ფასი საშუალო მაჩვენებელზე ორნახევარჯერ მაღალია და ის 117.47 დოლარს შეადგენს.

“ლეიკერსის” თამაშებზე ბილეთების საშუალო ფასია – 99.25 დოლარი, “ბოსტონის” – 68.55, “ჩიკაგოსი” – 68.37, “მაიამის” – 67.

ყველაზე იაფად ლიგაში “მემფისის” ბილეთები იყიდება – 22.95 დოლარი.

შედარებისთვის, ამერიკული ფეხბურთის ლიგაში ბილეთების საშუალო ფასია – 77.36 დოლარი, ბეისბოლის ლიგაში – 26.91, ხოლო ჰოკეის ეროვნულ ლიგაში – 57.10.

■ ■ ■

საინტერესო პიესის პრემიერა შედგება 21 მარტს ბროდვეიზე. Longacre Theater-ის დარბაზში “ლომბარდის” დასი დგამს პიესას, რომელიც “ლეიკერსისა” და “ბოსტონის” ლეგენდების – **მეჯიქ ჯონსონისა** და **ლარი ბერდის** დაპირისპირებას ეძღვნება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ნიუიორკელი ვარსკვლავი



ჯონ ტავარესი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ იანვრის შედეგები შეაჯამა და თვის სამი ვარსკვლავი დაასახელა.

2012 წლის პირველი თვის საუკეთესო მოთამაშე გახდა “ნიუ იორკ აილენდერსის” ფორვარდი **ჯონ ტავარესი**. 13 მატჩში დრაფტის ყოფილმა პირველმა ნომერმა 9 გოლი გაიტანა და 13 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. ტავარესმა მხოლოდ ერთ მატჩში ვერ შეძლო ქულის აღება.

დეკემბრის თვის ლაურეატი, “პიტსბურგის” ფორვარდი **ევგენი მალკინი** ამჯერად მეორე ვარსკვლავის სტატუსს დასჯერდა. “პინგვინზი” თებერვალს რვამატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი რუს ვარსკვლავს მიუძღვის. მალკინმა იანვარში 12 გოლი მიითვალა.

მესამე ვარსკვლავია “ნეშვილის” მეკარე **პეკა რინე**, რომელზეც ამ სეზონში უდიდესი დატვირთვა მოდის, მაგრამ ფინელი კარგად უმკლავდება რთულ გრაფიკს. რინე მეორეა ლიგაში ჩატარებული მატჩებით (46), წუთებით (2628), მის კარში დარტყმული შაიბებით (1374) და სეივებით (1269). რინეს 10-მატჩიანი მოგებათა სერია აქვს, სულ კი იანვარში 12-დან 11 შეხვედრა მოიგო, ერთი “შატაუტი” შეასრულა და მეტოქეთა დარტყმების 93.5 პროცენტი მოიგერია.

**ბაფალო–რეინჯერსი 0:1 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს:** პომინვილი (ბაფალო), გაბორიკი (რეინჯერსი), კალეჰანი (რეინჯერსი).

**ტორონტო–პიტსბურგი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 მაკარტური-16 (გრაბოვსკი-18, კულემინი-18).

**ფლორიდა–ვაშინგტონი 4:2**

0:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 სამუელსონი-4 (სტრაჩანი-1, ბერგენჰაიმი-1), 1:1 ლეიჩი-10 (ელზნერი-12, ჩიმერა-9), 2:1 სამუელსონი-5 (ბ. კემპბელი-33, ფლიშმანი-20), 3:1 უეისი-13 (კოპეცკი-15, ფლიშმანი-21), 3:2 ჯ. კარლსონი-6, 4:2 მატიასი-9.

**ანაჰაიმი–დალასი 2:6**

1:3, 1:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ბელესკი-3 (ბრუკბანკი-5), 1:1 ნისტრიომი-15 (გოლიგოსკი-11, ლარსენი-3), 1:2 ფიდლერი-7, 1:3 ჯეიმი ბენი-14 (ოტი-14, რაიდერი-16), 1:4 რობიდასი-3 (რიბეირო-23, გოლიგოსკი-12), 2:4 სბისა-3 (სელიანე-31), 2:5 სურეი-5 (რაიდერი-17, ჯეიმი ბენი-30), 2:6 რაიდერი-18 (ოტი-15, ჯეიმი ბენი-31).

**ლოს ანჯელესი–კოლამბუსი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-10 (დაუტი-20), 1:1 დორსეტი-9 (ბრასარი-10, პროსპალი-22), 2:1 პენერი-4, 2:2 ჟილი-1 (ვერმეტი-15, ჯ. მური-3), 3:2 დაუტი-4 (ჯ. ჯონსონი-14, კოპიტარი-30).

ავტოსპორტი

# ფერარის ფოტოებით ვნახავთ


დათოვლილი მარანელო

„ფერარის“ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ახალი ბოლიდის პრეზენტაცია, რომელიც მარანელოში იტალიური საჯინიბოს ბაზის ტრასაზე უნდა გამართულიყო. მაგრამ ტრეკის ზედაპირი თოვლის სქელი ფენით არის დაფარული, რაც ხელს უშლის დაგეგმილი ღონისძიების ჩატარებას.

ამიტომაც, პრეზენტაცია „სკუდერიას“ ოფიციალურ ვებგვერდზე გაიმართება, სადაც „ფერარის“ ახალი ბოლიდის სურათებს გამოფენენ. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მანქანისთვის ჯერ სახელი არ მოუფიქრებიათ.

■ ■ ■

ინდური სარბოლო სერიის - i1 Super Series-ის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ვერ ასწრებენ 2012 წელს სადებიუტო სეზონის ჩატარებას და ახალ ჩემპიონატს სტარტი მომავალ წელს მიეცემა. განსაკუთრებული ინტერესი ამ პროექტის მიმართ, სადაც პილოტები ერთნაირი სიმძლავრის სპორტკარებით უნდა გამოსულიყვნენ, მონაწილეთა შემადგენლობით იყო გამოწვეული.

საერთო ჩათვლაში ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტებს - **ჟაკ ვილნევს, ჯანკარლო ფიზიკელას, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს, ჟან ალეზის, მიკა სალოს, ვიტანტონიო ლიუცის, კარუნ ჩანდჰოკს, ალექს იონგსა და საკონ იამამოტოს.**

გეგმის მიხედვით, ხუთეტაპიანი ჩემპიონატის პირველი რბოლა 21 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ მისი თარიღი 12 თებერვალს გადაწიეს, ახლა კი საერთოდ გააუქმეს პირველობა.

■ ■ ■

ფორმულა 1-ის კიდევ ერთი ყოფილი პილოტი **ნიკ ჰაიდფელდი** კი გუნდ Rebellion Racing-ს შეუერთდა, რომლის რიგებშიც ის World Endurance Championship-სა (WEC) და „ლე მანის 24 საათის“ ჩემპიონატში გამოვა.

ჰაიდფელდის ეკიპაჟის წევრები იქნებიან **ნილ იანი** და **ნიკოლა პროსტი.**

*„ბედნიერი ვარ, რომ Rebellion Racing-თან გავაფორმე კონტრაქტი. იმედი მაქვს, შევძლებ გუნდს სერიოზული შედეგები მოვუტანო. თავის დროზე, ლე მანზე ჩატარებული ბოლო ეტაპის შემდეგ გავიფიქრე, რომ აქ ისევ დავბრუნდებოდი. მინდოდა კვლავ გამომეცადა ძალები ამტანობაზე რბოლებში“*, - განაცხადა ჰაიდფელდმა.

კრივი

# მეივეზერი კოტოს შეხვდება

ნახევრადსაშუალო წონაში (66.7 კგ) WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** მორიგ ბრძოლას პირველ საშუალო წონაში (69.8 კგ) WBA-ის ვერსიით ჩემპიონთან, პუერტორიკოელ **მიგელ კოტოსთან** გამართავს. შეხვედრა, რომელშიც კოტოს კუთვნილი საჩემპიონო ქამარი გათამაშდება, 5 მაისს ლას ვეგასში ჩატარდება.

31 წლის კოტო მეხუთე მოკრივეა, ვისაც რინგზე თანამედროვეობის ორ საუკეთესო მებრძოლთან მოუწია დაპირისპირებამ. 2009 წლის ნოემბერში მან მე-12 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წააგო ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან.** ახლა, მას არანაკლებ მნიშვნელოვანი ბრძოლა ელის პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ მეივეზერთან.

**ფლოიდ მეივეზერი:** *"მიგელ კოტო – უმაღლესი დონის მოკრივეა, რომელიც კვლავაც ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მასთან მისსავე წონაში გაჯიბრება სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ სწორედ ასეთი ბრძოლებისას ვიღებ დიდ მოტივაციას, რათა უფრო მეტად მონდომებით ვივარჯიშო. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ტიტულების კოლექცია შეივსება, კოტოს ბატონობა კი 5 მაისს დასრულდება".*



**მიგელ კოტო:** *„მე აქ იმისთვის ვარ, თანამედროვე კრივის საუკეთესო წარმომადგენლებს ვეჩხუბო. არც ერთ მეტოქესთან ბრძოლისთვის თავი არ ამირიდებია. ყველა გამოწვევას ვიღებდი, რათა ჩემი თაყვანისმცემლებისთვის მიმეცა ის, რაც მათ მოსწონთ – სანახაობრივი ბრძოლები. 5 მაისს მე დამაჯერებლად დავამარცხებ ფლოიდ მეივეზერს".*

# ალის მწვრთნელი მოუკვდა


ანჯელო დანდი

გუშინ, ამერიკის ქალაქ ტამპაში 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული მწვრთნელი **ანჯელო დანდი.** ბევრი მას იცნობს, როგორც დიადი **მოჰამედ ალის** მწვრთნელს, მაგრამ თავის კარიერაში, რომელიც დაახლოებით 60 წელი გრძელდებოდა, დანდიმ ბევრი მოკრივე გაწვრთნა, მათ შორის მსოფლიოს 15 ჩემპიონი: **შუგარ რეი ლეონარდი, ხოსე ნაპოლესი, ჯორჯ ფორმენი, ჯიმი ელისი, კარმენ ბაზილიო, ლუის როდრიგესი, ვილი პასტრანო** და სხვები.

დანდი მძიმედ იყო ავად, მაგრამ მოასწრო გასულ თვეში ალის 70 წლის იუბილეზე დასწრება.

ანჯელო დანდი 1921 წლის 30 აგვისტოს ფილადელფიაში დაიბადა და კრივის სამყაროში თავისი უფროსი ძმების მიბაძვით შეაბიჯა – ერთ-ერთი ძმა (**ჯო**) მოკრივე იყო, მეორე (**კრისი**) - პრომოუტერი. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ სამივე ძმამ გვარი მირენი "დანდის" ფსევდონიმით შეცვალა, რათა მშობლებს არ გაეგოთ მათი კრივით გატაცების შესახებ.

1950 წელს კრის დანდიმ ფლორიდაში გახსნა დარბაზი - Fifth Street Gym, სადაც ანჯელომ მწვრთნელად მუშაობა დაიწყო. სწორედ აქ აღზარდა მან თავისი სახელოვანი შეგირდები. 90-წლიანი იუბილეს წინ დანდიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის დღემდე ავარჯიშებს ბავშვებს და ხშირად იწვევენ ექსპერტის რანგში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## მკითხველის ვერსიით
### საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და მწვრთნელი

**წლეულს** პირველად „ლელო“ ატარებს მკითხველთა გამოკითხვას 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე: **2 19 60 53,** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით **11-დან 18** საათამდე).*

**ხმის მიცემა შეგიძლიათ აგრეთვე საიტზე WWW.SPORTALL.GE**
**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ\ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ\ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ\რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ\ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

შენიშვნა: *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს“ სპეციალური პრიზი გადაეცემა.*